

მერაბ კალანდიაძე

სახელმძღვანელოს საინტერესო
ისტორია. მითები და რეალობა.



გამომცემლობა „ინტელექტი“
თბილისი 2024

ნიგნში განხილულია დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის განვლილი გზა, ისტორია. ეს არის ამ დარგის ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო კომპონენტი. საკითხი ფრიად აქტუალურია. ამიტომ ამ კუთხით საკითხის შესწავლა, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა. აქვე დავძენთ, რომ ეს თემა საგანგებო შესწავლის საგანი დღემდე არ გამხდარა და წინამდებარე ნაშრომი ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს.

ნიგნი განკუთვნილია სტუდენტების, ისტორიკოსებისათვის და საერთოდ ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორი ნაირა მამუკელაშვილი

რეცენზენტები მიხეილ ქართველიშვილი
თამარ ანთაძე

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და მიზნად ისახავს გამოარკვიოს კონკრეტული საკითხი. საქართველოში დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ისტორია. აღსანიშნავია, რომ მას თავისი საინტერესო წარსული გააჩნია და ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება. ჩვენ ვცადეთ ამის გაკეთება. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ საზღვრებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად და კარგი ცხოვრებით არ ყოფილა გამონვეული. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. საქმე ისაა, რომ ამ კუთხით ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში შესწავლილი არ ყოფილა და გადავწყვიტეთ შეგვევსო ეს ვაკუუმი. აღნიშნული საკითხი საგანგებო განხილვის საგანი გაგვეხადა. ის მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ამ დარგის წარსულთან, ისტორიასთან და მის ერთ-ერთ საინტერესო შემადგენელი კომპონენტს წარმოადგენს. ისინი ურთიერთზემოქმედებენ. მათ ერთმანეთს ვერ მოვწყვეტთ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. უმთავრესად, აქცენტი კეთდება უმაღლესი სკოლის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოზე, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არც ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს, დავტოვებთ უყურადღებოდ და შეძლებისდაგვარად მასზეც ვიტყვით ორიოდ სიტყვას. რათა ამ საკითხის კიდევ უფრო სრულყოფილი, ამომწურავი, სურათის მივიღოთ. ამ ნაბიჯს გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და საშუალებას გვაძლევს შევავსოთ ის თეთრი ლაქები, რომელიც ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, XX-XXI საუკუნის დასაწყისი, ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე იდგა დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების, მალა-ლი, ევროპული დონის, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი. ვერ ვიტყვით, თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ გაკეთებულა. სინამდვილეში ეს ასე ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა ამ საკითხს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და უფრო უკეთესის მოლოდინი გვაქვს. შეიძლება ითქვას, რომ ამის გაკეთება სულაც არ აღმოჩნდა ისეთი ადვილი საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ეს იყო საკმაოდ რთული და გრძელი გზა, რომელიც სულაც არ ყოფილა იავარდებით მოფენილი. გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, რომელთა შორისაც პრიორიტეტული აღმოჩნდა პოლიტიკური კატაკლიზმები, ამ საშური საქმის განხორციელების გზაზე მრავალი გაუთვალისწინებელი პრობლემა შეიქმნა, რომელმაც ნებისთ თუ უნებლიეთ შეაფერხა ეს პროცესი და გავლენა იქონია შედეგზე. თითქოს ძალიან ახლოს ვიყავით სასურველ მიზანთან, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ხან რა უშლიდა ხელს და ხან კიდევ რა დაბრკოლება წარმოიშობოდა. ამაზე ნვრილად გვექნება საუბარი.

საქართველოში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეამ საინტერესო მეტამორფოზი განიცადა. ის უმთავრესად, პოლიტიკურ ქარტეხილებთან იყო დაკავშირებული, რაც, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი ასე საგულდაგულოდ რატომ გამოვყოფთ მაინც და მაინც, სწორედ, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს. სხვა სახელმძღვანელოებმა რა დააშავეს რატომ უვლით მათ გვერდს. შეიძლება ითქვას, რომ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს გაცილებით მეტი და საინტერესო თავგადასავალი გადახდა თავს, ვიდრე ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს. ამ შემთხვე-

ვაში ეს პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი, დასრულებული იყო, რასაც ვერ ვიტყვით ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ამ საქმის ბოლომდე მიყვანა გარკვეულ მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა. ამიტომ გავაკეთეთ ამაზე არჩევანი. ვფიქრობთ, ეს უფრო გამართლებული უნდა იყოს.

უწინარესად, სასურველი იქნება გამოვარკვიოთ საკითხის პერიოდიზაცია. თემა არის საინტერესო და აქტუალური. აქამდე არ ყოფილა გაშუქებული. მისი გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და აღნიშნული საკითხზე, სრულყოფილ ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ეს თემა განსხვავებული მიდგომის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ის აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. პირობით, ის სამ პერიოდად შეიძლება დავეყოთ, რომელიც პოლიტიკური კატაკლიზმებით იყო განპირობებული, რომლის სწორხაზოვნად, უარყოფითად, შეფასება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მიზანშეწონილად არ იქნებოდა. ერთ შემთხვევაში ის დადებით როლს შეიძლება ასრულებს, ხოლო სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, უარყოფითს. საკითხს კონკრეტულად უნდა მივუდგეთ. შევხედოთ რომელი რომელია.

ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობის დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით დაგვიანებულად მიგვაჩნია. ის დაზუსტებას, შემდგომ სრულყოფას, საჭიროებს. მას ცოტათი უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია და ასოცირდება არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებასთან, არამედ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებულ პირველ ღონისძიებებთან. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არა იყო პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა რეალობაში, გამართლებული არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურ-

რავ, წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. ასეთი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ბოლშევიკებს ეკალივით ესობოდათ თვალში დამოუკიდებელი საქართველოს წარმატებები და ყოველნაირად ცდილობდნენ მისი მნიშვნელობის მიჩქმალვას, მიჩუმებობას, დამცირებას და საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების გაბუქებას, ყოველნაირად განდიდებას. აქ აისახება სავსებით რეალური ვითარება და მასში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულება გამოძახილი უნდა დავინახოთ ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და, საერთოდ ამ დარგის და კონკრეტულად ამ საკითხის, სულ სხვა სურათი დავდეთ, ვიდრე აქამდე იყო. შევეცადეთ ის პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ამან განაპირობა განსხვავებული მიდგომა. მითებს რეალობა ამსხვრევს. „ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდის ასოცირდება“.

ირკვევა, რომ საქართველოში ახალი ისტორიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეა თავის პირველ ნაბიჯებს დგამს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს აღნიშნულ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოზე. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანერა ამ ჩანაფიქრის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ საქმეს საბოლოოდ დაესვა წერტილი. მან სულ სხვა მიმართულება შეიძინა. ეს უკვე სხვა გზა იყო. ამ წლებში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუნერიათ ან უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, მისი დაწერა, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვეღარ მოასწრეს და ამიტომ ის მხოლოდ ჩანაფიქრის, იდეის, დონეზე

დარჩა. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. ამას გააჩნია თავისი რეზონი აზრი, და მასში გასაკვირი არც არაფერია. მაგრამ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, მისი ბოლომდე მიყვანა ეტყობა, ვეღარ მოუხსნიათ, განუხორციელებელი დარჩათ. მხოლოდ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ბევრი კარგი საქმე განუხორციელებელი დარჩათ. ერთ-ერთ მათგანად ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა მიგვაჩნია. ამიტომ ეს წლები ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებულნი. ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება ახალი ისტორიის პირველ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის უვერტურად გაისმა. თუ არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოება დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაწერდნენ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს. ამის პოტენციალური შესაძლებლობა ნამდვილად არსებობდა. ამ მონაკვეთის მთავარი თავისებურება, სწორედ, იმაში მდგომარეობს, რომ საქმე გვაქვს ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის, შექმნის, იდეასთან, ჩანაფიქრთან. ეს მცდელობა საინტერესოა. ჩვენი აზრით, ის ამ საკითხის დასამად შეიძლება მივიჩნიოთ.

შემდგომი ორი მონაკვეთის განსაზღვრა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური ჩარჩოები გააჩნდა. ის საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერასთან ასოცირდებოდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს, ამ საკითხის მეორე და მესამე პერიოდთან. ახალი ისტორიის

სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991) და პოსტსაბჭოთა წლების ქართულ სინამდვილეში, ის იწყება 90-იან წლების დასაწყისში და დღესაც გრძელდება.

სწორედ, ეს გეგმა დაედო საფუძვლად ნაშრომში აღნიშნული პრობლემის განხილვას. მას სამი მონაკვეთი გააჩნია: პირველი. ახალი ისტორიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის ჩანაფიქრი, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ის იდეის, ჩანაფიქრის, დონეზე ნამდვილად არსებობდა, მაგრამ მისი განხორციელება, ჩვენთვის კარგად ცნობილი მიზეზთა გამო, ვეღარ მოასწრეს. ის საკითხი დასმის საზღვრებს არ გასცილება. მეორე ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991. მესამე, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები დაწერილი პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება.

ამ თემატიკით დაინტერესება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და თავისი მიზეზები გააჩნდა. მას იმ რომანტიკული ფათერაკებით აღსავსე თავგადასავალი უძევს საფუძვლად, რომელიც, უპირატესად, პოლოტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა და ლაიტმოტივად გასდევს ამ სახელმძღვანელოებზე მუშაობის მთელ პროცესს, დაწყებული 1918 წლიდან დღემდე.

ჩვენ ვცადეთ საბჭოთა წარმოდგენის რევიზია. ამ საკითხის შესწავლა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად ვაქციეთ. სულ სხვა აქცენტები დავსვათ. განსხვავებულ მიდგომას საფუძვლად უდევს, სამი მთავარი თეზა. პოსტულატი, რომელიც მის კვინტესენციად, დედააზრად, გვევლინება. 1. ისტორიოგრაფიაში პირველად ჩვენ ვცადეთ ამ სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეა-

ნიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში ამ დარგის განვითარების ისტორიიდან ელიმინირებული, ამოღებული, იქნა. თითქოსდა არც კი არსებობდა, გაქრა გაუჩინარდა. მივინყების სქელ ნისლში გაეხვია. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, ის უწარსულო არ იყო. სინამდვილეში მას ჰქონდა წარსული. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. მიუხედავად ექსტრემალური ვითარებისა, დროის მცირე მონაკვეთისა, ფაქტობრივად ცაიტნოტისა, მან მაინც მოასწრო ქართულ ისტორიოგრაფიაში თავისი პოზიტიური კვალის დაფიქსირება. დანერეს ახალი ისტორიის პირველი სასკოლო სახელმძღვანელო. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მთავარი, სწორედ, ეს იყო. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. 2. საქმე გვაქვს საბჭოთა ისტორიოგრაფიის რევიზიასთან. ჩვენ ვცადეთ, განსხვავებულად მივდგომოდით საბჭოთა ისტორიოგრაფიას. შევეცადეთ თავიდან აგვეცილებინა როგორც აპოლოგეტური მიდგომა, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა პერიოდში, ისე შეუფასებლობა, რომელიც ზოგჯერ თავს იჩენს, პოსტსაბჭოთა წლებში. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება შუაში ძევს. ჩვენ ვცადეთ უფრო დაბალანსებული მიდგომა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. ჩრდილი ჭარბობს შუქს. ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი, ამკარაა და ამას უარყოფა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, მაგრამ ისტორიას არ ხელენიფება უკანასკნელი ჭეშმარიტება, ამან გამოიწვია საბჭოთა ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. განსხვავებული აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულება საბჭოთა ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია. 3. ისტორიოგრაფიაში პირველად ვცადეთ გაგვეშუქებინა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შუქჩრდილები და გავრკვეულიყავით მის გამომწვევ მიზეზებში. მისი არც აპოლოგეტური შეფასება და არც შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნება. უნდა ვეცადოთ გამოვინახოთ საშუალო ხაზი. როგორც ნესი, ჭეშმარიტება სა-

დღაც შუაში ძევს. წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალები ხაზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

ამ კუთხით საკითხის გაშუქებას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დატვირთვა გააჩნია. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ რაკურსით საკითხის შესწავლა საერთო წარმოდგენას შეგვიქმნის იმის თაობაზე თუ რა გვაქვს გაკეთებული ამ მიმართულებით. როგორ გვაქვს გაკეთებული. რაში მდგომარეობს მისი შუქრდილები და რითი შეიძლება ყოფილიყო ის გამონვეული. რა დაგვრჩა კიდევ ამ საკითხში გასაკეთებელი, გაკეთებული შედარებით ცოტაა. გასაკეთებელი გაცილებით ბევრია. ასეთია მკაცრი რეალობა. ამ თემატიკისადმი სკეპტიკური განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ. ის უადგილო იქნებოდა. ეს არის ჩვენი პასუხი სკეპტიკოსებისადმი.

თავი პირველი

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შიგნის მცდელობა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

წინამდებარე ნაშრომის ეს მონაკვეთი მიზნად ისახავს აღნიშნულ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის რევიზიას. ამან განსაზღვრა მისი პოლემისტური მუხტი, რომელიც ითვალისწინებს ამ თემისადმი საბჭოთა მიდგომის არგუმენტირებულად, მეცნიერულად, გაბათილებას. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად და ამ საკითხისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომა დავაფიქსირეთ, ვიდრე აქამდე იყო. საბჭოთა წარმოდგენა გახლდათ ძალზე ცალმხრივი და ტენდენციური, არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ძალზე ხისტად მიგვაჩნია, ძირშივე მცდარი და, ალბათ, რაც მთავარია, არაეროვნული და არაპატრიოტულია. დღეს იგი უკვე მოძველებულია, გაკოტრებულია, ჩამოიშალა, სრული ფიასკო განიცადა. საბჭოთა წარმოდგენა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ თემაზე მსჯელობა პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ასე წარმოიშვა განსხვავებული მიდგომა.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, დაგვიანებულად

მიგვაჩნია, დაზუსტებას მოითხოვს და გარკვეული კორექტივების შეტანას საჭიროებს. როგორც ირკვევა, მას ცოტა უფრო ხანგრძლივი წარსული გააჩნია და თავის პირველ ნაბიჯებს დგამს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილს ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილის და ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების, რეანიმაცია, რეაბილიტაცია, წარმოადგენს. სწორედ. ამან განაპირობა განსხვავებული მიდგომა.

დაიწყო მუშაობა და დაწერეს მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, უეჭველად, წინგადადგმული ნაბიჯი იყო, ხოლო ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რაც დაწყებული საქმის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა, არ დაუწერიათ. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, ეტყობა, ველარ მოუსწრიათ. მაგრამ მოდიოთ ნუ ვიჩქარებთ. აქ წერტილის დასვა ნაადრევად მიგვაჩნია. რაშია საქმე? რამ გამოიწვია ასეთი წყვეტა? საკითხი აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ საზღვრებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მისი მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს. ძნელი საფიქრელია, რომ მათ განზრახავი არ ჰქონოდათ ამ, საშური საქმის დასრულება, ბოლომდე მიყვანა, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება. ეს ასეც იქნებოდა. მაშინ რამ შეუშალა ხელი? ეტყობა, ამ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკ-

ვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რომელიც უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, მათ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება უბრალოდ ველარ მოასწრეს, დაწყებული საქმე დაუსრულებელი დარჩათ. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუნერიათ. ეს არის ის რეალობა, რომელიც ტოტალიტარული ბოლშევიკური სახელმწიფოს ძალიანხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა და მას აღნიშნულ საკითხზე არასწორი წარმოდგენა გააჩნდათ. ჩვენ ვცადეთა, ამ შეუსაბამობის გასწორება. ეს აღნიშნული საკითხის გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილი მარტო ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყებასთან როდი ასოცირდება. ეს ზედაპირზე ძევს. აისბერგის ზედა ხილული ნაწილია. ამავე დროს ის მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეასთან, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოს ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა და მათი ჩანაფიქრი შეექმნათ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალი დასრულებულ სახეს შეიძენდა. ისინი ურთიერთზემოქმედებენ, მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს კარგი ჩანაფიქრი, განზრახვა, გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი და განხორციელებული. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება, უბრალოდ, ველარ მოასწრეს. ამას აქვს თავისი მიზეზები და ამაზე წვრილად ამ მონაკვეთში გვექნება მსჯელობა.

ვფიქრობთ, არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებს ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეა, ხაზს უსვამთ იდეა, სწორედ,

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში დაიბადა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და აქ სკეპტიკური განწყობილება, რომელიც ფართოდ ინერგებოდა საბჭოთა წლებში, სრულიად უადგილო იყო და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წარმატებებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულების ექოდ გაისმა. ამგვარი მიდგომა მეტად იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო და სერიოზული კორექტივების შეტანას მოითხოვს. წინამდებარე ნაშრომი ამის გაკეთების კიდეც ერთ მცდელობას წარმოადგენს.

საქართველოს გასაბჭოებამდე მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, შესწავლის კულმინაციად, პიკად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ ამ დარგში შეტანილი მცირე წვლილი მიგვაჩნია. არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებზე დაწყებული მუშაობა გაგრძელდებოდა და დღის წესრიგში დადგებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის საკითხი. ეს ასეც მოხდებოდა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეს ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზირებული. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს.

ჩვენი აზრით, ეს იყო ამ დარგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთული და საინტერესო მონაკვეთი. მას თან ახლავს გარკვეული რომანტიკული შარმი, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ის მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და დასრულებული სახე არ მიუღია. სულ რამდენიმე წელი გასტანა. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მან მაინც მოასწროს ქართული ისტორიოგრაფიაში თავისი პოზიტიური კვალის დაფიქსირება, რომლის უგულვებლყოფა, იგნორირება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, სამართლიანი არ იქნებოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთს მეტად უცნაური ბედი ხვდა წილად, რაც პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში, საბჭოთა წლებში, ელიმინირებული, ამოღებული, იქნა ამ დარგის ისტორიიდან, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოს არც კი არსებობდა. მივინყების სქელმა, ნისლმა დაფარა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ მონაკვეთისათვის მისთვის კუთვნილი ადგილი მოგვეძებნა ამ დარგის წარსულში. უმთავრესად, ტოტალიტარულ ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ის დიდი ხნის განმავლობაში კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. ის იქცა ტაბუდადებულ თემად, რომელსაც ისტორიკოსების დუმილით უვლიდნენ გვერდს, თითქოს არც კი არსებობდა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება (1. 2. 347-367. 3. 161-171). ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, აქ ისინი არაფერ შუაში არ არიან და, ეს სწორი არ იქნებოდა, არამედ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ახორციელებს პოლიტიკურ ზენოლას მეცნიერებზე. აიძულებს ისტორიკოსს წეროს ისე, როგორც ეს სურს სახელმწიფოს.

ამ დარგის განვითარების საერთო სურათის და პერიოდიზაცია, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით გამრუდებული იქნა. ასეთი გახლავთ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სიმძიმის ცენტრი გადავიტანეთ ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებულ წვლილზე. ეს უკვე სულ სხვა მიდგომა იყო, რომელიც განსხვავდებოდა საბჭოთა წარმოდგენისაგან. ამან განაპირობა ჩვენი მსჯელობის პოლიმისტური ტონი, შევეცადეთ დაგვედო ამ დარგის განვითარების სულ სხვა და შესაძლოა, გაცილებით უფრო რეალური საერთო სურათი და პერიოდიზაცია. (4, 5, 6, 7, 8, 9, 10. 11). შემდგომში ვცადეთ ეს განსხვავებული მიდგომა გაგვევრცელებინა მსოფლიოს ისტორიის ცალკეულ საკვანძო საკითხებზე და გამოჩინილ ადამიანებზე.

ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ამ საშური საქმის დასრულება ვერ მოასწრეს. ის ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. მიმდინარეობდა მისი დახვეწა, სრულყოფა, რომლის დასრულება ველარ მოასწრეს. სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება პატარა საქმე არ იყო. ამას ჰქონდა მნიშვნელობა და შეიძლება ითქვას, რომ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის უვერტურად გაისმა. ამაში გასაკვირს ვერც ვერაფერს ვხედავთ. ეს დაწყებული საქმის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. ჩნდება ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის იდეა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე სერიოზული სიახლე იყო და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ქართული ისტორიოგრაფია სწორი გზით მიდიოდა, სწორ აქცენტებს სვამდა. პირველი ნაბიჯები კარგად გათვალეს, დასაწყისი ნამდვილად ურიგო არ იყო. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, უეჭველი იყო, რომ ისინი დაწყებული საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაიწერებოდა ახალი ისტორიის ნორმალური სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, მაგრამ სინამდვილეში ასე არ მოხდა. ქართული ისტორიოგრაფია იძულებული შეიქმნა გადაეხვია არჩეული კურსიდან და მისი განვითარება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელიც, როგორც არაერთგზის გვითქვამს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ.

საფიქრელია, რომ ეს მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი იქნებოდა. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე, თუმცა მისი დასრულება, ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ამას ექნებოდა გაგრძელება. ეს საკითხი ასე წარმოგვიდგენია.

ის სამი საფეხურისაგან შედგებოდა. პირველ საფეხურს სკოლის სახელმძღვანელოებს ექნებოდა გაგრძელება, მოყვებოდა მეორე. დაიწყებოდა მუშაობა ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე, რომელიც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება იქნებოდა, რომელსაც საძირკველი ჩაეყარა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში, მაგრამ, უკვე ცნობილ მიზეზთა გამო, ამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ეწერა. ის დარჩა იდეის დონეზე და ბოლოს მათი განზრახვის დასკვნით აკორდად, მესამე საფეხურად, გვევლინებოდა ახალი ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევის, პოპულარიზაციის, ფართოდ გაშლა.

მთავარი სირთულე ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა, ხილულ ნაწილს წარმოადგენს და იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტობრივად, 1918-1921 წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. ეს ფაქტია და ამაზე არც არავინ დაობს, მაგრამ აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა საკითხს აქვს ორი მხარე. ფორმალური და რეალისტური. პირველი ფაქტის კონსტატაციასთან ასოცირდება, მეორე კი, ვფიქრობთ, უფრო საინტერესო შეიძლება იყოს და მის კომენტარებს ისახავს მიზნად.

პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საკითხისადმი წმინდა ფორმალურ მიდგომასთან, რომელსაც გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და აქვს არსებობის უფლება. მისი წაყრუება არ შეიძლება. რეალობა ისაა, რომ ამ წლებში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო მართლაც არ დაუწერიათ. ამას ვერსად გაექცევი, მაგრამ მოდით ფორმალობა გადავდოთ გვერდზე და შევეცადოთ ამ საკითხს ცოტა სხვა კუთხით შევხედოთ. ვფიქრობთ, ეს საინტერესო შეიძლება იყოს. მით უმეტეს რაღაც ხელჩასაკიდი არსებობს და გაგვაჩნია. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ის ჩვენთვის თავისებური გზამკვლევის,

კომპასის როლს ასრულებს. ამიტომ, ჩვენი აზრით, ფორმალური მიდგომა საკმარისი არ უნდა იყოს და ამ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვციალიბებს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახალი ისტორიის უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოს დაწერა განზრახული არ ჰქონდათ. ეს სწორი არ იქნება. ჩვენ გაგვაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის უვერტიურად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის მნიშვნელობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საქმე ეხება არა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერას. ეს როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ არ გაუკეთებიათ. უფრო სწორი, რომ ვიყოთ, უბრალოდ ვერ მოასწრეს. ლოგიკური იქნებოდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის იდეა, განზრახვა. ეს საკითხი, უეჭველად იდგებოდა დღის წესრიგში. ეს ცხადია, ძალიან კარგია და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ამ ჩანაფიქრის განხორციელება უბრალოდ ვერ მოუსწრიათ და დარჩა იდეის, ჩანაფიქრის, სურვილის, დონეზე. ყველაფერი ეს, ჩვენი აზრით, საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ვინაიდან ამ წლებში ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნა იდეის დონეზე მაინც არსებობდა, რაც, ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს და აზრთა სხვადასხვაობას არ შეიძლება იწვევდეს. ეს მონაკვეთი, პირობით სასკოლო და საუნივერსიტეტოს სახელმძღვანელოს შექმნის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებულნი. მისი მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობდა რომ ახალ ეროვნულ სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. დაწერეს ახალი ისტორიის პირველ

ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი დასრულებული არ ყოფილა და ბოლომდე მიყვანილად ძნელი იქნებოდა, რომ მივიჩნიოთ. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, რომელიც ვერ მოასწრეს. დაუსრულებელი დარჩათ. ეს სასკოლო სახელმძღვანელო. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება ვერ მოასწრეს და მხოლოდ კეთილი სურვილების დონეზე დარჩა. საკითხის დასმის საზღვრებს არ გასცილებია. მათ სწორედ დასვეს საკითხი, მაგრამ მის განხორციელება როგორც ჩანს, ვერ მოუხსნიათ. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუწერიათ.

მათ, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გათვალისწინებული, რომ სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე ერთდროულად მუშაობა, ისეთ პატარა ქვეყანას როგორც საქართველოა, ცხადია, გაუჭირდებოდა. ეს მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინი ორი კურდღლის მადევარის როლში აღმოჩენილიყვნენ, რომელიც ვერც ერთს ვერ დაიჭერდა. მათ სწორი ნაბიჯი გადადგეს და თავდაპირველად პრიორიტეტად სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა დასახეს. მის უშუალო გაგრძელება იქნებოდა ახალი ისტორიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. რაც სახელმძღვანელოების სერიას დასრულებულ სახეს მისცემდა. მაგრამ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, ამის სისრულეში მოყვანა, როგორც ჩანს, ვერ მოუხსნიათ. სკოლის სახელმძღვანელოების დაწერა მოასწრეს, მაგრამ მას გაგრძელება არ მოყოლია. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. მასზე მუშაობის დაწყება ვერ მოასწრეს. ასეთია რეალობა. მათ თავიანთი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყეს. ეს სწორი მიდგომა იყო. დარგის შენება სწორი გზით მიდიოდა. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი მათი მიდგომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად

მიგვაჩნია. ეჭვი არ გვეპარება, რომ დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაინერებოდა ახალი ისტორიის კვალიფიციური სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები. ეს მათ სავსებით ხელუნიფებოდათ და ამის პოტენციალი, ნამდვილად არსებობდა. მთავარი, სწორედ ეს იყო.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ამ საშური საქმის აკვანი დაირწა 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. არ გავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ფაქტობრივად, ეს იყო ამ დარგის განვითარებაში ეტაპობრივი მოვლენა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ორი გარემოება. უმთავრესად დიდი ივანე ჯავახიშვილის ძალისხმევით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექციების წასაკითხად მოიწვიეს ამ დარგის სპეციალისტები: სიმონ ავალიანი და გრიგოლ ნათაძე. პირველი ასწავლიდა ახალ ისტორიას, ხოლო მეორე კი ძველ ისტორიას და შუა საუკუნეების ისტორიას (12. 2 363. 13.8. 14. 19). დაზუსტებას საჭიროებს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის მეტად ფრთხილი ვარაუდი, რომ „ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში გრ. ნათაძემ წაიკითხა პირველმა მსოფლიო ისტორიის კურსი და სათანადო გზა და მიმართულება მისცა მომავალ ლექტორთა მუშაობას“ (15. 366) სინამდვილეში ეს ცოტა სხვაგვარად იყო. ამ საქმეში სიმონ ავალიანის წვლილი რატომღაც თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეს ერთი. მეორე. დაიწყო. მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოზე. მისი ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი დიდი ივანე ჯავახიშვილი ბრძანდებოდა. (16). ეს იყო ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მისი კიდევ ერთი დიდი დამსახურება, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ახალი

ისტორიის გაშუქების პირველ მცდელობასთან ქართულ რეალობაში. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ყოველგვარი ნიჰილისტური განწყობილება, რომელიც თანმდევი გახლდათ საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის, უადგილოა.

მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ სკოლაში ახალი ისტორიის ნორმალური სწავლება შეუძლებელი იქნებოდა კვალიფიციური სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე. მთელი ძალისხმევა, სწორედ, ამ მიზნის განხორციელებისაკენ წარიმართა. მნიშვნელოვანწილად, ამით გახლდათ განპირობებული სახელმძღვანელოების ის ბუმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს სახელმძღვანელოებია. (ვიხსენებთ მხოლოდ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებს).

დიმიტრი უზნაძე, ივანე გველესიანი, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი. (XV-XVII სს.) ნაწილი მეორე (XVIII-XIX სს.)

სიმონ ავალიანი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი პირველი (XV-XVII სს.) ნაწილის მეორე. (XVIII-XIX სს.)

ალექსანდრე წერეთელი, მსოფლიო ისტორია, ნაწილი მე-სამე, ახალი საუკუნეები, თეიმურაზ ჭუმბურიძე, ახალი ისტორია.

ალექსანდრე ვულფიუსი, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი (XV-XVII სს.)

ერნსტ ლავისი, ახალი ისტორია.

სახელმძღვანელოების ასეთმა სიმრავლემ კი არ უნდა დაგვაბნიოს და ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ ქაოსზე კი არ მეტყველებდა, არამედ მასში იმ კონკურენტუნარიანი გარემოს გამოძახილი უნდა დავინახოთ, რომელიც ამ საქმეში 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყო და ეს ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთი პლუსია. რა თქმა უნდა, იყო პრობლემები. და ძალიან ბევრიც, მაგრამ ქაოსი არ ყოფილა. შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ შექმნილი რთული სიტუაციის დალაგებას. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე

მუშაობის დანწყება, რაც მათ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, რომ განზარაბული უნდა ჰქონოდათ, დღის წესრიგში იდგა, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში. ფაქტობრივად, ცაიტნოტში, ეტყობა, ველარ მოასწრეს და მხოლოდ იდეის, სურვილის, დონეზე დარჩა. მიუხედავად ამისა, ეს სკეპტიკური განწყობილების საფუძველს არ იძლევა და ჩვენ უფრო ოპტიმისტურად ვართ განწყობილი. ეს იდეა, საინტერესოა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ ჩვენი აზრით, ახალ ისტორიაში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის საკითხის დასმა შეიძლება მივიჩნიოთ. ეს გაცილებით უფრო სწორი იქნება, ვიდრე პესიმისტური განწყობა. ხელები არ უნდა ჩამოუშვათ. ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დანწყება საინტერესოა და, ჩვენი აზრით, მასში მომავალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ანარეკლი მოჩანს. მისი კონტურები იკვეთება. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესახება.

* * *

ახლა მოდით მოკლედ გადავავლოთ თვალი სკოლის სახელმძღვანელოებს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის უვერტიურად გაისმა. მასში ირიბად, არაპირდაპირ, მოჩანს, თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. მასზე მუშაობა, რომ დაცლოდათ და ბოლომდე მიეყვანათ. ამ კონტექსტში საკითხის განხილვა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

პირველ ყოვლისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიმუშავოთ საკითხისადმი სწორი მეცნიერული მიდგომა. უკიდურესი ამბიციები სასურველი არ იქნებოდა. აქ მკაცრი მეცნიერული კრიტერიუმი საზომად არ გამოდგება. ასეთ მაღალ მიზნებს ისინი არ ისახავდნენ. მათ წინაშე გაცილებით უფრო მოკრძალებული ამოცანა იდგა. ის შეეხებოდა ნორმალური, კვალიფიცირებული, სასკოლო სახელმძღვანელოს დანერას. მისი

მთავარი მიზანი იყო მოკლედ, ლაკონურად, სადად, მოუთხროს მონაფეებს ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა. ამ კულტურტრეგერულ მისიას მათ შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვეს თავი. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოების მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ეს სახელმძღვანელოები, უდავოდ, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე და იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენად გვევლინება. ეს არაა პატარა საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, უმართებულო იქნება. სახელმძღვანელოებში მოცემული მეცნიერული ინფორმაცია საინტერესოა, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას კარგად დააკვლიანებდა და ახალი ისტორიის აქტუალურ თემებზე ზოგად წარმოდგენას ჩამოუყალიბებდა. ეს ცოტა არ იყო. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს. ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობა. ვფიქრობთ, ამაში მდგომარეობდა. აქ ნიჰილისტური განწყობილება, რომელიც შეინიშნებოდა საბჭოთა წლებში, უადგილო იქნება.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის შესწავლამ სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და, უმთავრესად, ასახვა მოასწრო ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს იყო სულ რისი გაკეთებაც მოასწრეს. სხვა რამის გაკეთება, უბრალოდ, ველარ მოასწრეს. ის გარემოება, რომ ამ მონაკვეთმა, ძირითადად, ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა, ვფიქრობთ, არანაირ ჩრდილს არ უნდა აყენებდეს არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება.

ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით შეესაბამება ისე, როგორც XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს, ძირითადად პრიორიტეტული იყო თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალფეროვანი მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ეს ადვილი გასაგებია. როგორც პირველი მცდელობა, ცხადია, ეს სახელმძღვანელოები უნაკლო ვერ იქნებოდა. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, უპირატესად, შეიძლება ორი გარემოებით ყოფილიყო განპირობებული. ჯერ ერთი. მასში 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილი უნდა დავინახოთ. მეორეც, ის ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის, ექოდ გაისმა. როგორც ვხედავთ, ისინი ამ რთულ საქმეში სწორ გზაზე იდგნენ, სწორ ნაბიჯებს დგამდნენ, მაგრამ ის მარტო ივარდებით არ ყოფილა მოფენილი. პრობლემები თავზესაყრელი იყო. ეს არა მარტო ექსტრემალური პოლიტიკური ვითარება, დროის მცირე მონაკვეთი, ფაქტობრივად ცაიტნოტი. იყო სხვა არანაკლებ სერიოზული პრობლემები, რომლის გვერდის ავლა, უმართებულო იქნებოდა. მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ამ სფეროში საქმიანობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ და ყველაფერი თავიდან, ნულიდან დაწყება მოუხდათ, ეს საინტერესო რაკურსია, რომელზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ ახალი სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერა სულაც არ იქნებოდა ადვილი საქმე და დიდ ძალისხმევას და რაც მთავარია დროს მოითხოვდა. დრო კი ძალიან ცოტა იყო. ქართულ სკოლას ჰაერივით ჭირდებოდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ამის გარეშე სკოლაში ამ საგნის

ნორმალური სწავლება შეუძლებელი იქნებოდა. რა გამოსავალი გამონახეს მათ? უნდა ითქვას ისინი გულხელდაკრეფილი არ იჯდნენ და ეძებდნენ ამ რთული სიტუაციიდან თავის დაღწევის რეალურ გზას. ამოდ არ დაიშვრნენ და იმ ექსტრემალურ ვითარებაში წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, გამოსავალი გამოძებნეს, რაც ამ სფეროში მათი საქმიანობის კიდევ ერთი პლუსია და ამის დავინყება, რა თქმა უნდა, სასურველი არ უნდა იყოს. ორი გზა არსებობდა, ერთი იყო ახალი ისტორიის რუსული ან საზღვარგარეთული სახელმძღვანელოების თარგმნა. ასეთია ალექსანდრე ვულფიუსის და ერნსტ ლავისის სასკოლო სახელმძღვანელოები. მეორე შედარებით უფრო რთული გზა იყო და ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების გადმოქართულებას, ქართულ რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას, ითვალისწინებდა. აქცენტი გაკეთდა პროფ. პავლე ვინოგრადოვის, პროფ. ნიკოლოზ კარეევის და პროფ. რობერტ ვიპერის, ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს ხაზია გატარებული დიმიტრი უზნაძის, ივანე გველესიანის, სიმონ ავალიანის, ალექსანდრე წერეთელის, თეიმურაზ ჭუმბურიძის ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში. აღსანიშნავია, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში თავის თავს მოიაზრებდნენ ამ სახელმძღვანელოების შემდგენლებად და არა ავტორებად. ზედმეტი ამბიციები სასურველი არაა. ასეთი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული და წმინდა პრაქტიკული, პრაგმატული, დატვირთვა გააჩნდა.

ჩვენი აზრით, ეს ნაბიჯი არანაირ ჩრდილს არ აყენებდა ამ სახელმძღვანელოების მნიშვნელობას და იმ ექსტრემალური ვითარებიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა, რომელმაც ქართულ სკოლას საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი პრობლემები. მოგწონთ თუ არა ეს სახელმძღვანელოები ერთი რამ უდავოა და ამის უარყოფა ძალიან გაძნელებოდა. ის ორ დადებით გარემოებასთან ასოცირდება. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის ამბავი, რომ ეს საგანი ქართულ სკოლაში და უნივერსიტეტში მშობლიურ ენ-

აზე ისწავლებოდა. ეს ცარიზმის შემდეგ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო და სიახლეს წარმოადგენდა. ეს ერთი მეორე. ამ სახელმძღვანელოებმა ქართულ სკოლას საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა მოსალოდნელი კოლაფსი, რომლის ალბათობა, ნამდვილად არსებობდა. ამიტომ ეს ნაბიჯი გამართლებული ჩანდა.

ვფიქრობთ, მრავლისმეტყველი უნდა იყოს, რომ ისინი, უმთავრესად, აქცენტს აკეთებდნენ იმ სახელმძღვანელოებზე, რომლებიც პროგრესულ-ლიბერალური პოზიციებიდან იყო დაწერილი. ეს, ცხადია, მეფის რუსეთის დროს არსებული ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების შემდეგ, რომლის მიხედვითაც ისწავლებოდა საქართველოს სკოლებში ეს საგანი, უდავოა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ყურადღებას იპყრობს მათი არჩევანი. ამგვარი გადანყვეტილება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და მისი მიზეზი, პირველ ყოვლისა, მათ მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. როგორც გვგონია, ის მათი შეხედულებების იდენტურობას შეიძლება უკავშირდებოდა. საქმე სულაც არ იყო ისე მარტივად, როგორ ეს ზედაპირზე ძვეს, აისბერგის ზედა, ხილულ, ნაწილს წარმოადგენს. ჩვენ შევეცდებით მას სულ სხვა რაკურსით შევხედოთ. უფრო იმ აზრისაკენ ვიხრებით, რომ ეს სახელმძღვანელოები მათ შეხედულებების რუპორი შეიძლება ყოფილიყო. ამან განაპირობა მათი არჩევანი. აქ კარგად იკითხება თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ახალი ისტორიის აქტუალური საკითხებისადმი მათი დამოუკიდებულება. ეს მიდგომა, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყო და აქვს არსებობის უფლება. ამიტომ ეს ნაბიჯი გამართლებული ჩანდა. მას, კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დატვირთვა გააჩნდა. ამან საშუალება მისცა ქართული სკოლას დრო მოეგო და ამ საშური საქმის გასაკეთებლად კიდევ უფრო კარგად მომზადებულიყო, მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა და ამაში მათი დადანაშაულება ძალზე ძნელი იქნებოდა. იმ ექსტრემალურ ვითარებაში,

დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტოტში, ეტყობა, მათ მხოლოდ ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერა მოასწრეს. ეს იყო ის რაც მოასწრეს. სხვა რამე უზრალოდ ვერ მოასწრეს. მათ შორის ახალი ისტორიის საუნევერსიტეტო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყებაც შეიძლება იქნას მოაზრებული.

საფიქრელია, რომ ეს არ იყო დასრულებული სახელმძღვანელო. საქმე გვაქვს დაუსრულებელ სახელმძღვანელოსთან. მიმდინარეობდა მისი შემდეგი სრულყოფა, დახვეწა, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვერც ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. ჩვენი აზრით, საქმე შეიძლება გვექონდეს ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესთან, რომელიც, ჩვენთვის კარგად ცნობილი მიზეზთა გამო, დასრულებული არ ყოფილა (17. 229. 18. 94-98).

დღეს ეს სახელმძღვანელოები, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკარავს, მაგრამ, ჩვენი აზრით, არის ერთი პატარა, თუმცა საინტერესო ნახნაგი, რომელსაც თავისი მნიშვნელობა, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც არ დაუკარგავს. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეს სახელმძღვანელოები ამ დარგის წარსულის საინტერესო წყაროს წარმოადგენს. ეს კიდევ ერთი განსხვავებული რაკურსია. ის საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ მთელი რიგი საბჭოთა სტერეოტიპები და კლიშეები, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში. მითებს რეალობა ამსხვრევს, ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილეს როდი უკავშირდება (10. 9-27. 19).

მამ ასე, ამგვარ რელობასთან უნდა გვექონდეს საქმე. მათი განზარხვა შეექმნათ მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის ცხადია, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალი, რომელიც ითვალისწინებდა პირველი, ეროვნული სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოების დაწერას, იმ ექსტრემალურ ვი-

თარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტ-ში. რომელიც უპირატესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასო-ცირდებოდა, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. ეს არის რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ორივე უკიდირესობა მიუღებელია. სასურველია უფრო დაბალანსებული მიდგომა. ჩვენ შევეცადეთ გაგვეკეთებინა ეს.

დანერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე და აქ სკეპტიკური განწყობილების, რომელიც ძალზე ნიშანდობლივი გახლდათ საბჭოთა პერიოდისათვის, ვერანაირ საფუძველს ვერ ვხედავთ. ეს სრულიად უადგილო იქნებოდა. ეს მწირი ინფორმაცია, ცხადია, ძალიან ცოტაა, საკმარისი არ უნდა იყოს და გარკვეული უკმარისობის გრძნობა გვრჩება. ეს გასაგებიცაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სხვა უფრო ვრცელი მასალა უბრალოდ არ გაგვაჩნია, სულ ეს არის რაც გვაქვს. ამიტომ იმას უნდა დავჯერდეთ. რაც მოგვეპოვება. ეს გახლავთ მკაცრი რეალობა, რომლის გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნებოდა. მეტის გაკეთება უბრალოდ ვეღარ მოასწრეს. რაოდენობრივად ეს ბევრი არაა, მაგრამ თვისებრივად, ხარისხობრივად, ვფიქრობთ, ეს ნამდვილად არ უნდა იყოს მთლად ასე. ჩვენი აზრით, ძალიან კარგი იქნება თუ ამ თემაზე მსჯელობის დროს გავითვალისწინებთ, არა მარტო იმას რისი გაკეთებაც მოასწრეს, არამედ იმასაც რისი გაკეთებაც განზრახული უნდა ჰქონოდათ, მაგრამ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, როგორც ეტყობა, ვეღარ მოასწრეს და ბოლომდე ვერ მიიყვანეს, განუხორციელებელი დარჩათ. ეს მათი ბრალი არ იყო. ამაში ბრალს არავინ არ დებს, მათი დადანაშაულება სწორი არ იქნებოდა. ეს ამ სფეროში მათ წვლილზე უფრო ადეკვატურ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ დანერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე, უდავოდ, წინ-

გადადგმული ნაბიჯი იყო და ქართულ რეალობაში ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. როგორც პირველი მცდელობა ეს სახელმძღვანელოები, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მას, რა თქმა უნდა, გააჩნდა თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ, ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, რაც დომინირებდა საბჭოთა წლებში, აპოლოგეტური მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს აღნიშნულ საკითხზე ადეკვატური წარმოდგენის ჩამოყალიბებაში ვერ დაგვეხმარება. სწორ გზას აცდენილი ვიქნებით. ამგვარი მაღალი მეცნიერული დონე, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსულის ისტორიოგრაფიის გამოძახილს წარმოადგენს. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა ისტორიული მეცნიერებაში XX საუკუნის დასაწყისში და ცდილობს დანერგოს ის ქართულ სინამდვილეში. აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე. ისტორიული მოვლენების მრავალვარიანტულ მიდგომაზე. პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ შეხედულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ამიტომ აქ აპოლოგეტური ტონი სრულიად უადგილოა. მიუღებელი იქნებოდა. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ჩვენი აზრით, ის რომ მან ასახვა მოასწრო მხოლოდ სკოლის სახელმძღვანელოებში, არანაირად არ აკნინებს ამ ინფორმაციის მნიშვნელობას და არავითარ ჩრდილს არ აყენებს, არც ამ მონაკვეთის და არც ამ სახელმძღვანელოების შემეცნებით დატვირთვას. მას მეცნიერული მუხტი გაჩნია, მაგრამ აქვე უნდა დავძინოთ, რომ მისი მნიშვნელობის გადაჭარბება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აქ თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაციის აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა, რაც პრიორიტეტული იყო ამ

ცოტა ხნის წინათ, მართებული არ იქნა. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრებთან, კონტურებთან, სიმპტომებთან, პირველ ნიშნებთან. იკვეთება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა. ეს ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და კარგად იკითხება. ეს საკითხი ჩვენ ასე გვესმის.

მათ ერთი კარგი საქმე გააკეთეს. დაწერეს მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, რომელიც, ვფიქრობთ, ძალიან კარგად შეესატყვისება XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და სავსებით თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ჩარჩოებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მაგრამ ეს პროცესი დასრულებული არ ყოფილა. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. ეს სრულიად ნორმალური პროცესი იყო. მაგრამ, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რომელსაც მჭიდრო გენეტიკური კავშირში იყო პოლიტიკური კატაკლიზმებთან, ბოლომდე მიყვანილი არ ყოფილა, ის დაუსრულებელი დარჩათ. ასეთია რეალობა.

ერთი კარგი საქმე გააკეთეს და დადებითი შედეგი დადეს. არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ აქ წერტილის დასმას, შეჩერებას ისინი, არ აპირებდნენ. ეს ამ წამოწყების შუა გზაზე მიტოვების ტოლფასი იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი განზრახვა მათ არ ჰქონდათ. ლოგიკურია ვიფიქროთ. რომ დღის წესრიგში იდგა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. გასრულება. ის ითვალისწინებდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერას. ეს სავსებით ლოგიკური იყო. ეს ნაბიჯი სრულიად გამართლებული ჩანდა. ის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალს დასრულებულ სახეს შექმნდა. დაინერებოდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. უნდა ითქვას, რომ ისინი ამ რთულ საქმეში სწორი გზით მიდიოდნენ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხან-

მოკლე აღმოჩნდა. ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა ერთ-ერთ მათგანად მიგვანჩნია ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს და ის დაწერეს. ეს ცხადია ძალიან კარგია. ერთი კარგი საქმე, ავად თუ კარგად, გაკეთებული იქნა. ეს მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი იყო. მას უნდა მოყოლოდა მეორე ნაწილი გაგრძელება. ამაზე შეჩერება ისინი, ალბათ, არ აპირებდნენ. ის მიზნად ისახავდა ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყებას და მის დაწერას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე იყო და ამ საშური საქმის გაკეთება, როგორც ჩანს, ვეღარ მოასწრეს. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს თითქოს მათ ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა განზრახული არ ჰქონდათ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ყოველგვარ ეჭვს გარეშე უნდა იყოს, რომ ეს საკითხი აუცილებლად იდგა დღის წესრიგში და მათ განზრახული უნდა ჰქონოდათ დაეწერათ ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის პირველი ეროვნული სახელმძღვანელო. ეს ადვილი გასაგებია და ამაში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, ყველაფერი ლოგიკური და კარგადაა გათვლილი. ეს დაწყებული საქმის გაგრძელება იქნებოდა. ამ სახელმძღვანელოს დაწერა, რომ მოესწროთ, ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას რომ სინამდვილეში ეს ასე არ მოხდა, რაც, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. მათი ეს ძალისხმევა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ, როგორც ეს საბჭოთა წლებში ხდებოდა. ჩვენი აზრით, საგულისხმოა და ეს მონაკვეთი საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. ახალი ის-

ტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს და დაწერეს. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა, რომელიც ამის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა, დღის წესრიგში იდგა. მაგრამ ვერ განხორციელდა. პოლიტიკურ კატაკლიზმებს შეეწირა. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რომელიც, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული, ეტყობა, ვეღარ მოასწრეს და ის არ დაუწერიათ. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, საკითხის დასმასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე. რომლის შეუფასებლობა, როგორც ჩვენ გვგონია, სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის.

მოკლე რეზიუმეს სახით. საინტერესო ვითარებასთან უნდა გვეკონდეს საქმე. მათ დაიწყეს მუშაობა და დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ერთი კარგი საქმე გაკეთებული იქნა. პირველი სწორი ნაბიჯი გადაიდგა. ეს მათი წარმატება იყო. ეს მათი ჩანაფიქრის პირველი საფეხური იყო. აქ ისინი წერტილის დასმას არ აპირებდნენ. ამას, უეჭველად, მოყვებოდა მეორე საფეხური, რომელიც პირველის გაგრძელება იქნებოდა. ის ითვალისწინებდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერას და წრედი შეიკვრებოდა. დაიწერებოდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ისინი ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო მოვლენები სულ სხვა სცენარით წარიმართა. რაშიც მათ ბრალს ვერავინ დადებს. ლოგიკური იქნება ვიფიქროთ, რომ მათ განზრახული უნდა ჰქონოდათ უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა. ეს საკითხი აქტუალური იყო და, უეჭველად, იდგა დღის წესრიგში. სხვაგვარად წარმოუდგენელი იქნებოდა. ასეთი ჩანაფიქრი, სურვილი, იდეის დონეზე, ნამდვილად იარსებებდა, მაგრამ, საბჭოთა ხელისუფლებას ამაზე აპელირება, ცხადია, არ აწყობდა და დუმილით

უვლიდა გვერდს, ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ეს აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. ყველაფერი ეს საინტერესო უნდა იყოს და, ჩვენი აზრით. საკითხის დასამასთან შეიძლება გვეკონდეს საქმე. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მათი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება და მისი დაწერა, უბრალოდ, ვერ მოასწრეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა და მალე დასრულდა. მათი ჩანაფიქრი დაეწერათ ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზირებული. დაწყებული საქმის დასრულება, ბოლომდე მიყვანა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. ეს გახლავთ ის რეალობა, რომელიც უმთავრესად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით კადრს მიღმა რჩებოდა და ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ვფიქრობთ, ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება, რომელიც ქართულ საზოგადოებას საშუალებას მისცემს თავი დააღწიოს ძალად თავს მოხვეული საბჭოთა სტერეოტიპებს და შტამპებს, რომელმაც მყარად მოიკიდა ფეხი ფართო საზოგადოების ცნობიერებაში და აღნიშნულ საკითხზე გაცილებით უფრო რეალური, ადეკვატური, წარმოდგენა შეიმუშავოს. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

განსხვავებული მიდგომის მთავარი პოსტულატები ასე გვესახება:

1. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს წლები არ ასოცირდება ამ დარგის რეგრესთან, სტაგნაციასთან, ჩავარდნასთან, როგორც ამას ხაზს უსვამდნენ საბჭოთა წლებში. პი-

რიკით, ის წინ მიდის, ვითარდება, პროგრესირებს. ეს იყო რეალობა, რომელიც ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესების დაწყება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოებით დაგვიანებულად მიგვაჩნია. ის დაზუსტებას, კორექტივების შეტანას საჭიროებს. სინამდვილეში ის თავის პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებს დგამს, ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის. ამ წლებში გამოსული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. საქართველოს გასაბჭოებამდე ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების შესწავლის კულმინაციად, პიკად, ამ სფეროში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილი მიგვაჩნია. დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს არ იყო პატარა საქმე და ამის წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, მიზანშეწონილად არ მოგვაჩნია. ახალი ისტორიის თემატიკით დაინტერესება ყურნალისტიკის, პუბლიცისტიკის სფეროდან მეცნიერებაში ინაცვლებს და სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს. გამოძახილს პოვებს ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ეს მხოლოდ დასაწყისია, პირველი ნაბიჯები იყო, და არა დასასრული, როგორც ეს აღმოჩნდა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო როგორც ირკვევა, ამ სფეროში საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიას თავისი საქმიანობა ცარიელ ნიადაგზე, ნულიდან კი არ დაუწყია, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა იდეოლოგია, არამედ გარკვეული ტრადიცია დახვდა, რომლის უგულვებელყოფასაც ამაოდ ცდილობდნენ. საბჭოთა მიდგომა გაკოტრდა, ჩამოიშალა, სრული ფიასკო განიცადა. ასეთია რეალობა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართულ საზოგადოების თვალთახედვის სფეროში ვერ ხვდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.

2. განსხვავებული მიდგომის სამ მთავარ კომპონენტად გვევლინება. ა. ამ სფეროში 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა პერიოდში ელიმინირებული, ამოღებული, აღმოჩნდა ამ დარგის წარსულიდან, თითქოსდა არც კი არსებობდა, გაქრა, გაუჩინარდა, მივინყების სქელ ნისლში გაეხვია. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ დარგის განვითარების სრულად განსხვავებული და შეიძლება ითქვას უფრო რეალისტური სურათი დავდეთ, რომელიც საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა. ამან განსაზღვრა ჩვენი მსჯელობის პოლემისტური ტონი.

ბ. სულ სხვაგვარად შევხედეთ ამ დარგის განვითარების საკითხში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობას, მის აპოლიგეტური შეფასება, რომელიც დომინირებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, გადაჭარბებული უნდა იყოს და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. დღეს ასეთ მიდგომა მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის უსაშველო ლანძღვა-გინება ამუქებს საქმის ვითარებას. ეს სულ სხვა უკიდურესობა იქნება. ორივე უკიდურესობა მიუღებელია, „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაცოლოთ“. ეს განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი არსებითი კომპონენტია.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ უნდა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სულ სხვა გზით წარიმართა, რომელიც, როგორც არაერთგზის გვითქვამს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელია მივიჩნიოთ. ასეთია რეალობა და მისი არც შელამაზება, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება გამართლებული არ უნდა ჩანდეს. საქმე გვაქვს სწორი გზიდან გადახვევასთან. ამიტომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიღწევების უსაშველოდ გაბუქვა, რაც ძალზე პოპულარული იყო იმ წლებში, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. ჩვენ გადავხედეთ ამ საკითხს და ვცადეთ საშუალებო გზის გამოძებნა, რომელიც თავიდან აგვაცილებდა ორივე უკიდურესო-

ბას, აპოლოგეტურ მიდგომა და შეუფასებლობა. აღვნიშნეთ მისი პლუსები, რომელიც, უეჭველად, გააჩნია და ამის უგულვებლყოფა ამუქებს საქმის ვითარებას და, ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი, უდავოა. ხაზი გაუსვათ, რომ ჩრდილი დომინირებდა შუქზე. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იყო და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოლოგიური გაუფერულების გამოცხილია. (9. 8-22. 10. 27-45. 11. 42-78. 20). მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობა აღარ იყო ძველებურად აქტუალური.

გ. ნაშრომში ისტორიოგრაფიაში პირველად ეცადეთ პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასება. ფაქტობრივად, ეს გახლავთ თანამედროვე ანუ უახლესი ქართული ისტორიოგრაფია. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ამ კუთხით მისი გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად, შეფასება ძალზე ძნელი იქნება. პლუსებთან ერთად გააჩნია მინუსებიც, რომლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილია, მაგრამ ისე გვეგონია, რომ დაძლევადა. დროში ცოტათი გაიწელა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ყოველნაირად ცდილობს დააღწიოს თავი ძალად თავს მოხვეული ერთი ვინროდოგმატიურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას და სწორ გზას დაუბრუნდეს. ეს ცხადია, ძალიან კარგია, მისი პლუსია. რა თქმა უნდა, ეს იქნება რთული და მტკივნეული პროცესი. წარმატებებთან ერთად გვექნება პრობლემები. ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, ისე როგორც არ არსებობს პანიკის საფუძველი. ამ პრობლემის დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. (11. 42-78).

3. უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, საქართველოში დასავლეთ ევროპის ქვეყნების ახალი ისტორიის შესწავლის საერთო სურათის და პერიოდიზა-

ცია, გამრუდებული იქნა. ეს იმით გამოიხატა, რომ ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილი სრულიად მივიწყებული, უგულვებელყოფილი, იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. საბჭოთა მიდგომა, როგორც არა ერთი გზის გვითქვამს, ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. სულ სხვა აქცენტი დავსით და ამ დარგის განვითარების სულ სხვა და გაცილებით უფრო რეალისტური სურათი შევეცადეთ დავგვეო. (9. 10. 11).

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ერთ-ერთი წარმატებად ახალი ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მიგვაჩნია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა თითქოს ამ დარგს ისტორია, წარსული, არ გააჩნდა. სინამდვილეში ასე არ იყო. წინამორბედის წვლილის გაბიაზურების ხარჯზე ხდებოდა საბჭოთა წლების უსაშველო განდიდება. წინამორბედების წვლილისადმი უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა წარმოდგენის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

4. ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ თავდაპირველად ქართული ისტორიოგრაფია სწორი მეცნიერული გზით მიდიოდა, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული, სწორ არჩევანს აკეთებდა, სწორ აქცენტებს სვამდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და მისი, უდავო, პლუსია და ამის გვერდის ავლა, როგორც ეს ხდებოდა ცოტა ხნის წინათ, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. 1918-1921 წლებში საქართველოში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. როგორც უკვე ითქვა, უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა თავისუფალ აზროვნებაზე. ისტორიული მოვლენისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, სა-

ქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ დამოკიდებულებასთან. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, სწორი არ იქნება ჩავანაცვლოთ აპოლოგეტური მიდგომით. ეს სულ სხვა უკიდურესობაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და ძალიან კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. ეს ევროპულ დონეა და ამაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აქ საკამათოს ვერაფერს ვხედავთ.

5. განსხვავებული ხედვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი დადებითი მიდგომა., ეს საბჭოთა წარმოდგენების საპირწონეა. ამგვარი პოზიტიური პოზიცია თანამედროვე ქართული რეალობის ფონზე გარკვეულ სიახლეს წარმოადგენს, წინგადადგმული ნაბიჯია. ის, რომ ეს სკოლის სახელმძღვანელოებია, ჩვენი აზრით, არიანაირად არ აკნინებს მის მნიშვნელობას, იკვეთება ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი მეცნიერული მიდგომის წანამძღვრები, კონტურები, სიმპტომები, პირველი ნიშნები, ეს, ცხადია, ძალიან კარგია, იკითხება ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების მეცნიერული გაშუქების წინაპირობა. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და ამაზე თვალის დახუჭვა ძნელი იქნებოდა. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. ამაში გასაკვირი არც არაფერია. ამიტომ ამ სახელმძღვანელოების შეუფასებლობა, რაც იგრძნობოდა სულ ცოტა ხნის წინათ, არ უნდა ჩავანაცვლოთ აპოლოგეტური მიდგომით. ეს მიზანშეწონილი არ იქნება.

6. განსხვავებული მიდგომა არ შეეხება მხოლოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიას. მისი არეალი გაცილებით უფრო ფართოა. მასში ნებისთ თუ უნებლიეთ ჩართული აღმოჩნდა მთ-

ლიანად XX საუკუნის ისტორიოგრაფიას, რომელიც საბჭოთა წლებში მრუდე სარკეში აირეკლებოდა. ის აგრეთვე შეეხება პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას. ასეთი შთაბეჭდილება იქნებოდა რომ საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი კეთდებოდა და მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაადგა ის სწორ გზას. ჩვენ ვეცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ საკითხის რეალისტური სურათი დაგვედო. გვინდოდა განსხვავებულად დაგვეჩვენა XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფია. საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი განსხვავებულმა მიდგომამ დღის წესრიგში დააყენა XX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიისადმი სხვაგვარი დამოკიდებულება. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ პრიორიტეტულად. აპოლოგეტური ტონი სადღაც გაქრა. წარსულს ჩაბარდა.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართული ისტორიოგრაფია აღწევს ევროპულ სტანდარტებს. პოზიტივისტური იტორიოგრაფიის მაღალ დონეს. დიდი ივანე ჯავახიშვილის შემოქმედება, ვფიქრობთ, ამის კარგი ნიმუშია. ეს საქართველოს ისტორიაში. მას არც მსოფლიო ისტორია ჩამორჩა, თუმცა უნდა ითქვას, რომ უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო, ეს კვალი შედარებით უფრო მკრთალია და ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო მხოლოდ დაფიქსირება. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, მოასწრეს. მეტი გაკეთება ვეღარ მოასწრეს. ეს, ცხადია, არ იყო მათი ბრალი. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს. ეს, რა თქმა უნდა, პატარა საქმე არ უნდა იყოს და მათ წარმატებას წარმოადგენს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფიამ რთული მეტამორფოზი განიცადა და იძულებული გახდა გადაეხვია არჩეული კურსისთვის. ევროპულმა ორიენტაციამ გარკვეული კორექტივები განიცადა. ეს სულ სხვა გზა იყო. უნდა ითქვას, რომ ასეთი მკვეთრი სახეცვლილება, აშკა-

რად ცილდებოდა წმინდა აკადემიურ ფარგლებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნდა, რომელიც, ცხადია, საქართველოს გასაბჭოებასთან ასოცირდებოდა. მთავარი განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ევროპული ისტორიოგრაფიის განვითარება აკადემიურ ჩარჩებში გაგრძელდა. 1921 წლის შემდეგ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებას, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. მთავარი განსხვავება ევროპულ და ქართულ ისტორიოგრაფიის შორის, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს, ის ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. (9.13).

7. ჩვენი შეხედულებით, საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის კულმინაციად, პიკად, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ლონისძიებები შეიძლება დავსახოთ. დაწერეს მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, საკვანძო საკითხების განხილვის პირველ მცდელობასთან ქართულ ისტორიოგრაფიაში. ეს იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე, უეჭველად, იყო წინგადადგმული ნაბიჯი. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და ამაზე თვალის დახუჭვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში, გამართლებული არ უნდა იყოს. არსებობდა იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური ქარტახილები, ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება სწორი გზით მიდიოდა და გაგრძელდებოდა. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ევროპული კურსი შენარჩუნდებოდა. იძულებული არ იქნებოდნენ, რომ მისი კორექტირება მოეხდინათ და სულ სხვა გზით წასულიყვნენ. ევროპული სტანდარტები მარქსისტულ აპკში გაეხვიათ. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება შეფერხდა. დღეს ხდება მისი აღორძინება. პროცესი არის რთული და მრავალწახნაგოვანი და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება ძალზე გაჭირდება. საბჭოთა ისტორიოგრაფია

წარმოადგენდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატიურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ნაზავს. (11. 59-60).

8. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლა, ვფიქრობთ, სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ამას საბჭოთა წლებში გვიხატავდნენ. მან საინტერესო ევოლუცია, ფერისცვალება, განიცადა, რომელიც სწორხაზოვნად კი არა, უფრო ზიგზაგისებურად, სპირალისებურად, წარმოგვიდგენია. ის სამი ფაზისაგან შედგება და მხოლოდ წინსვლასთან, პროგრესთან, როდი ასოცირდება. ასეთ საინტერესო სურათს ვიღებთ. წარმატებებთან ერთად იყო ჩავარდნები, რომელზეც თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

როგორც ირკვევა, თავდაპირველად საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის შესწავლა. სწორი გზით მიდიოდა, მეცნიერულ ხასიათს ატარებდა და სავსებით აკმაყოფილებდა პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს. ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის კარგი ნიმუშია. ეს განსხვავებული მიდგომა ლაიტმოტივად გასდევს ამ დარგში ჩვენს მრავალრიცხოვან შრომებს. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, დაზუსტება. (9. 8-22. 10. 27-45. 11. 11-42).

ქართული ისტორიოგრაფია შეძლებისდაგვარად ცდილობს ფეხი აუწყოს და არ ჩამორჩეს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა იმ პერიოდის ევროპულ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსულ ისტორიოგრაფიაში და დანერგოს ეს კარგი ტრადიცია ქართულ რეალობაში. ცხადია, ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ.

მკვეთრი მეტამორფოზი ხდება 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რომელსაც სულაც არ გააჩნია ისეთი პოზიტიური დატვირთვა, როგორც ამას ხაზს უსვამდა საბჭოთა ისტორიოგრაფია. ამ თემას შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოაჩენდნენ. ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ

სხვა ხასიათი შეიძინა, ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციის, სტალინიზაციას. ახლა ყველაფერი ცენტრიდან იმართება. ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა მეტი ალარაა აქტუალური. ქართულ ისტორიოგრაფიას ძალით მოახვიეს თავს ერთი ვინრო დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატი. სხვა არჩევანი არ არსებობდა.

ამ ევოლუციის მესამე ფაზად, დასკვნით აკორდად, 90-იანი წლების დასაწყისი გვევლინება, რომელიც კვლავ პოლიტიკურ კატაკლიზმებს უკავშირდება და ამჯერად მკვეთრად გამოკვეთილ პოზიტიური ელფერი გააჩნია. ის საბჭოთა კავშირის დაშლასთანაა დაკავშირებული. ამიტომ პოლიტიკური კატაკლიზმების სწორხაზოვნად შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და კონკრეტული ისტორიული სიტუაციიდან უნდა ამოვიდეთ.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზაზე დაბრუნებას, სწორი არჩევანის გაკეთებას, სწორი აქცენტების დასმას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე. წარმატებებთან ერთად იქნება ჩავარდნები. ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, მაგრამ არსებული სირთულეების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია, პანიკის მიზეზი არ გვაქვს. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის.

დაინერა ახალი ისტორიის რამდენიმე სახელმძღვანელო. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და უახლოესი პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. უკეთესის მოლოდინი გვაქვს. სახელმძღვანელოებში ნამდვილად აქვს ადგილი ძველი მარქსისტული სტრეოტიპებისაგან გათავისუფლების მცდელობას, რაც ამ სახელმძღვანელოების, არა ყველასი, პოზიტიურ მხარედ გვევლინება. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ძველი ინერციით კვლავ გადავანყდებით შემორჩენილ მარქსისტულ კლიშეებს, ეს დაძლევადა და დროს ჭირდება, პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია მცნებები: „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“,

„ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული კულტურა“. ეს ძველი კლასობრივი მიდგომის ექოდ გაისმის და საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამახასიათებელი შტრიხი გახლდათ.

9. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ საინტერესო დასკვნა და გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა წარმოდგენა. ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას.

ა. საქართველოში ახალი ისტორიის საკითხებით დაინტერესება შეუქცევად ხასიათს იძენს, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ შედარებით ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს არ იყო პატარა საქმე და იმ პერიოდის ქართული რეალობის ფონზე, უდავო, წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ეს ამ ვაკუუმის შევსების პირველი მცდელობა იყო, რომელიც ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა.

ბ. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის საქმეში თვისებრივი, ხარისხებრივი, ცვლილებები მოხდა არა 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს დიდი ხნის განმავლობაში ეგონათ, არამედ გაცილებით ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მისი კვალი ფიქსირდება ამ წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ასეთია განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი საინტერესო ნახნაგი, რომლის მთავარ წყაროდ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოცემული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები გვევლინება. ეს ამ სახელმძღვანელოების კიდევ ერთი პლუსია, რომელსაც თავის მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ამიტომ ამ სახელმძღვანელოებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, უადგილოა. [9. 9-27. 19].

10. ჩვენ თვალწინ ჩამოიშლება კიდევ ერთი საბჭოთა მითი, რომელიც საქართველოში მსოფლიოს ისტორიის, სახელდობრ ახალი ისტორიის, სწავლებას უკავშირდება. საქმე ესოდენ ნაცნობ სურათთან გვაქვს. ირკვევა, რომ საქართველოს სკოლაში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, რა თქმა უნდა, ახალი ისტორიის სერიოზული სწავლების პირველი პრეცედენტი იქმნება, არა საბჭოთა პერიოდის ქართულ სკოლაში, როგორც ეს ადრე ეგონათ, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. მისი გამოძახილი გვხვდება იმ წლებში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში ახალი ისტორიის თემატიკის გაშუქების პირველ მცდელობასთან. ეს იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო. მისი მნიშვნელობა, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. შეიქმნა ქართულ სკოლაში ახალი ისტორიის სწავლების პირველი პრეცედენტი. ცარიზმის დროს ეს საგანი ისწავლებოდა რუსულ ენაზე. ახალ სახელმძღვანელოებთან ასოცირდება ორი კარგი საქმე. ჯერ ერთი სკოლასა და უნივერსიტეტში ეს საგანი ისწავლებოდა ქართულ ენაზე. მეორე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოებმა ქართული სკოლა გადაარჩინა მოსალოდნელ კოლაფსს, რისი დიდი ალბათობა ნამდვილად არსებობდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოხდა სერიოზული სახეცვლილება და ამ საქმემ სულ სხვა ხასიათი მიიღო. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია. ეროვნული სახელმძღვანელოების დანერა უწინდებურად აქტუალური აღარ იყო. ეს წინ გადაგმულ ნაბიჯს არ წარმოადგენდა. ის საბჭოთა რეალობის გამოძახილია. მისი მთავარი ტონისმიმცემელი სტალინი ბრძანდებოდა. ამიტომ დღეს ძალიან უხერხულია ლაპარაკი იმაზე, ვითომ საბჭოთა ხელისუფლება არ ერეოდა მეცნიერებაში. ეს დღეს უბრალოდ ღიმილის მომგვრელია, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

11. არის კიდევ რამდენიმე სიახლე, რომელიც შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს, მაგრამ მისი უყუ-რადღებოდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღ-ნიშნულ თემაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიყალიბებს. მისი გაუბრალოება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

შევეხებით განსხვავებული მიდგომის რამდენიმე კომპო-ნენტს, რომელიც, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. დე-ტალებს შეხება, წვრილმანია და შეიძლება შედარებით ნაკლე-ბი მნიშვნელობა გააჩნდეს. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მისი გაერთიანება ასე უფრო უმჯობესი იქნებოდა. ა. არის ერთი საკითხი, რომელიც მართალია ნიუანსებრივია, მაგრამ, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება. საქმე ეხება ერთ აქ-ტუალურ თემას, მარად უკვდავ საკითხს, მსოფლიო ისტორიის ქართულ ტერმინოლოგიის დადგენას. მას აქვს მნიშვნელობა. ეს საშუალებას მოგვცემს მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გავაბათილოთ კიდევ ერთი საბჭოთა მითი. მითებს რეალობა ამსხვევს. ის ასე გამოიყურება.

როგორც ჩანს, ამ დარგის ქართული ტერმინოლოგიის შე-ქმნის პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ხანაში, არამედ გაცილებით ცოტა უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამის პირველ მცდელობად ამ წლებში გამო-სული მსოფლიოს ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები შეიძლება იქნას მოაზრებული. ეს იმ პე-რიოდის ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, გამართლებულად არ შეიძლე-ბა იქნას აღქმული. როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, უნაკლო ვერ იქნებოდა და მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, გამორიცხული არ იყო. სახელმძღვანელოებში შეინიშნება რუ-სული ტერმინოლოგიის გამოძახილი, რაც რუსული სახელმძღ-ვანელოების გავლენის შედეგია. სასურველი იქნებოდა ამას ყუ-რადღება მიქცეოდა. ეს არ იყო ძნელი.

ბ. განსხვავებული მიდგმის კიდევ ერთი კომპონენტი უკავშირდება სასკოლო სახელმძღვანელოს მეთოდურ მხარეს. კითხვარებს. ზოგიერთ სახელმძღვანელოს ის აქვს დართული, ზოგიერთს კი არა. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომში ისინი აპირებდნენ ამის გაკეთებას, მაგრამ, ეტყობა, ვეღარ მოუსწრიათ. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ჩვენი აზრით, ეს ამ საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს უფრო სწორი იქნებოდა. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. გამოვთქვამთ მხოლოდ ჩვენს სუბიექტურ აზრს.

ირკვევა რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯის გადადგმის მცდელობას ადგილი ჰქონდა, არა 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს ეგონათ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ ცოტათი უფრო ადრე, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამოსულ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში. აქვე დავძენთ, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში მოთავსებული კითხვარები, ძალიან ბევრია. ცოტათი გადატვირთული გვეჩვენება. მისი შემდომი სრულყოფა დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იყოს.

ამ ორი საუკუნის მიჯნაზე, საერთოდ ისტორიისადმი და მათ შორის, ცხადია, ამ პრობლემისადმი დამოკიდებულებამ სერიოზული ტრანსფორმაცია, ცვლილება, განიცადა, რაც, პირველ ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ აქტუალური შეიქმნა, დღის წესრიგში დადგა, ძველი ფასულობების გადაფასება. საბჭოთა წარმოდგენა მოძველდა, ყაველი გაუვიდა, ისტორიული რეტროს სურნელი ახლავს. ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. როგორც არაერთგზის აღვვინიშნავს, ის იყო ძალზედ იდეოლოგიზირებული, პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება, მისი მთავარი სულის ჩამდგმელი იყო პროლეტარიატის დიდი ბელადი ი. სტალინი. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. აღნიშნული საკითხის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან მეცნიერული მსჯელობის საგნად ვაქციეთ.

ამან საშუალება მოგვცეს ეს პრობლემა სულ სხვაგვარად და შეიძლება ითქვას, რომ გაცილებით უფრო ობიექტურად დაგვე-
ნახა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები
დავსახეთ. ეს იყო საბჭოთა მიდგომის საპირწონე. მოხდა სიმ-
დიმის ცენტრის გადატანა საბჭოთა რეალობიდან, ამ სფეროში
1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის
მოკრძალებულ წვლილზე, რომელიც უმთავრესად, საბჭოთა ხე-
ლისუფლების ძალისხმევით, კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო
საზოგადოების თვალთახედვის მიღმა რჩებოდა. ეს ამ დარგის
რეალისტურ სურათს ვერ გვიქმნიდა. განსხვავებული მიდგომის
მთავარ კვინტესენციად, დედააზრად, ამ საკითხში 1918-1921
წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრ-
ძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, გვევლინება.
(10, 81-88. 11. 289-302).

* * *

ამრიგად, ჩვენ კატეგორიულად უგულვებელყოფთ ამ პრო-
ბლემაზე საბჭოთა წარმოდგენას, რომელიც დღეს სავსებით
მოძველდა, ყავლი გაუფიდა, ისტორიული მეცნიერების განვლი-
ლი ეტაპია. როგორც უკვე ითქვა, ის იყო ძალზე ცალმხრივი
და უაღრესად ტენდენციური, არანაირი მეცნიერული საფუძვე-
ლი არ გააჩნია, მეტად ხისტად მიგვაჩნია. ძირშივე მცდარია და
რაც მთავარია არაეროვნული და არაპატრიოტულია, ის, ბუნე-
ბრივია, ამ დარგის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ
გვიხატავს. რა გასაკვირია, რომ ის ჩამოიშალა, გაკოტრებულია.

სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა პრიორიტეტები
დავსახეთ. შევეცადეთ, რომ ამ თემის გაშუქება პოლიტიკური
განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია.
განსხვავებულ მიდგომის მთავარ პოსტულატად, თეზად, დავ-
სახეთ ამ დარგში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრა-
ტიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია,
რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში მივიწყებული იყო,

უკვე აღარავის ახსოვდა. დარგის წარსულიდან ელიმინირებული, ამოღებული, იქნა. ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა დარჩა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ფაქტობრივად, ამ დარგს ისტორია არ გააჩნდა. სინამდვილეში სულ სხვანაირი გახლდათ. ეს მონაკვეთი და სახელმძღვანელოები პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

უახლოესი გამოკვლევები დამაჯერებლად ცხადყოფენ, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განათლების სისტემას დიდი ყურადღება ექცეოდა. (22.23). ეს ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი პლუსია. რა თქმა უნდა, ეს ეხებოდა, ისტორიას. როგორც საქართველოს ისტორიას, ისე, ცხადია, მსოფლიოს ისტორიას, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ეს უკანასკნელი სეგმენტი გაშუქებულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ შეგვევსო ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ეს ვაკუუმი და აღნიშნული საკითხი წინ წამოვნიეთ.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაენიათ საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო ურიგო საქმე და ამაზე თვალის დახუჭვა, მართებული არ იქნებოდა. პირველი ნაბიჯები, სწორედ გადადგეს, კარგად გათვალეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. საკითხისადმი წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დამოკიდებულება მათი მიდგომის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია, მათ თავისი საქმიანობა დაიწყეს საძირკველიდან, ბალავარიდან. პირველ ყოვლისა, ყურადღება მიაპყრეს სკოლაში, მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სწავლებას. ეს იყო სწორი გადანწყვეტილება. ნორმალური სასკოლო სახელმძღვანელოების გარეშე სკოლაში ახალი ისტორიის სწავლება გაძნელდებოდა. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღ-

ვანელოებზე. პირველი სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა. საქმე დაიდრა. როგორც პირველი მცდელობა, ცხადია, ის უნაკლო ვერ იქნებოდა. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე. ეს ნორმალური პროცესი იყო. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა, დაწყებული საქმე დაუსრულებელი დარჩა. მისი ბოლომდე მიყვანა ველარ მოასწრეს. ამ მონაკვეთმა, უმთავრესად, ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. ბევრი კარგი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. რისი გაკეთებაც მოასწრეს გააკეთეს, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრეს, არ გაუკეთებიათ. ერთ-ერთ მათგანად ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა მიგვაჩნია.

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალი ისტორიის გაშუქებამ, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო თავისი კვალის დატოვება. სულ ეს იყო რისი გაკეთებაც მოასწრეს. რაოდენობრივად, ეს ცოტაა, მაგრამ ხარისხობრივად ეს ნამდვილად ასე არაა. ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ მან მარტო სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ მონაკვეთის მნიშვნელობას. სასკოლო სახელმძღვანელო წარმოადგენს იმ პერიოდის ისტორიული მეცნიერების მიღწევების გამოძახილს და მოდით ნუ გავაუბრალოებთ საკითხს. ეს მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, ეს იყო საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლის ერთ-ერთი რთული და საინტერესო პერიოდი. ის პირობითად ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. ეს სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, სავსებით აკმაყოფილებდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და მასში ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული

ისტორიოგრაფიის გამოცხილი უნდა დავინახოთ. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა ისტორიული მეცნიერებაში XX საუკუნის გარიჟრაჟზე და შეძლებისდაგვარად ცდილობს მის დანერგვას ქართულ რეალობაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.

ამ სახელმძღვანელოებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, რომელიც პრიორიტეტული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არ უნდა ჩავანაცვლოთ აპოლოგეტური ტონით, ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობა იქნებოდა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. ჩვენი შრომები ამ საშუალოდ ხაზის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა.

ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დადებითი თვისებები ამით არ მთავრდებოდა და მას, ჩვენი აზრით, გააჩნია კიდევ ერთი საინტერესო რაკურსი, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ უნდა იყოს. ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს უვერტიურად გაისმა. მასში მომავალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს კონტურები იკითხება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ეს საკითხი ასე გვესმის. ჩვენ ვცადეთ ეს საკითხი, სწორედ იმ რაკურსით განგვეხილა. ეს საინტერესო იქნებოდა.

საფიქრელია, რომ ეს მათი ჩანაფიქრის მხოლოდ ერთი ნაწილი იქნებოდა. არსებობს დიდი ალბათობა, რომ მას ექნებოდა გაგრძელება, მეორე საფეხური. ეს უნდა ყოფილიყო საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა. სიმართლე გითხრათ ამაში ალოგიკურს ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, ყველაფერი კარგადაა გათვლილი. ალბათ, ეს ასეც მოხდებოდა თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. ამან ხელი შეუშალა მათი ჩანაფიქრის განხორციელებას. ის იდეის დონეზე დარჩა. იქმნება ამის პირველი პრეცედენტი. ამის უყურადღებოდ დატოვება

არ შეიძლება. მისი მთავარი თავისებურება, ჩვენი აზრით, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ის ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანერასთან კი არა, უფრო ამ საკითხის დასმასთან უნდა ასოცირდებოდეს. ეს იდეა თავის პირველ ნაბიჯებს, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცდილობს გადადგას. უბრალოდ მისი განხორციელება, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ მიზეზთა გამო, ვეღარ მოასწრეს. ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. იკვეთება ასეთი სურათი, რომელიც რეალური ჩანს. სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება მოასწრეს, მაგრამ ის ბოლომდე არ ყოფილა მოყვანილი. მიმდინარეობდა მისი შემდგომი სრულყოფა, დახვეწა. ეს უკვე ვეღარ მოასწრეს. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება განზრახული უნდა ჰქონოდათ, ნამდვილად იდგა დღის წესრიგში და ეს აზრთა სხვადასხვაობას არ შეიძლება ინვევდეს. მაგრამ, ეტყობა, ვერ მოასწრეს. ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ჩვენი აზრით, საკითხის დასმასთან უნდა გვექონდეს საქმე.

ამგვარად, განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია, ის გარემოება, რომ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალი ისტორიის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობა დაუსრულებელი დარჩა, მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. ფორმალურად, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დანერილა. სინამდვილეთში საქმე ასე მარტივად არ უნდა იყოს. როგორც ეს ზედაპირზე ძვეს და აისბერგის ზედა ხილული ნაწილია. ეს ფაქტია და ამას არც არავინ უარყოფს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის გაკეთების იდეა არსებობდა. ეს საკითხი ნამდვილად იდგა დღის წესრიგში და ამის თაობაზე ალბათ, ორი აზრი, არ შეიძლებოდა არსებობდეს. ვფიქრობთ, საინტერესოა საკითხს სხვა კუთხით შევხედოთ. ერთი საშური საქმე გააკეთეს. ბუნებრივია, მხედ-

ველობაში გვაქვს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერა. ცხადია, ეს ძალიან კარგია. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. მეორე საშური საქმის გაკეთება, ცხადია, იგულისხმება უმაღლესი სკოლის ეროვნული სახელმძღვანელოს დაწერა, იმ ექსტრემალურ პირობებში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამოძახილი იყო, ეტყობა, უბრალოდ ველარ მოასწრეს. ის არ დაუწერიათ, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის გაკეთების განზრახვა ნამდვილად ექნებოდათ და აუცილებლად იდგა დღის წესრიგში. ჩვენ ამაში ნამდვილად ვართ დარწმუნებული. რეალობა ასე გვესახება. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიული დასრულებული არ ყოფილა. ეს არის რეალობა. მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება საჭირო არაა ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. უნდა მოვძებნოთ ეს ოქროს შუაგული. ეს იქნება სწორი. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა ნამდვილად იდგა დღის წესრიგში და ეს მათ განსაზღვრული უნდა ჰქონოდათ, ეს სავსებით ლოგიკური უნდა იყოს და ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. აქ კამათი უდავო საკითხზე დავა იქნებოდა და ღია კარის მტვრევად მიგვანჩნია. საკვირველი ის კი არ იქნებოდა, რომ მათ ასეთი განზრახვა ჰქონოდათ, არამედ ის, რომ არ ჰქონოდათ. ამაში ალოგიკურს ვერაფერს ვხედავთ. პირიქით, ყველაფერი ლოგიკურია. კიდევ ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, საკითხის დასამასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

ამ მონაკვეთის მნიშვნელობა, ვფიქრობთ. სწორედ იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ როგორც ჩანს, საქართველოში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეა თავის პირველ ნაბიჯებს დგამს, არა 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების მერე, როგორც აქამდე ეგონათ, არამედ ცოტათი უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასეთია რეალობა, რო-

მელიც, უმთავრესად, ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახედვის არეალში ვერ ხვდებოდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და პრიორიტეტულად სულ სხვა ფასეულობები დავსახეთ. სიმძიმის ცენტრი გადავიტანეთ ამ საკითხში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წვლილზე, რომელიც აქამდე, პოლიტიკური მოსაზრებების გამო, კადრს მიღმა რჩებოდა.

მამ ასე, საინტერესო სურათი იკვეთება. როგორც ირკვევა, საქართველოში ახალი ისტორიის სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეა პირველად გაჩნდა არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ 1918-1921 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური ქართველებების გამო, ის მხოლოდ ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. საქართველოში მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის პირველი პერიოდის დამახასიათებელ თავისებურებად მიგვაჩნია. ის წარმოადგენს დაწყებული საქმის და ჩანაფიქრის ერთგვარ ნაზავს. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოს დაწერასთან, ხოლო მეორეში ის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერის ჩანაფიქრთან, საკითხის დასმასთან, ასოცირდება. ჩვენ ეს საკითხი ასე გვაქვს წარმოდგენილი. დაანერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე, ნამდვილად იყო წინგადადგმული ნაბიჯი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ქართულ რეალობაში ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველ მცდელობასთან. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო და ამის გვერდის ავლა, წაყრუება, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს მათი ჩანაფიქრის ერთი საფეხური იყო. ლოგიკურია, რომ მას ექნებოდა მეორე საფეხური. ის ეხებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვა-

ნელოს დანერას, რაც მათი ჩანაფიქრის გაგრძელება იქნებოდა და ის დასრულებულ სახეს შეიძენდა. მაგრამ, ჩვენთვის კარგად ცნობილ პოლიტიკურ გართულებათა გამო. ეს ასე არ მოხდა. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში. მათ ამ საშური საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. შუა გზაზე მოუწიათ გაჩერება. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე მუშაობა უბრალოდ არც კი დაუწყიათ, ეს განზრახვა განუხორციელებელი დარჩათ. ეს სახელმძღვანელო არ დაუწერიათ.

მოდით ამ თემაზე მსჯელობა ოპტიმისტურ ნოტაზე დავასრულოთ. დარწმუნებული ვართ, რომ თუ არა რთული პოლიტიკური კლიმატი დაწყებულის ბოლომდე მიყვანას წინ ვერაფერი დაუდგებოდა და ის დასრულებულ სახეს შეიძენდა. დაინერებოდა ახალი ისტორიის პირველი ნორმალური, კვალიფიცირებული, ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ამ საქმეში ისინი, ჩვენი აზრით, სწორი გზით მიდიოდნენ. მთავარი ეს იყო. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები, ცარიელი სურვილები, ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. არაფერს არ ვაჭარბებთ. ეს რეალობაა, რომელსაც ქართულ საზოგადოებას, საბჭოთა ხელისუფლებას, დიდი ხნის განმავლობაში, საგულდაგულოდ უმაღავდა. ნებისთ თუ უნებლიეთ ეს პრობლემა ესტაფეტად მიიღო მომდევნო საბჭოთა ეპოქამ. სადაც მან სულ სხვა მიმართულება შეიძინა. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელობის დანერა მეტი აღარ გახლდათ აქტუალური. ასეთი იყო რეალობა. მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. როგორც წესი, ჭეშმარიტება სადღაც შუაში ძევს. ჩვენი შრომები ამ საშუალებდო გზის მოძიების ერთ-ერთი მოკრძალებული მცდელობაა. აქ დასრულდა ახალი ისტორიის პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანერის მცდელობას ერთი ფაზა და იწყება მეორე.

ლიტერატურა:

1. ქ. წერეთელი, სასკოლო ისტორიული განათლება საქართველოს 1804-1917 წლებში, თბ., 1978 როგორც ვხედავთ, ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთი კადრში ვერ ხვდება. ასეთი იყო პოლიტიკური ნება.
2. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970 აქ ამ წლებში გამოსული ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები ნახსენები არ იყო. მიზეზი იგივეა.
3. ი. ტაბაღუა, ვ. ჩოჩია, მსოფლიო ისტორიის შესწავლა და კვლევა საქართველოს, ევროპის ქვეყნების ისტორიის საკითხები, ნაკვეთი მესამე, თბ., 1983. იგივე ვითარება და მიზეზები.
4. მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის აგრარული კანონმდებლობის შესწავლა საქართველოში, თბ., 2006.
5. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბ., 2007.
6. მ. კალანდაძე, ქართული მედიევისტის სათავეებთან, თბ., 2009.
7. მ. კალანდაძე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში, თბ., 2015.
8. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე, საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე და ნაპოლეონზე, თბ., 2016.
9. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.
10. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება, თბ., 2021.
11. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტირების ევოლუცია, თბ., 2023.

12. გრ. ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი 1, ანაწერი 1. შესანახი ერთეული 1426. ნუსხა 229.
13. ლ. ფირცხალავა, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია. კრებული მიძღვნილი გივი კილურაძის ხსოვნისადმი, თბ., 1998.
14. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია, თბ., 2014.
15. ალ. ნამორაძე, პროფ. გრიგოლ იასონის-ძე ნათაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 77, თბ., 1959.
16. საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1995, აღწერა 1, საქმე 875.
17. მ. კალანდაძე, სუვერენული საქართველოს რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში გამოსული მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ანალები 13. თბ., 2017.
18. მ. კალანდაძე, საქართველოში მსოფლიო ისტორიის შესწავლის ევოლუცია, მაცნე, ისტორიის სერია, 1 და 2. თბ., 2016.
19. მ. კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები როგორც ამ დარგის ისტორიის წყარო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1.(25). თბ., 2021.
20. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VIII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.
21. თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, ერთი მარქსისტული სტერეო-

ტიპის გამო, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (20), 2017.

22. დ. ჭუმბურიძე, განათლება 1918-1921 წლების საქართველოში თბ., 2000.
23. ნ. სონლულაშვილი, საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბ., 2022.

თავი მეორე

ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ისტორია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991)

დამთავრდა საქართველო ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის მცდელობის ერთი ფაზა და იწყება მეორე ფაზა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელი იქნება მივიჩნიოთ. ეს უკვე სულ სხვა გზა იყო. სულ სხვა აქცენტები იქნა დასმული, სულ სხვა მიდგომები გახდა პრიორიტეტული. მთავარი განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ჩაანაცვლა, სრულიად საპირისპირო პრინციპმა. წარსულისადმი მიდგომა საკმაოდ იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. უნდა ითქვას, რომ განსხვავება პრინციპული იყო და ამაზე თვალს ვერ დავხუჭავთ. ამგვარი, მკვეთრი მეტამორფოზი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, ამკარად ცილდება, წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად.

განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილად საბჭოთა ისტორიოგრაფიის მარქსისტული შეფასების გადასინჯვის მცდელობა გვევლინება. გადავხედეთ ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოების მნიშვნელობას, მისი აპოლოგეტური შეფასება ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს გადაჭარბებული უნდა

იყოს, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია; მითი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების ისტორიულ მნიშვნელობაზე ჩამოიშალა, მითებს რეალობა ამსხვრევს. აქ, უბრალოდ ამის თქმას ვაპირებთ, რომ მისი მნიშვნელობის უსაშველოდ გაბუქვა, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წლებში მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

საქმე გვაქვს სახელმძღვანელოს შექმნის ორ პრინციპულად განსხვავებულ მიდგომასთან. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესოა და აქტუალური უნდა იყოს. ეს საკითხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში არც დასმულა. იგი ამ თემაზე წმინდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მოსაზრებების გამო, დუმილს ამჯობინებდა, საგულდაგულოდ უვლიან გვერდს და კეთილდღეობის ილუზიას ქმნიდნენ. ეს ამ საკითხის გაშუქების პირველი მცდელობაა. მასში, პირველ ყოვლისა, შეცლილია პოლიტიკური კლიმატის გამოძახილი იკითხება. ასეთი დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები გასაკვირი არ უნდა იყოს და იმ ორ პრინციპულად განსხვავებულ ეპოქას უკავშირდება, როდესაც იწერებოდა ეს სახელმძღვანელოები. ერთ შემთხვევაში ეს ხდებოდა დემოკრატიულ გარემოში, 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში და მეორე შემთხვევაში ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმის პირობებში, საბჭოთა რეალობაში. ერთ შემთხვევაში სახელმწიფო არ ერევა მეცნიერის საქმიანობაში და არ ცდილობს თავისი ნება-სურვილი მოახვიოს თავს. მეორე შემთხვევაში სრულად საპირისპირო სურათს ვხედავთ. პირიქით, სახელმწიფო უხეშად ერევა მეცნიერის საქმიანობაში და ცდილობს მას ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსათვის სასურველი იდეოლოგია. პროფ. უმანგი სიღამონიძის სადოქტორო დისერტაციის „საქართველოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. (1917-1921 წნ.)“. ირგვლივ ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟი, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. მოხდა უპრეცედენტო

შემთხვევა, მეცნიერულ პაექრობაში მოპოვებული სამეცნიერო ხარისხი ჩამოართვა პარტიულმა ორგანომ (1. 2). ამას ანალოგი ძნელია მოიძებნოს. ამიტომ მოსაზრება თითქოს საბჭოთა ეპოქის ისტორიკოსები არ განიცდიდნენ, სახელმწიფოს მხრიდან მკაცრ პოლიტიკურ ზეწოლას, სიმართლეს არ შეეფერება. უბრალოდ ღიმილის მომგვრელია და გულუბრყვილოდ გაისმის. საქმეში ჩახედული ადამიანის ნათქვამი არ უნდა ჩანდეს. ამ ხანებში არსებული იდეოლოგიური კონტროლის უგულვებლყოფის მცდელობასთან გვაქვს საქმე. რაც ძირშივე მცდარია.

თავდაპირველი თავისუფალი აზროვნება, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომა, პლურალიზმი, პროგრესულ-იბერალური ღირებულებები, ჩანაცვლა მონასტურმა პრინციპმა, ფორმაციულმა მიდგომამ, ვიწრო კლასობრივმა ხედვამ, კლასთა ბრძოლის მნიშვნელობის გადაჭარბებამ, ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდილება. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა ვიწროდოგმატურად გაგებული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული, რომელიც ნიშანდობლივი იყო ერთი ისტორიული სკოლისათვის და სულაც არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანციას, როგორც ამას საბჭოთა ისტორიოგრაფია ამტკიცებდა.

* * *

ფაქტობრივად, აქ საუბარი საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასებაზე. საკითხი არის რთული და ამ კუთხით მისი გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. აქ ზედმეტი ემოციები, გნებავთ, დადებითი ან გნებავთ უარყოფითი, საჭირო არაა და ამ თემის ობიექტურად გაშუქებას ვერ შეუწყობს ხელს. მართო ვარდისფერი ან მუქი ფერები საკმარისი არ უნდა იყოს და ამ რთულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის.

თავდაპირველად მოდით მოკლედ გადავავლოთ თვალი საკითხის ისტორიოგრაფიას. ეს საინტერესო იქნებოდა. ის განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი სერიოზული კომპონენტია. საბჭოთა ისტორიოგრაფიის სახით საქმე გვაქვს ერთ ისტორიოგრაფიულ მიმართულებასთან, სკოლასთან, მას, ბუნებრივია, გააჩნია, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მისი სწორხაზოვნად, ერთმნიშვნელოვნად, შეფასება ძალიან ძნელი იქნება. ადვილი გზით სიარულია და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. საკითხი, გახლავთ რთული და მრავალნაზნაგოვანი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება, რაც პრიორიტეტული იყო საბჭოთა პერიოდში, დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიული რეტროს სურნელი დაკრავს. ეს ერთი უკიდურესობა იყო. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აუგად მოხსენიება, ლანძღვა-გინება, ძლიერი უარყოფითი ემოციური მუხტის შემცველია და ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაციოლოთ“. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც ეს ხშირად ხდება, სადღაც შუაში ძევს. ამ საშუალები გზის მოძიება სულაც არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გაგვაჩნია. სასურველი იქნება მკაფიოდ გამოვკვეთოთ როგორც შუქი ისე ჩრდილი და შეძლებისდაგვარად შევეცადოთ ავხსნათ მათი გამომწვევი მიზეზები. ეს იქნებოდა საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა.

მოდით დავიწყოთ პოზიტივით, რომლის გვერდის ავლა, ამუქებს საქმის ვითარებას და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. საქმე ისაა, რომ ემპირიის, ფაქტოლოგიის, დონეზე პროგრესი აშკარაა და ამისი უგულებელყოფა, ცხადია, არ ივარგებს. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია. საბჭოთა წლებში ძალიან ბევრი სოლიდური, ფუნდამენტური გამოკვლევა იწერებოდა, მაგრამ მან განიცადა

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადიაცია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო ადეკვატური უნდა იყოს. დანაშაული სისტემურ ხასიათს ატარებდა. გასათვალისწინებელია, რომ საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთ დადებით თვისებას წარმოადგენს, მაგრამ საკითხისადმი მეცნიერულმა დამოკიდებულებამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა გამოცხადებული იქნა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება, ამის ლოგიკური დაგვირგვინებაა იყო. წარსულისადმი მიდგომა იყო იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ყველაფერმა ამან გამოიწვია, რომ ჩრდილი მეტია შუქზე. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ ძევს. (3.9-27. 4. 28-42. 5).

საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. მას გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა და წინ აღარ წასულა. რა თქმა უნდა, ეს შემთხვევითი არ იყო და, უპირატესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ეს იყო ევროპული ისტორიოგრაფიის გუშინდელი დღე, წარსული და არა მომავალი, მისი ხვალისდელი დღე. ქართული ისტორიოგრაფია ჩამორჩა. ის ამჟამად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეინარჩუნა ევროპული, პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის დონე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მისი დადებითი

მხარეა. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია წარმოადგენს პოზიტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვიწრო-დოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავს. პოზიტივისტური ისტორიოგრაფია მარქსისტულ აპკში გაახვიეს. (4.59-60). ქართული ისტორიოგრაფიის ევროპულმა ორიენტაციამ დეფორმაცია განიცადა. ნმინდა პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად. ქართველი ისტორიკოსების თვალსაწიერს მიღმა აღმოჩნდა, ის რევოლუციური გადატრიალება, რომელსაც ადგილი ჰქონდა, ისტორიულ მეცნიერებაში XX საუკუნის პირველ ნახევარში. ის ერთის მხრივ ნეოკანტიენელების ისტორიის ეპისტომლოგიის, შემეცნების, სფეროში არსებული ძიებებთან ასოცირდებოდა, ხოლო მეორეს მხრივ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსების სახელთან, რომელსაც უკავშირებდნენ „კოპერნიკისეულ გადატრიალებას“ ისტორიკოსის პროფესიაში. მათ შორის არანაირი უფსკრული არ არსებობდა, როგორც ამაზე აპელირებდნენ „ანალების“ სკოლის ისტორიკოსები. მათი ერთ-ერთი მთავარი ტონისმიმცემი იყო ცნობილი ისტორიკოსი ჟაკ ლე გოფი. უმთავრესად, სტალინური რეჟიმის დროს არსებული რკინის ფარდის ძალისხმევით, საბჭოთა ისტორიკოსები ამ სიახლეებზე ინფორმირებული არ იყვნენ. მათამდე ეს სიახლეები უბრალოდ არ აღწევდა, ხოლო შემდგომ წლებში, თუ იყვნენ ინფორმირებული, მეტად ცალმხრივად, როდესაც პრიორიტეტული იყო კრიტიკული-განმაქიქებელი ტონი. მათი პოზიტიური გამოცდილება კადრში ვერ ხვდებოდა. ეს ისტორიულ მეცნიერებაში მათ წვლილზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებდა. პროფ. ალექსანდრე ნაროჩნიცკის თქმით, „მარკ ბლოკის წიგნის „ისტორიის აპოლოგიის“ თარგმნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო“. აქ, ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი, ვერაფერს დავამატებთ. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ჩამორჩენა. ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და პირველ ყოვლისა, გამონეული იყო პოლიტიკური მოსაზრებებით და არა აკადემიური ფაქტორებით. ეს გახლავთ რეალობა და მისი

არც შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება მიზანშეწონილი არ იქნება.

დღევანდელი გადასახვევიდან, მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო, მათი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. ისინი ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას მარქსისტული პოზიციებიდან აშუქებდნენ. ამ კომპრომისის გამო, მათი გაკიცხვა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. გადაჭარბებული არ უნდა იყოს თუ ვიტყვით, რომ ამან გადაარჩინა ეს დარგი დაღუპვას, რისი საშიშროება ნამდვილად არსებობდა. თუ არა ეს კომპრომისი მაშინ ქართულ ენაზე ის მწირი ინფორმაციაც არ გვექნებოდა, რაც გაგვაჩნია. ეს იყო წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, ნაბიჯი, რომელიც იმ ექსტრემალურ ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. ფართო არჩევანი არ არსებობდა. არჩევანი იყო უარესსა და ცუდს შორის. ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ფსონი ამ უკანასკნელზე დადეს. არჩევანის არ არსებობა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აქილევსის ქუსლი გახლდათ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ეს, ვფიქრობთ გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა. „ძალა აღმართს ხნავს“.

ახლა მოკლედ შევჩერდეთ საკითხის პერიოდიზაციაზე. ამ საკითხს საბჭოთა ისტორიოგრაფია არ შეხებია. ეს არცაა გასაკვირი. მასში იმ ეიფორიული განწყობილების გამოძახილი უნდა დავინახოთ, რომელიც ამ წლებში სუფევდა. სინამდვილეში ეს მთლად ასე არ იყო. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. ამიტომ გადავწყვიტეთ მისი წინ წამოწევა. ამ რაკურსით მისი განხილვა საინტერესოა და აქტუალური უნდა ჩანდეს. ბოლო წლებში ისტორიკოსებმა ამ თემას მიაპყრეს სათანადო ყურადღება, რაც შეცვლილი პოლიტიკური გარემოს ლოგიკური შედეგია.

საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობამ რამდენიმე ეტაპი განვლო და პირობით სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. ეს ამ საკითხის კიდევ ერთი პატარა, მაგრამ საინტერესო ნახნაგია, რომლის უგულისყუროდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ძალიან მოკლედ შევეხებით თვითნებულ მათგანს.

20-იანი წლები და 30-იანი წლების პირველი ნახევარი ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობის პირველ ეტაპად შეიძლება იქნას მოაზრებული. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განხორციელდა ერთი ექსპერიმენტი. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სასწავლო პროგრამიდან ამოღებული იქნა ისტორია და ის ჩაანაცვლა საზოგადოებათმცოდნეობამ, რომელიც წარმოადგენდა ისტორიის, ფილოსოფიის და პოლიტიკონომიის ნაზავს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ექსპერიმენტი სრულიად მოუშადადებელი აღმოჩნდა და ძალიან მალე სრული ფიასკო განიცადა. საბჭოთა ხელისუფლებამ თვითონ თქვა მასზე უარი. (6.7.8).

30-იანი წლების შუა ხანებში ხდება კიდევ ერთი მკვეთრი სახეცვლილება, როდესაც სკოლაში, უმთავრესად, სტალინის ძალისხმევით, ისევ აღადგინეს ისტორიის სწავლება. ეს სწორი ნაბიჯი იყო, მაგრამ მოხდა ისტორიის უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან. ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დანერა ძველებურად აქტიუალური აღარ იყო. საკმარისი გახლდათ რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა. შეიძლება ითქვას, რომ სტალინიმა ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის იდეას პირდაპირ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა და დიდი ხნით დაასამარა. ეს მისი კიდევ ერთი დიდი „დამსახურება“ იყო და მოდით ამას ნუ დაუვიწყებთ. ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის იდეა დღის წესრიგიდან იქნა მოხსნილი. „საბჭოთა ისტორიული მეცნიერების პირველი პერიოდის დასასრულს საქართველოში ჩატარებუ-

ლი მნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის უნდა აღინიშნოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიება. ეს ღონისძიება უნდა ჩაითვალოს ჩვენთან მარქსისტული ისტორიული მეცნიერების ჩასახვისა და ჩამოყალიბების პირველ პერიოდის დასასრულად, რადგანაც შემდეგ უკვე საქართველოს ისტორიის, სოციალური ისტორიის, რევოლუციური მოძრაობის ისტორიის კვლევა არსებითად და ძირეულად განსხვავდებოდა წინა წლებში (1936 წლამდე) ჩატარებული მუშაობისაგან“ (9, 78). სტალინის ძალისხმევით, ისტორიის, მათ შორის, ცხადია, მსოფლიო ისტორიის შესწავლამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. მყარდება ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია. ის გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად (10). ამგვარი მიდგომის მთავარი არქიტექტორი, რა თქმა უნდა, პროლეტარიატის დიდი ბელადი, სტალინი ბრძანდებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ, ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. მოხდა ისტორიკოსთა დიდი ნაწილის მოთვინიერება, მეცნიერების ამ დარგის უნიფიცირება, გაუფერულება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით (11, 118). ეს იყოს ისტორიულ მეცნიერებაში ყველაზე მძიმე, რთული, მონაკვეთი „სტალინური ხანა“, რომელიც გასრულდა 1953 წელს სტალინის გარდაცვალებით. მას ისტორიაში ანალოგი ძნელია მოეძებნოს.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ იწყება მესამე ეტაპი. მას მკაფიოდ გამოხატული სამი ნაწილი გააჩნია. ის პოლიტიკური ნიშნითაა გაყოფილი. პირველი ნიკიტა ხრუშჩოვის სახელს უკავშირდება „დათბობის ხანა“. მეორე ლეონიდ ბრეჟნევის. „უძრაობის პერიოდი“. და მესამე ეტაპი, უპირატესად, მიხეილ გორბაჩოვის „გარდაქმნას“ უკავშირდება. ის გაგრძელდა 90-იანი წლების დასაწყისამდე, როდესაც აღესრულა საბჭოთა კავშირი. ეს „სტალინური ხანის“ შემდეგ, უსათუოდ,

წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის რადიაცია ჯერ კიდევ არ მოსპობილა. მას ძალზე ხშირად მოიაზრებენ როგორც „იდეური დაბნეულობის“ ხანას.

* * *

20-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა ისტორიო-გრაფიაში ფართოდ მოიკიდა ფეხი მ. პოკროვსკის „სავაჭრო კაპიტალიზმის“ თეორიამ. მისი გამოძახილი გვხვდება ცნობილი ისტორიკოსის ნიკოლოზ ლუკინის (ანტონოვის) სახელმძღვანელოში „უახლესი ისტორიის“ (12), რომელიც ეგნატაშვილსა და ქრისტეფორე რაჭველიშვილს ქართულ ენაზე უთარგმნით. მას გამოკვეთილი კონიუნქტურული ელფერი გააჩნია და არსებულ პოლიტიკურ რეალობაში ითვალისწინებდა შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. სახელმძღვანელოს სათაურმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. XVIII საუკუნეში ინგლისის სამრეწველო გადატრიალებით უახლესი ისტორიის დაწყება დამაჯერებელი არ უნდა იყო და, ალბათ, მაინც დიდი სიფრთხილეს მოითხოვდა. თვით იმდროინდელი გადასახედიდან ნაადრევი ჩანს. ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და იმით აიხსნებოდა რომ „სავაჭრო კაპიტალიზმს“ და „სამრეწველო კაპიტალიზმს“ შორის მიჯნად, 20-იან წლებში საბჭოთა ისტორიოგრაფიას, სწორედ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დაწყებული სამრეწველო გადატრიალება ესახებოდა. (12. 10). სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ახალ ისტორიასთან და არა უახლეს ისტორიასთან. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში ეს იყო სერიოზული მიჯნა ახალი ისტორიის შიგნით და არა უახლესი ისტორიის დასაწყისი. საქმე გვაქვს ახალი ისტორიის შიდა პერიოდიზაციასთან. თუ სამრეწველო გადატრიალებიდან, XVIII საუკუნის შუა ხანებიდან უახლესი ისტორიის დაწყება ძალიან ნაადრევი იქნება, ახალი ისტორიის აქედან დაწყება პირიქით დაგვიანებული ჩანს. ორივე ვარიანტი მიუღებელია. სერიოზული კორექტივების შეტანას

საჭიროებს, დაზუსტებას მოითხოვს. ის საკმაოდ მოძველებულია, უკვე კარგა ხანია რაც ყავლი გაუვიდა და ისტორიოგრაფიული რეტროს ელფერი დაკრავს. ფაქტობრივად, ეს გახლავთ, მარქსიზმის ვულგარიზაცია, რომლის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გახლდათ პროლეტარიატის დიდი ბელადი სტალინი. ამას ავთენტურ მარქსიზმთან არაფერი საერთო არ ჰქონდა და მისგან ძალიან შორსაა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. „სამრეწველო კაპიტალიზმის“ ცალკე სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციად გამოყოფის მცდელობას ძალზე ძნელი იქნება წარმატებული უწოდოთ. შეიძლება ითქვას, რომ ის სრული კრახით დასრულდა.

ყურადღებას იპყრობს საკითხის შიდა პერიოდიზაციისადმი თავისებური მიდგომა. ის ამ ეპოქის ისტორიას ექვს პერიოდად ყოფდა. **1. XVIII** საუკუნის ნახევრიდან ვენის კონგრესამდე (1815); **2. 1815-1848** წლის რევოლუციამდე; **3. 1848** წლის რევოლუციიდან პარიზის კომუნის დამარცხებამდე; **4. 1870-1900**; **5. ფინანსური კაპიტალის ეპოქა**; **6. მსოფლიო ომი და კაპიტალიზმის კრიზისი.** (12. 11.)

ამგვარი მიდგომა დღეს უკვე ძალზედ მოძველებულია. ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა და უბრალოდ ღიმილის მომგვრელია. ამიტომ მას უკომენტაროდ დავტოვებთ. ამავე მიზეზით არ შევდივართ შიდა განხილვაში. უბრალოდ ამის აზრს ვერ ვხედავთ. ის უკვე წარსულია.

20-30-იანი წლების პირველი ნახევარი საქართველოში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული. ძველი ინერციით ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნა ჯერ ისევ აქტუალური რჩება. ეს არცაა გასაკვირი. სკოლაში და უნივერსიტეტში ახალი ისტორიის სწავლება წარმოუდგენელი იქნება სახელმძღვანელოების გარეშე. ამიტომ ამ სფეროში ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანა, სწორედ, ეს იყო. ამგვარ მცდელობას გააჩნდა თავისი რეზონი, აზრი და მნიშვნელოვანწილად იმით უნდა ყოფილიყო

განპირობებული, რომ მასში საბჭოთა კავშირში 20-30-იან წლების პირველ ნახევარში შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბუჟტავი სხივის ანარეკლი მოჩანს.

ვერ ვიტყვით თითქოს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით არაფერი კეთდებოდა. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნებოდა. ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პროფ. გრიგოლ ნათაძეს და პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული ამ სფეროში მშობლიურ ენაზე არსებული სახელმძღვანელოს და ლიტერატურის მნიშვნელობა. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ძალებს არ იმუშრებდნენ რათა როგორმე შეევესოთ ეს ვაკუუმი. როგორც ჩანს, მუშაობა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით. ერთის მხრივ ეს იყო ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა, ხოლო მეორეს მხრივ ახალი ისტორიის ქრესტომათიის. ეს იყო სწორი ნაბიჯი, რომელსაც წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, მოსაზრებები ედო საფუძვლად. ახალი ისტორიის მაღალ დონეზე სწავლება წყაროების გაცნობის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა. ქრესტომათიას, სწორედ, ეს დანიშნულება გააჩნდა. ის გვერდში ამოუდგებოდა ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს.

1933 წელს გამოვიდა პროფ. გრიგოლ ნათაძის ნიგნი „კაპიტალიზმის ისტორიიდან. **თემა 2.** საფრანგეთის დიდი რევოლუცია“ (13) კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. მხოლოდ გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ შეიძლება ეს ყოფილიყო, მის მიერ ჩაფიქრებული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ერთი მოზრდილი ფრაგმენტი. სათაურმა შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ის არ შეეხება მხოლოდ ერთ თემას საფრანგეთის დიდ რევოლუციას, თუმცა თავისთავად არც ეს იქნებოდა ურიგო საქმე. რეალურად აქ საუბარია საფრანგეთის ისტორიის ერთ საკმაოდ მოზრდილ მონაკვეთზე: საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ნაპოლეონის ეპოქა, რესტავრაციის ხანა, ივლისის რევოლუცია. ფაქტობრივად, ეს არის საფრანგეთის ისტორიის ერთი საინტერესო ეპოქა, რომელიც იწყება 1789 წელს

და სრულდება 1830 წელს. თავისთავად ასეთ ფართო მიდგო-
მაში ცუდს ვერაფერს ვხედავთ. სასურველი იყო ის სათაურში
ყოფილიყო ასახული, მაგრამ ეს ასე არ ხდება. ამან წარმოშვა
შეუსაბამოსა წიგნის სათაურსა და შინაარსს შორის. ამის თავი-
დან აცილება სულ ადვილად შეიძლებოდა.

პროფ. გრიგოლ ნათაძე ისტორიის სოციოლოგიური გა-
შუქების მომხრეა და „ეკონომიკური მატერიალიზმის“ პოზი-
ციებზე იდგა. სხვათა შორის ის ცდილობს „ეკონომიკური მა-
ტერიალიზმიდან“ მარქსიზმისაკენ ევოლუციას. ეს ჩადებულია
წიგნის სათაურში „კაპიტალიზმის ისტორია“. **თემა 2.** „საფრან-
გეთის დიდი რევოლუცია“ და არა უბრალოდ საფრანგეთის
დიდი რევოლუცია, ასე უფრო მარტივი იქნებოდა. მნიშვნელო-
ვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ნაშრომში საფრანგე-
თის ისტორიის ამ მონაკვეთის თხრობა მეტად თავისებურ ხა-
სიათს იძენს, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ პრიორიტეტულია
სოციალ-ეკონომიკური ისტორიის თხრობა, ხოლო პოლიტიკური
ისტორია გაშუქებულია შედარებით უფრო მკრთალად, სუსტად.
ასეთი ცალმხრივი მიდგომა საფრანგეთის ისტორიის ამ საინტე-
რესო მონაკვეთზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ
გვიქმნის. (14. 94-109).

კიდევ ერთი სიახლე, რომლის დანერგვას იმ პერიოდის
ქართული ისტორიოგრაფია შეეცადა ახალი ისტორიის ქრეს-
ტომათიის შექმნის მცდელობას უკავშირდებოდა, რაც იმჟამინ-
დელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე სერიოზულ წინგა-
დადგმული ნაბიჯი იქნებოდა. ამ თვალსაზრისით საინტერესო
უნდა იყოს პროფ. ალექსანდრე ნამორაძის ინიციატივა. რო-
გორც საარქივო მასალებიდან ჩანს, მას ჩაფიქრებული უნდა
ჰქონოდა შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის ქრესტომათიის
დანერა და ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი და შრომატევადი
სამუშაოც ჩაუტარებია. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სწორი
გადანწყვეტილება იყო. (15).

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოე-
ბა, რომ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების

გამო, მას ამ ჩანაფიქრის განხორციელება ვერ მოუხერხებია. ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული. 30-იანი წლების შუა ხანებიდან ყველაფერი უკვე ცენტრიდან იმართებოდა. მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. სახელმძღვანელოც და ქრესტომათიაც სავალდებულო იყო რუსულიდან გეთარგმნა. ასეთი იყო მოთხოვნა ზემოდან.

ქართულ რეალობაში არსებული ვაკუუმის შევსების კიდევ ერთი მცდელობას წარმოდგენდა პროფ. ალექსანდრე ნამორადის ორი თარგმანი „კლასთა ბრძოლა სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაში“ (16). და პ. კუშნერის „დასავლეთ ევროპის ისტორია“. (17) რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯი კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული, და ამაში, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური კატაკლიზმების გამოძახილს ვხედავთ. ის ისტორიის უნიფიკაციის, სტალინიზაციის, ლოგიკური შედეგია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, ნაბიჯი, რომელიც იმ წლების ქართული რეალობის ფონზე სრულიად გამართებული ჩანდა. ეს იყო რეალობა და მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, დანახვა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

30-იანი წლების შუა ხანებში ადგილი აქვს კიდევ ერთ მკვეთრ სახეცვლილებას, რომელიც, როგორც წესი, აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ეს კარგი ცხოვრებით როდი იყო გამოწვეული. ფაქტობრივად, ამით იწყება საქართველოში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მეორე ეტაპი. ე.წ. „სტალინური ხანა“. მან გასტანა სტალინის გარდაცვალებამდე 50-იანი წლების დასაწყისში. მოხდა ისტორიული მეცნიერების სტალინიზაცია, უნიფიკაცია. ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა, ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა უკვე აღარ იყო უწინდებურად, აქტუალური. ძირითადად, სტალინის ძალისხმევით, საბჭოთა კავშირში მყარდება ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. საკითხისადმი მარქსის-

ტული, ან უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ორთოდოქსულ-ბოლშევიკური, სტალინური მიდგომა, წარმოადგენდა, ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. ეს იყო მარქსიზმის ვულგარიზაცია, რომელიც, ცხადია, ძალიან შორს იყო ავთენტური მარქსიზმისაგან. სტალინმა კი არ განავითარა მარქსიზმი, არამედ მოახდინა მისი დოგმატიზაცია. სწორედ, ეს ორთოდოქსულ-ბოლშევიკურად გაგებული მარქსიზმი დაედო საფუძვლად ახალი ისტორიის სწავლებას, მეცნიერულ კვლევას, პოპულარიზაციას. სინამდვილეში ეს უკანასკნელი ჭეშმარიტება კი არ იყო, როგორც ამაზე აპელირებდა ბელადი სტალინი, არამედ ამ გზას ჩიხში მივყავართ. ეს არცაა გასაკვირი. ისტორიას არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. პრიორიტეტულია მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი, კლასობრივი ბრძოლის გაფეტიშება, წარსულის კლასობრივი ხედვა. ბრძოლის პლებეური მეთოდების გაიდილება. განსხვავებული აზრისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულება სტალინური მიდგომის მთავარი დამახასიათებელი შტრიხია. სულიერება, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კულტურის ისტორია, უმთავრესად, სტალინის ძალისხმევით, ქიმს იქით დარჩა. სიმართლე გითხრათ საკვირველს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ სტალინის მცდელობა მოეხდინა ისტორიული ჭეშმარიტების მონოპოლიზაცია სრული კრახით დასრულდა. იდეოლოგიური კონტროლის მთავარ სულისჩამდგმელად, სწორედ, პროლეტარიატის დიდი ბელადი სტალინი გვევლინება.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქართული ისტორიოგრაფიის მდიდარი მეცნიერული პოტენციალი სტალინურ ხანაში გამოუყენებელი დარჩა. კიდევ ერთი ხელსაყრელი შანსი ახალი ისტორიის ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ხელიდან იქნა გაშვებული. პროფ. გრიგოლ ნათაძეს და პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს სავსებით ხელენიფებოდათ ამის გაკეთება. ტოტალიტარულ-ბოლშევიკურმა სახელმწიფომ ქართველი ისტორიკოსები მეტად რთული დილემის წინაშე დააყენეს. მისი არსი შემდგომში მდგომარეობდა. პროფ. გრიგოლ ნათაძეს და პროფ. ალექსანდრე ნამორაძეს კა-

რგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ სახელმძღვანელოს ისე დაწერის უფლებას, როგორც ეს მათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, ცხადია, არ მისცემდნენ. დაეწერათ ისე, როგორც ამას მათაგან ითხოვდნენ, ეტყობა, არ სურდათ. მათი პიროვნული ტრაგედია, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. ეს საკითხი კვლავ ღიად დარჩა. თუ არა პოლიტიკური სიტუაცია, კონკრეტულად სტალინური ხანა, ერთიც და მეორეც ამ ამოცანას წარმატებით გაართმევდა თავს და დარწმუნებული ვართ დაწერდა ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს. რაც იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენი იქნებოდა. (14)

მესამე ეტაპი კვლავ პოლიტიკური კატაკლიზმებთანაა დაკავშირებული და მისი ათვლის წერტილად, ცხადია, 1953 წლის 5 მარტს დიდი ბელადის, სტალინის გარდაცვალება გვევლინება. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ყველაზე უფრო რთული და მძიმე პერიოდი „სტალინური ხანა“ დაასრულდა. დაიწყო ახალი მესამე ეტაპი. მას სამი მკვეთრად გამოკვეთილი მონაკვეთი გააჩნია, რომელიც პოლიტიკური ნიშნით ხასიათდება: „დათბობის ხანა“, რომლისათვისაც ნიშანდობლივი იყო „იდეური დაბნეულობა“, „უძრაობის ხანა“ და „გარდაქმნის“ პერიოდი. სტალინის გარდაცვალება სულაც არ მოასწავებდა იმას რომ სტალინური რეჟიმი წარსულს ჩაბარდა. ნუ ვიქნებით ასეთი გულუბრყვილო და მიამიტები. მოდელი „ათრიე და არ გაუშვა“ საზოგადოების ცნობიერებაში ღრმად გაიდგა ფესვები. ხელისუფლება ვერ იყო ყოვლისშემძლე, მაგრამ საქმის გაფუჭება ძალუძდა. (18, 198). ცენტრის გავლენამ შედარებით იკლო, პერიფერიებს ცოტა მეტი ინიაციტივის გამოჩენის შანსი მიეცათ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და სტალინური რეჟიმის შემდეგ წინაგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო 70-იანი წლები, როდესაც პროფ. გივი კილურაძის თაოსნობით მრავალი კარგი საქმე გააკეთდა. ამგვარი აქტიურობა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და „უძრაობის ხანის“ გამოძახილია.

1970 წელს გამოვიდა პროფ. გივი კილურაძის „ახალი ისტორიის“ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი (19) ის მთლიანად თეორიულ, ისტორიოგრაფიულ, ხასიათს ატარებდა და იმჟამინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმულ ნაბიჯს, სიახლეს, წარმოადგენდა. ასეთი თეორიული ხასიათის ნაშრომებით ქართული ისტორიოგრაფია არც მანამდე და არც შემდეგ, განებივრებული არ ყოფილა. ეს წიგნი საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. „ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ისტორიული მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე, შეძლო ერთიან მწყობრ სისტემად ჩამოყალიბებული სახით პირველად მიეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის ისტორიკოსი სტუდენტებისათვის, რთული კალეიდოსკოპი იმ მრავალრიცხოვანი მიმართულებების, სკოლებისა და ცალკეულ ისტორიკოსთა კონცეფციებისა, რომელიც წარმოიშვა ახალი ისტორიის შესწავლისას ევროპისა და ამერიკის ისტორიოგრაფიაში“ (20.14). ეს ერთი კარგი ნამოწყება იყო. ამას მოყვა მეორე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად 1973 და 1975 წელს ორ ნაწილად გამოვიდა ახალი ისტორიის (1870-1918) საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც 1990 წელს გადამუშავებული სახით გამოვიდა. მისი მთავარი ამოცანა იყო ამ ეპოქის ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის მარქსიზმისაგან გათავისუფლება. (21.22) მკითხველი, რომ არ დავაბნოთ ალენიშნავთ. აქ საუბარია ახალი ისტორიის (1870-1918) მეორე პერიოდზე, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

მესამე კარგი ინიციატივა იყო 1979 წელს გამოსული „ახალი ისტორიის ქრესტომათის“ პირველი ნაწილი (23). ის ქრონოლოგიურად მოიცავს დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის ერთ დიდ მონაკვეთს, XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციიდან, 1789 წლამდე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე. ფაქტობრივად, ეს გახლდათ საბჭოთა მარქსისტული პერიოდიზაცია. ამის გამო მათი

მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ იქნებოდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს უფრო სწორი უნდა იყოს. ქრესტომათია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენაძენი იყო. ქართული ისტორიოგრაფიაში პირველად დაინერა ქრესტომათია ახალ ისტორიაში. მართალია, წყაროები მარქსისტული პრინციპით იქნა შერჩეული, მაგრამ აქ გამოვლენილი დოკუმენტური მასალა საინტერესოა. მას მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს და მისი გამოყენება გამორიცხულად არ მიგვაჩნია. ახლა მას სულ სხვა ინტერპრეტაცია შეიძლება გაუკეთოთ.

საფიქრელი იყო, რომ დაწყებული საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და გამოვიდოდა ახალ ისტორიის ქრესტომათიის მეორე ნაწილი, რომელშიც შევიდოდა დოკუმენტური მასალა 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან დაწყებული 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე. როგორც კათედრის ოქმებიდან ჩანს, მიმდინარეობდა მასზე მუშაობა, მაგრამ გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ახალი ისტორიის ქრესტომათიის მეორე ნაწილის პუბლიკაცია ვერ მოხერხდა. კონკრეტულად რამ შეუშალა ხელი ამას ძნელი სათქმელია. შეიძლება იყო ორი მიზეზი. ადვილი შესაძლებელია, რომ მასზე მუშაობა დასრულებული არ ყოფილა, ან კიდევ მის პუბლიკაციას შექმნია პრობლემები. ეს გამორიცხული არ უნდა იქნას. შემდგომში პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა და ეს საქმე უკვე სხვაგვარად იყო გასაკეთებელი.

ამ თემაზე საუბარს, ალბათ, აქ გავასრულებდით, რომ არა ერთი გარემოება, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილი, ამომწურავი, წარმოდგენის ჩამოყალიბებაში როდი დაგვეხმარება. ცხადია, საქმე შეეხება ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს (1640-1870) დაწერის კიდევ ერთ მცდელობას, რომელიც სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კვლავ არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი. ის, ცხადია, პროფ გივი კილურაძის სახელთან ასოცირდება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროფ. გივი კილურაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა დაენერა ახალი ისტორიის პირველი პერიოდის, როგორც ამას მაშინ ეძახდნენ, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ქრონოლოგიურად ის მოიცავდა პერიოდს XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციის დაწყებიდან დასრულებული 1870 წელს. საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე. მას ის სამ ნაწილად ჰქონდა ჩაფიქრებული. უნდა ითქვას, რომ მან მხოლოდ ნაწილობრივ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება: როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1970 წელს გამოვიდა მის მიერ ჩაფიქრებული სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი. რომელიც წმინდა თეორიულ, ისტორიოგრაფიულ ხასიათს, ატარებდა. ჩანაფიქრის მეორე ნაწილი შეეხებოდა ახალ ისტორიას 1640 წლიდან, ინგლისის რევოლუციის დაწყებიდან, 1789 წლამდე, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე. მესამე ნაწილში განხილული იქნებოდა შემდეგი მონაკვეთის 1789 წელს დაწყებული საფრანგეთის დიდი რევოლუციიდან 1870 წლის საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებით. (20.14. 24. 25) უნდა ითქვას, რომ ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის იდეა სწორი გზით მიდიოდა. თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ვერც ამ ნამოწყების ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. უბრალოდ მას ამის გაკეთება არ დასცალდა. ის 1978 წლის 5 აგვისტოს, უეცრად, გულის შეტევით, გარდაიცვალა. ახალი ისტორიის ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის კიდეც ერთი ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული.

მან დაინყო მუშაობა მეორე ნაწილზე, მაგრამ იმდენად გაიტაცა ამ პროცესმა, რომ გადაწყვიტა თავის გეგმაში ცვლილებები შეეტანა. ასე გაჩნდა იდეა დაენერა სამეცნიერო პოპულარული ხასიათის მონოგრაფია XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციაზე. (26). ეს იყო მისი ჩანაფიქრის პირველი ნაწილი, რომელზე მუშაობის დასრულება მან მოასწრო. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ წიგნი მხოლოდ მისი გარ-

დაცვალების შემდეგ გამოვიდა. როგორც ჩვენთვის ცნობილია, განზრახული ჰქონდა ამ სახის შრომების დაწერა ახალი ისტორიის საკვანძო საკითხებზე. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში, ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისური ახალშენების ბრძოლაზე დამოკიდებლობისათვის, საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე, ნაპოლეონზე, 1848 წლის რევოლუციებზე ევროპაში. მას წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, დატვირთვა გააჩნდა. ასეთი ნაბიჯი, ვფიქრობთ, სავსებით, გამართლებული იყო. მას სურდა თავისი წვლილი შეეტანა იმ ვაკუუმის შევსების საქმეში, რომელიც, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. ეს ჩანაფიქრი არ იყო ურიგო და აქ ჩამოთვლილ თემებზე ქართულ ენაზე დღემდე თითქმის არაფერია დაწერილი, მაგრამ ეს უკვე აღარ იყო სახელმძღვანელო. ეს დამხმარე ლიტერატურაა, რაც, ცხადია, ძალიან კარგია. ის ნაწილობრივ ავსებს იმ ვაკუუმს, რომელიც სახელმძღვანელოს არქონის შემთხვევაში წარმოიშობა. როგორც ამბობენ „ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდება“. დღევანდელი გადასახედიდან მისი ამ გადანყვეტილების განსჯა ადვილი საქმე იქნებოდა, მაგრამ ამის გაკეთებას არ ვაპირებთ. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან, ჩვენთვის უკვე ცნობილ მიზეზთა გამო, ამ განზრახვის დასრულება ვეღარ მოასწრო და ეს ვაკუუმი ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე რჩება. ეს თემატიკა კვლავ აქტუალურია.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ წინამორბედი პერიოდისაგან ესტაფეტად მიიღო ახალი ისტორიის პირველი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა. ვერ ვიტყვით, რომ თითქოს ამ წლებში არაფერი გაკეთებულა. ეს სიმართლე არ იქნება. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფია შეეცადა ამ საქმეში თავისი წვლილი შეეტანა. ეს, ცხადია, ძალიან

კარგია. ეს გახლავთ ერთი საინტერესო მონაკვეთი ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიაში – 1921-1991 წლები. ამ კუთხის ეს თემა თითქმის არ ყოფილა გაშუქებული და წინამდებარე ნაშრომი ამის გაკეთების პირველი მცდელობა გახლავთ. ამ რაკურსით, საკითხის შესწავლა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია.

საბჭოთა წლებში ახალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობამ ვფიქრობთ, საინტერესო მეტამორფოზი, ევოლუცია, განიცადა, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს კარგი ცხოვრებით არ ყოფილა გამოწვეული. საკითხისადმი დამოკიდებულება იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ცხადია, ეს შემთხვევითი არ ყოფილა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ამგვარი მიდგომის მთავარი ინციტორი და სულისჩამდგენელი პროლეტარიატის დიდი ბელადი სტალინი იყო. მთელი ძალისხმევა მიმართული იქნა ერთი მიზნისკენ. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში მოექციათ. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში მოხდა ისტორიულ მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. პოპულარული იყო რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა. ეროვნულ სახელმძღვანელოებზე მუშაობა მეტი აღარ იყო აქტუალური. შეიძლება ითქვას, რომ ეს იდეა სტალინმა დიდი ხნით დაასამარა.

საბჭოთა პერიოდში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერამ რამდენიმე ფაზა განვლო, რაც საკითხის პერიოდიზაციასთან ასოცირდება. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს. თავდაპირველად, ჯერ კიდევ 20-30-იან წლების პირველ ნახევარში, ეტყობა, ჯერ კიდევ ძველ ინერციით შემორჩენილი იყო ეროვნულ სახელმძღვანელოებზე ზრუნვა. ეს ადვილი გასაგებია და მასში საბჭოთა კავშირში შემორჩენილი

თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი მბჟუტავი სხივი უნდა დავინახოთ. ამიტომ ეს მონაკვეთი საქართველოში ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალურ ხანად შეიძლება იქნას მოაზრებული. არსებითად შეიცვალა ვითარება 30-იანი წლების შუა ხანებიდან, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციასთან, სტალინიზაციასთან. ყველაფერი იმართებოდა ცენტრიდან. ეროვნული სახელმძღვანელოები საბჭოთა სახელმწიფოს არაფერში ჭირდებოდა. მყარდება ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლია, დიქტატი. ის ცხადდება ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო, იდევენბოდა. ისტორია არ ხელენიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს ისტორიული მეცნიერების სიკვიდლის ტოლფასი იქნებოდა. ამ გზას ჩიხში მივყავართ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ისტორიულ მეცნიერებაში სტალინური ხანა სრული კრახით დასრულდა.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე ახალ ფაზაში შედის. მოხდა ლიბერალიზაცია. საზოგადოებამ შვებით ამოისუნთქა. გაჩნდა ადგილებზე ინიციატივის გამოჩენის შანსი. სტალინის რეჟიმის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ხელისუფლება აღარა იყო ისეთი ყოვლისშემძლე, მაგრამ ზიანის მიყენება შეეძლო და თუ ასეთი შანსი მიეცემოდა ხელიდან არ გაუშვებდა. ამის მაგალითები არსებობდა. ამ საქმის დასრულებასთან ყველაზე ახლო იყო პროფ. გივი კილურაძე, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა და მისი დასრულება, ცხადია, ვერც მან მოასწრო. სამწუხაროდ, ეს საქმე კვლავ დაუსრულებელი დარჩა. ახლა ის ესტაფეტად გადაეცა შემდგომ პერიოდს. ასეთი იყო რეალობა, მისი არც შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა და არც გამუქება სასურველი არ უნდა იყოს. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ, მაგრამ ამ საშუალებდო ხაზის მოძიება სულაც არ იქნება ადვილი საქმე, რადგან მსაჯულები ამ საკითხის შეფასებისას, უპირატესად, სუბიექტური არიან და

ზოგს საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ნოსტალგია მოეძალე-
ბა, ზოგს კი პირიქით. მისი შეუფასებლობა გადაძალავს. კიდევ
ერთხელ გაუსვამთ ხაზს, რომ წინამდებარე ნაშრომი ამ სა-
შუალებდო გზის მოძიების ერთ-ერთ მოკრძალებულ მცდელობად
გვევლინება. აქ დაესვა წერტილი ახალი ისტორიის საუნივერ-
სიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის თავგადასავალის მეორე
პერიოდს. იწყება ახალი პერიოდი, რომელიც ამ საქმიანობის
მესამე პერიოდად, ამ ეტაპზე დასკვნით აკორდად, მოგვევლინა.

მოკლე რეზიუმე. ვაჯამებთ რა ყოველივე ზემოთქმულს
ასეთ დასკვნამდე მივდივართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი
ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია, საქართველოს გასაბჭოე-
ბის შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფიის ევროპულმა ორიენ-
ტაციამ მკვეთრი მეტამორფოზი, ევოლუცია, განიცადა. ეს იმით
გამოიხატებოდა, რომ ევროპულმა ღირებულებებმა შესამჩნე-
ვად იცვალა სახე და მარქსისტულ აპკში აღმოჩნდა გახვეული.
საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენდა ევროპული, პოზი-
ტივისტური ისტორიოგრაფიის და ერთი ვინროდოგმატურად
გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ნაზავს. ქარ-
თული ისტორიოგრაფიის ევროპული განვითარება პოზიტივის-
ტური ისტორიოგრაფიის ზღურბლზე შეჩერდა და მეტი წინ არ
წასულა. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შეფასება გადასინჯვას
მოითხოვს. მისი შუქ-ჩრდილები ასე ვგაქვს წარმოდგენილი. ემ-
პერიის, ფაქტოლოგიის, დონეზე, საბჭოთა პერიოდის ქართული
ისტორიოგრაფიის პროგრესის ყოველგვარა ეჭვს გარეშე უნდა
იყოს და ამის უგულებელყოფა, ჩვენი აზრით, სწორი არა იქნე-
ბა. რაც შეეხება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომას, როგორც
ითქვა ის არსად არ წასულა, არ გამქრალა, კვლავ ძალაშია,
მაგრამ ცალმხრივი ხასიათი შეიძინა და ერთი ვინრო დოგმა-
ტურად გაგებული მარქსისტ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში
იქნა მოქცეული. წარსულისადმი მიდგომა იყო ძალზე იდეოლო-
გიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური
ნება. სტალინის ძალისხმევით მყარდება მკაცრი იდეოლოგიური
კონტროლი. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის

თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულე-
ბა ამის ლოგიკური შედეგია, ამან გამოიწვია, რომ ჩრდილი
ჭარბობდა შუქს. ამ გზას ჩიხში მივყევართ. ბოლოს და ბოლოს
საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისმა ლეტალური ანუ სასიკვ-
დილო ხასიათი შეიძინა.

საბჭოთა ისტორიოგრაფია წარმოადგენს ერთ ისტორიო-
გრაფიულ მიმდინარეობას, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია
თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ის კარგად გამოხატავ-
და ერთი ისტორიული სკოლის შეხედულებას, მაგრამ არ წარ-
მოადგენს ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც
სტალინს და მის კვლდაკვალ საბჭოთა ისტორიოგრაფიას ეგო-
ნა. ისინი ირჩევენ სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მას
მარქსისტული პოზიციიდან ამუშავებენ. ამ გზით მაშინ ძალიან
ბევრი მიდიოდა.

ამგვარად, მითი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარე-
ბის საქმეში 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების ისტორიულ
მნიშვნელობაზე გადაჭარბებული უნდა იყოს. ჩამოიშალა. ჩვენს
შრომებს ლაიტმოტივად გასდევს მოსაზრება, რომ მარქსისტუ-
ლი სტერეოტიპების და შტამების გამო მათი მკაცრად განსჯა
მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, ადვილი გზით სიარული იქნებო-
და და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება
და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს აღნიშნულ საკითხზე უფრო
ადეკვატურ წარმოდგენას ჩამოგვიყალიბებდა. ჩვენ ეს საკითხი
ასე გვესმის.

ლიტერატურა:

1. მ. კალანდაძე, პროფესორი უშანგი სიდამონიძე, თბ., 2004.
2. M. kalandadze, Ušangi Sidamonidze ein opfer des totalitären Regimes, Georgia, 28. 2005.
3. მ. კალანდაძე, ყველა სიკეთე საბჭოთა რეალობასთან როდი ასოცირდება; თბ., 2021.
4. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპული ორიენტაციის ევოლუცია, თბ., 2023.
5. მ. კალანდაძე, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასებისათვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტი. ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. VII საფაკულტეტო კონფერენცია, თბ., 2015.
6. ნ. მამუკელაშვილი, ისტორიის სწავლება ქართულ საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებულის, თბ., 1993.
7. ნ. მამუკელაშვილი, საზოგადოებათა მეცნიერების სწავლება ქართული საბჭოთა სკოლაში, ალექსანდრე ნამორაძის სახელობის კრებულის. თბ., 1993.
8. ნ. მამუკელაშვილი, სასკოლო საისტორიო მეცნიერების ურთიერთკავშირი, ვარლამ დონაძის სახელობის კრებულის, თბ., 1996.
9. უ. სიდამონიძე, საქართველო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია. (1917-1921) თბ., 1970.
10. ისტორიის შესწავლისათვის, თბ., 1937.
11. გ. ყორანაშვილი, საქართველო ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1994.

12. ნ. ლუკინ (ანტონოვი), უახლესი ისტორია, თბ., 1924.
13. გრ. ნათაძე, კაპიტალიზმის ისტორიიდან. თემა 2. საფრანგეთის დიდი რევოლუცი, თბ., 1933.
14. მ. კალანდაძე, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველი ნახევარში, თბ., 1999.
15. საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სეაუიკა), ფონდი 2079. ანაბეჭდი 1. საქმე 66. ფურცელი, 178 სეაუიკა. 2079. ან 1. საქმე 105. ფურცელი 751, სეაუიკა ფ. 2079, ან 1, ს. 28. სეაუიკა ფ. 2079, ამ 1. ს. 24. ფ. 32. სეაუიკა, ფ. 2079. ან. 1. 32. ფ. 24 და სხვა მრავალი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ წყაროების ერთი ნაწილი, რომელიც, უეჭველად, წარმოადგენს ახალი ისტორიის კუთვნილებას შეცდომით, სტალინური პერიოდიზაციის თანახმად, აღმოჩნდა შუა საუკუნეების ისტორიაში. ამან არ უნდა დაგვაბნოს.
16. კლასთა ბრძოლა სავაჭრო კაპიტალიზმის ეპოქაში, თარგმნა ალექსანდრე ნამორაძემ, თბ., 1931.
17. პ. კუშნერი, დასავლეთ ევროპის ისტორია, თარგმნა ალექსანდრე ნამორაძემ, თბ., 1935.
18. А. Гуревич, История историка, М. **2004**.
19. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, თბ., 1970.
20. კ. ანთაძე, პროფესორი გივი კილურაძე, თბ., 1983. პროფესორი გივი კილურაძე, შემდგენლები თ. ანთაძე და მ. კალანდაძე, თბ., 2022.
21. ახალი ისტორია, ნაწილი პირველი, 1870-1900. თბ., 1973. ნაწილი მეორე, 1900-1918. თბ., 1975.
22. ახალი ისტორია, ნ. ნამორაძის რედაქციით, თბ., 1990.
23. ქრესტომათია ახალ ისტორიაში, ნაწილი პირველი, რედაქტორები მ. მამფორია და გ. კილურაძე, თბ., 1979.
24. მ. კალანდაძე, პროფესორი გივი კილურაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ისტორიის სერია,

- ტ. 305. თბ., 2005. პროფესორი გივი კილურაძე, შემდგენ-
ლები თ. ანთაძე, მ. კალანდაძე, თბ., 2022.
25. M. Kalandadze, Ein Georgischer Erforscher der Neuen
Geschichte westeuropa. Georcica 30. 2007.
26. გ. კილურაძე, XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რე-
ვოლუცია, ნაწილი პირველი (1603-1642), თბ., 1979. ნაწი-
ლი მეორე, (1642-1688), თბ., 1983.

თავი მესამე

ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის ისტორიაში ახალი პერიოდი იწყება. ფაქტობრივად, აქედან იღებს სათავეს ახალი მესამე მონაკვეთი. ეს გახლავთ სრულიად ახალი საკითხი, რომელიც შესწავლილი არ ყოფილა. ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დაწერის მცდელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ამჯერადაც ის პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდება და ისე როგორც პირველ შემთხვევაში დადებითი მუხტი გააჩნია და ქართულ ისტორიოგრაფიაში შეტანილ პოზიტიურ წვლილთანა დაკავშირებული, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავის ძლიერი და სუსტი მხარეები. გააჩნია პერსპექტივა. ამის დაუნახაობა სწორი არ უნდა იყოს და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ერთი ვინ როდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობის ხანა დასრულდა. ქართულმა ისტორიოგრაფიამ შევებით ამოისუნთქა. გააჩნდა თავისუფალი არჩევანი. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შემდეგ, წინგადადგმუ-

ლი ნაბიჯი იყო და ამაზე თვალის დახუჭვა, გამართლებული არ იქნებოდა. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს. სწორი ორიენტირები დასახოს, სწორი არჩევანი გააკეთოს. სწორი აქცენტები დასვას. დაუბრუნდეს და განავითაროს თავდაპირველი ღირებულებები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და წინგადადგმული ნაბიჯია. ეს შრომები ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯებად გვევლინება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია არის რთული და მრავალნახნაგოვანი. მისი ერთმნიშვნელოვნად დადებითად ან უარყოფითად შეფასება ადვილი საქმე არ იქნებოდა, ძალზე სწორხაზოვნად მიგვაჩნია და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ერთ შემთხვევაში შეიძლება საქმე გვექონდეს „ზრდის კრიზისთან“, ხოლო მეორე შემთხვევაში ის შეიძლება უფრო მძიმე ფორმით მიმდინარეობდეს და ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინოს. ამიტომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება ან შეუფასებლობა, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, შედმეტია. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა მისი შუქრდილები და შეძლებისდაგვარად აგვეხსნა ამის გამომწვევი მიზეზები. ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. ჩვენ გაგვაჩნია აღნიშნული საკითხის საკუთარი ვერსია. რა თქმა უნდა, ის არ წარმოადგენს უკანასკნელ ჭეშმარიტებას. მას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც შეიძლება მეცნიერული პაექრობის საგანი გახდეს.

ახალი ისტორიის აქტუალური საკითხების ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯად ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოები მიგვაჩნია. (1) აქვე უნდა დავძინოთ. რომ ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოების შინაგან განხილვაში არ შევდივართ, ეს ძალიან შორს წაგვიყვანს და ამჯერად ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში მხოლოდ გარეგანი მიმოხილვით შემოვიფარგლებით. ის ორიენტირებული იყო სულ სხვა ღირებულებებზე. სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე, რომელიც წარმოადგენს თავისუფალი აზროვნების, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტული მიდგომის, პლურალიზმის, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებების რეანიმაციის, რეაბილიტაციის, მცდელობას. ეს, ცხადია ძალიან კარგია და საბჭოთა ისტორიოგრაფიის შემდეგ, წინადადებული ნაბიჯი იყო. უკვე აღარ იგრძნობა ისტორიისადმი მონისტური მიდგომა, ფორმაციული პრინციპი. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობაზე აპელირება. წარსული მოვლენების კლასობრივი გაშუქება, ბრძოლის პლებუური მეთოდების გაიდილება. დიდი ადგილი აქვს დათმობილი და სახელმძღვანელოს ერთ-ერთ ღირსებად გვევლინება საქართველოს ურთიერთობის გაშუქება ევროპის ქვეყნებთან, რომელიც საბჭოთა სახელმძღვანელოებში პერიფერიულ თემას წარმოადგენდა და, ფაქტობრივად, კადრს მიღმა რჩებოდა. კულტურის ისტორიის საკითხების წინ წამოწევა, რომელიც საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოებში, ძირითადად უკანა პლანზე იყო გადაწეული და სულ ბოლოს განიხილებოდა. ახალი სახელმძღვანელოს კიდეც ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს. როგორც ყველა სიახლე, ის, ცხადია, უნაკლო ვერ იქნებოდა. მისი შემდგომ დახვეწა, სრულყოფა, გამორიცხული არ იყო.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა. (2).

ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა გარკვეული კორექტივების შეტანას მოითხოვს და დაზუსტებას საჭიროებს. უწინარესად ასეთად მიგვაჩნია ნაპოლეონის მამლუქი რუსტამის, ქართველად როსტომ რაზმაძედ გამოცხადება. [1.103] ამგვარი მიდგომა, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ უნდა იყოს, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და ქართულ ენციკლოპედიაში პროფ. გივი ჟორდანიას მიერ დაწერილი წერილის გამოძახილი უნდა ყოფილიყო. (3, 515) სინამდვილეში ის თბილისელი სომეხი იყო. (4. 5. 6). ძნელი სათქმელია, რომ ნაპოლეონი ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს რუსეთს. (1. 101). როგორც უახლესი გამოკვლევებიდან ჩანს, სინამდვილეში ეს ასე არ ყოფილა. ნაპოლეონმა ოფიციალურად გამოუცხადა ომის რუსეთს, რაზეც სავსებით სამართლიანად აპელირებენ უცხოელი ისტორიკოსები. (კლაუზევიცი, ჩენდლერი) ეს მოსაზრება გვხვდება თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში. (ნ. ტროიციკი).

2006 წლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამის აუცილებლობა, როგორც ჩვენ გვგონია, არ არსებობდა. ეს სახელმძღვანელოები ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან. ეს, ჩვენი აზრით, შეცდომა იყო. ახალი ისტორიის სწავლება სულ სხვა მიმართულებით წარიმართა, რომელსაც თავდაპირველი გზის გაგრძელება, წინგადადგმული ნაბიჯი, ძნელია უწოდოთ. ახალი სასკოლო სახელმძღვანელოები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სათანადოთ არაა გათვალისწინებული მოსწავლის ასაკობრივი შესაძლებლობა. ეს მეტად მნიშვნელოვანია. მონაფემ ცუდად იცის ემპირული ფაქტობრივი მასალა. არაა სასურველი სკოლის სახელმძღვანელოს თეორიული საკითხებით გადატვირთვა. ასე მას ისტორიის უფრო მეტად შევაძლებთ, ვიდრე შევაყვარებთ. ეს კი, რა თქმა უნდა, არაა ჩვენი მიზანი. უწინარესად, ამ საქმეს უნდა მიხედვა. მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, მერე დაგვიანებული იქნება. (7. 8. 9. 47-49).

ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციასთან. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შიგნით მნიშვნელოვან მიჯნას, სწორედ, 2006 წელს განხორციელებული რეფორმა წარმოადგენს. მან ეს მონაკვეთი ორ ნაწილად გაყო. რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. რეფორმის აუცილებლობას არავინ უარყოფს. რეფორმის განხორციელება საჭირო იყო. ვერ ვიტყვით რომ მას დადებითი არაფერი ჰქონდა. ეს ასე არ იყო, მაგრამ ჩრდილი დომინირებდა შუქზე. ასაკობრივი დევნა რეფორმის აქილევსის ქუსლად გვევლინება. ამან გამოიწვია თაობათა შორის წყვეტა.

სკოლის სახელმძღვანელოს ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიისაგან გათავისუფლების პირველ ფაზად გვევლინება. მეორე უფრო მაღალ ფაზა მარქსიზმისაგან ახალი ისტორიის განმენდის საქმეში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები უნდა ყოფილიყო. იყო თუ არა ეს იმ კარგი ტრადიციის გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში? მეტ-ნაკლებად, ალბათ, კი, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ძველი ინერცია ჯერ კიდევ იგრძნობა, ბოლომდე დაძლეული არაა. ძნელი სათქმელია, რომ ამ საკითხში პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში სრული შტილი იყო. ეს ასე არაა. საქმე გვაქვს ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნის რამდენიმე მცდელობასთან. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, თუმცა გარკვეული უკმარობის გრძნობა მაინც რჩება და უფრო უკეთესის მოლოდინია.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, პროფ. ვაჟა თვალავაძის ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსიზმ-ლენინიზმისგან საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს გათავისუფლების კიდევ ერთ მცდელობასთან (10). საუბარია ახალი ისტორიის ერთ დიდ მონაკვეთზე. ის მოიცავს, პერიოდს XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციიდან 1870 წლამდე. საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე. ერთი შეხედ-

ვით, ისე ჩანს თითქოს ეს არის ახალი ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე როდია. ახალი ისტორიის მარქსისტულ პერიოდიზაციაზე უარის თქმა ვაჟა თვალავაძის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს ერთ-ერთ მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

სახელმძღვანელო შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ეხება ამ ეპოქის ისტორიას 1640 წლიდან, ინგლისის რევოლუციის დაწყებიდან, ვენის კონგრესამდე 1815 წელს. მეორე ნაწილში კი განხილულია ახალი ისტორია 1815 წლიდან, ვენის კონგრესიდან, 1870 წლამდე, საფრანგეთ-პრუსიის ომამდე. საგულისხმოა, რომ მან ამას პირველი და მეორე მონაკვეთი კი არ უწოდა, რაც მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაციის რეანიმაციის მცდელობა იქნებოდა, არამედ მეორე და მესამე მონაკვეთი. ეს უფრო სწორი უნდა იყოს. მინიშნება, რომ ახალი ისტორია შედარებით უფრო ადრე დაიწყო, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და კარგად იკითხება. ცხადია, აქ იგულისხმება XV-XVI საუკუნეების მიჯნა, კონკრეტულად რომელ თარიღს ანიჭებდა მნიშვნელობას ამაზე რამის თქმა ძალზე ძნელი იქნებოდა, მაგრამ ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა (10. 3-7). ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ახალი ისტორიის შიდაპერიოდიზაციასთან. ის სამ ქვეპერიოდადაა დაყოფილი: 1. XV-XVI საუკუნის მიჯნა და XVII საუკუნის შუა ხანები, როდესაც დაიწყო ინგლისის რევოლუცია. 2. XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციიდან – 1815 წელს ვენის კონგრესამდე და 3. 1815 წელს ვენის კონგრესიდან 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე. ამ პერიოდიზაციაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ, თუმცა შეიძლება იყოს სხვა პერიოდიზაციაც. საქმე ეხება არა ორ, არამედ სამ პერიოდად დაყოფას, მაგრამ ამაზე მოდი ცოტა მოგვიანებით ვისაუბროთ, რაც თავიდან აგვაცილებს ტავტოლოგიას. აქ კამათი გემოვნების საკითხია და პრინციპულ ხასიათს არ ატარებს.

სახელმძღვანელოს მეორე მონაკვეთში განხილულია ახალი ისტორიის საკვანძო საკითხები: ინგლისის რევოლუცია, ინგლი-

სის ამერიკული კოლონიების ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა. აშშ-ს კონსტიტუცია. სამრეწველო გადატრიალება ინგლისში. განმანათლებლობა საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ნაპოლეონის ეპოქა. ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე გარემოებაზე, რომელმაც გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიყვების სურვილი გავვიჩინა. უწინარესად, უნდა აღინიშნოს, რომ სასურველი იყო განხილულიყო ლუი XIV მმართველობა (1643-1715). ასევე არაფერი თქმულა ამ ეპოქის გერმანიის ისტორიაზე. ფაქტობრივად, კადრს მიღმა რჩება პრუსიის აღზევება, ფრიდრიხ მეორის მმართველობა (1740-1786), გერმანული კულტურის ტრიუმფალური წარმატებები. (10). ძველი რეჟიმი საფრანგეთში განხილულია შედარებით სუსტად, მკრთალად, ფაქტობრივად, კადრს მიღმა აღმოჩნდა რევოლუციის წინ საფრანგეთის პოლიტიკური ისტორია. (10. 141-148)

მესამე მონაკვეთში განხილული საკითხების ჩამონათვალი ასეთია: ვენის კონგრესი და „საღვთო კავშირი“, საფრანგეთი 1815-1870 წლებში, ინგლისი 1815-1870 წლებში, გერმანული სახელმწიფოები 1815-1848 წლებში, ავსტრია 1815-1848 წლებში, 1848 წლის რევოლუციები ევროპაში. გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება. ამერიკის შეერთებული შტატები 1815-1861 წლებში, სამოქალაქო ომი აშშ-ში და რეკონსტრუქცია. მისასალმებელი უნდა იყოს სახელმძღვანელოში ესპანეთის და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიის გაშუქება. ამას, პირველ ყოვლისა, წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ამ ეპოქაში აღნიშნული ქვეყნების ისტორიაზე მშობლიურ ენაზე თითქმის არაფერია დანერგილი და ამ ვაკუუმის შევსების ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ პოზიტიური დატვირთვის შემცველია (11). სახელმძღვანელოს ბოლოში დართული აქვს ქრონოლოგია, ეს, ცხადია, ძალიან კარგია და შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია. ეს სახელმძღვანელოს კიდევ ერთი პლუსია. ის დაეხმარება სტუდენტებს თარიღების დასწავლაში. აქვე დავძენთ, რომ სახელმძღვანელოს დართული აქვს რუკები და

ეს ძალიან კარგია. ნებისთ თუ უნებლიეთ ხომ არ ამუქებს ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ევროპაში შექმნილ სიტუაციის რეაქციულ ხასიათს? (11) უახლეს ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ცოტა სხვაგვარადაა გაშუქებული. პესიმისტური ტონი უფრო ოპტიმისტურმა მიდგომამ ჩაანაცვლა. „ვენის სისტემა“ განიხილება როგორც ინდუსტრიული საზოგადოების საერთაშორისო ურთიერთობის მოდელის პირველი ეტაპი. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ის მაქსიმალურად შეეცადა განეტვირთვა სახელმძღვანელო ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომებისაგან. ასე მაგალითად, ის აღარ იყენებს ტერმინს „ბურჟუაზიული რევოლუცია“. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ სახელმძღვანელოს პლუსია, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ აქა-იქ უნებლიეთ, ძველი ინერციით, გაიპარა მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები.

ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს ისტორიკოს დავით ლომსაძის წიგნი „ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია“ (ნაწილი პირველი) (12). ის ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს XVII საუკუნეების შუა ხანების ინგლისის რევოლუციიდან 1870 წლამდე. საფრანგეთ-პრუსიის ომამდე. ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ პოზიტიურად უნდა იქნას აღქმული და მისასაღმებელია. ამიტომ ავტორის სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის შევსებით საქმეში, ცხადია, ძალიან კარგია.

სახელმძღვანელოს დადებით მხარედ მიგვაჩია: ა. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, ავტორის მცდელობა დაადგინოს და უფრო დააზუსტოს ახალი ისტორიის ტერმინოლოგია. ზოგიერთი შემოთავაზება, ჩვენი აზრით, საინტერესო უნდა იყოს და შეიძლება დაიმკვიდროს ადგილი სამეცნიერო მიმოქცევაში. რა თქმა უნდა, ეს არ გახლდათ პატარა საქმე და აქ ნიჰილისტური დამოკიდებულება, სრულიად უადგილო იქნებოდა. (12. 242-245). ბ. წიგნს დართული აქვს რუკები. ეს სიახლეა და თვალ-

საჩინოებას წარმოადგენს. მართალია, პოლიგრაფიული დონე დაბალია, მაგრამ მთავარი ეს არ უნდა იყოს. ეს სტუდენტებს დაეხმარება უფრო ადვილად აითვისონ ეს საკითხები. ხდება ორი მომიჯნავე დარგის ისტორიის და გეოგრაფიის თანხვედრა. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიფართოვოს ცოდნა (12. 245-258) **გ.** სახელმძღვანელოს დართული აქვს ქრონოლოგი. ეს ძალიან კარგია. მას წმინდა შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და საშუალებას მიცემს სტუდენტს უფრო კარგად დაისწავლოს ემპერიული მასალა და კარგად მოამზადოს საგანი (12. 258-270). **დ.** კარგია სახელმძღვანელოში იტალიის და ესპანეთის ახალი ისტორიის ჩართვა. ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და შეძლებისდაგვარად ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც ამ საკითხში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა.

სახელმძღვანელოს საფუძვლად უძევს ქვეყანათმცოდნეობითი პრინციპი და მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური თანამიმდევრობის მიხედვით. ერთ თავში გაშუქებულია ერთი ქვეყნის ახალი ისტორია მთლიანად. ბუნებრივია, ის დაყოფილია პარაგრაფებად, ამგვარ დამოკიდებულებაში მიუღებელს ვერც ვერაფერს ვხედავთ. მაგრამ ძალზე ზოგადია. უკეთესი ხომ არ იყო მეტი კონკრეტიკა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოს სტრუქტურის, არქიტექტონიკის, შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს საკითხების განხილვა ახალი ისტორიის შიდაპერიოდიზაციის მიხედვით. ევროპის ცალკეულ ქვეყნების ისტორია, არამთლიანად ახალ დროში, როგორც ეს სახელმძღვანელოში, არამედ ახალი ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე. ვფიქრობთ, ეს უფრო გაუადვილებდა სტუდენტებს მასალის დასწავლას და საშუალებას მოგვცემდა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაგვეღრმავებინა სახელმძღვანელოში ამ თემატიკის გაშუქება. ის სამ მონაკვეთად შეიძლება დაგვეყო: **1.** ევროპის ცალკეული სახელმწიფოები 1640 წლიდან ინგლისის რევოლუციის დაწყებიდან, 1789 წლამდე საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე. **2.** ევროპის სახელმწიფოე-

ბი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ხანაში. (1789-1815). 3. ევროპის სახელმწიფოები ვენის კონგრესიდან, საფრანგეთ-პრუსიის ომამდე. (1815-1870). ამგვარი მიდგომა, საინტერესოა და მასში კარგად იკითხება ახალი ისტორიის შიდა პერიოდიზაციაზე მინიშნება. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხის შიდაპერიოდიზაციის უგულვებლყოფასთან, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის აქტიურობის ქუსლად მიგვაჩნია. აქ სრულდება ახალი ისტორიის პირველი პერიოდი, როგორც მას უწოდებდნენ საბჭოთა წლებში. აქ კამათი პრინციპულ ხასიათს არ ატარებს, გემოვნების საკითხია და არავითარ ჩრდილს არ აყენებს სახელმძღვანელოს.

არ შევცდებით თუ ვიტყვით რომ მარქსისტული სტერეოტიპები და შტამპები ბოლომდე დაძლეული არაა და უნებლიეთ. ძველი ინერციით, გაიპარა. პირველ ყოვლისა, ასეთად მიგვაჩნია ახალი ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. ამაზე მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. ის ახალ ისტორიას იწყებს XVII საუკუნის შუა ხანებიდან ინგლისის რევოლუციით. ახალი ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რეანიმაციის ნებისმიერი მცდელობა მიუღებელად მიგვაჩნია. სახელმძღვანელოში იგრძნობა საკითხისადმი კლასობრივი მიდგომა, მნიშვნელოვანწილად სწორედ, ამით აიხსნება, რომ ზოგიერთი საკითხისადმი გაშუქებამ გარკვეული უკმარისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესატყვის სურვილი გაგვიჩინა. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის და ნაპოლეონის კანონშემოქმედებითი საქმიანობისადმი კლასობრივ მიდგომაზე აპელირება. ხაზგასმული მისი ბურჟუაზიულ-კლასობრივი შეზღუდულობა, რაც ერთგვარად აკნინებს მათ ისტორიულ მნიშვნელობას და ამ საკითხზე ადექვატურ წარმოადგენას ვერ გვიყალიბებს. (ჩვენ ამ საკითხებზე საუბარი გვქონდა ავტორთან, მაგრამ მან გადაწყვიტა ყველაფერი ისე დაეტოვებინა როგორც იყო. ეს მისი ნებაა).

ბოლო ხანებში ადგილი აქვს ერთ პოზიტიურ ტენდენციას. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ საქმე-

ში აქტიურად ჩაებნენ პერიფერიები, რომლებიც ადრე პასიურობდნენ. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ისინი ცდილობენ თავისი წვლილი შეიტანონ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმის შევსების საქმეში და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან წინ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ბათუმში 2021 წელს ისტორიკოს ხათუნა დიასამიძის მიერ გამოცემული ახალი ისტორიის სახელმძღვანელო (13), ფაქტობრივად, ეს წარმოადგენს სალექციო კურსს, რომელსაც ის კითხულობს ბათუმის უნივერსიტეტში. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის ნებისმიერი მცდელობა ძალიან კარგია და მისასალმებელი უნდა იყოს. ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს, მისი როგორც ისტორიკოსის საქმიანობაში და მის შემოქმედებით წარმატებას წარმოადგენს. მან, უდავოდ, კარგი და საშური საქმე გააკეთა. ამაზე ორი ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

სახელმძღვანელოს არქიტექტონიკის, სტრუქტურის, შინაარსის, შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. გვეჩვენება, რომ მას კონკრეტული აკლია და ძალიან ზოგადია. ამგვარი კონკრეტული მიდგომა, ვფიქრობთ, მომგებიანი იქნებოდა და საშუალებას მისცემდა შინარსობრივად კიდევ უფრო გაემდიდრებინა ეს საკითხები. წავიდოდით არა მარტო სიფართოვეში, არამედ სიღრმეში. სახელმძღვანელოს დასაწყისში საუბარია ესპანეთის და პორტუგალიის ისტორიაზე XVII-XVIII საუკუნეებში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ არაფერია ნათქვამი ესპანეთის ისტორიაზე XIX საუკუნეში. ეს საინტერესო საკითხი ინდიფერენტული დამოკიდებულებას ნამდვილად არ იმსახურებს სასურველი იყო თუ დავინწყეთ ამ თემაზე საუბარი ის ბოლომდე მიგვეყვანა და დაგვესრულებინა, ანდაც სულაც არ შევხებოდით მას. ეს უფრო თანმიმდევრული იქნებოდა. რა თქმა უნდა, პირველი უფრო უმჯობესი უნდა ჩანდეს, ვიდრე მეორე.

სასურველი იქნებოდა სახელმძღვანელო დაყოფილი ყოფილიყო მონაკვეთებად. სხვათა შორის, ასეთი მიდგომა იკითხება სახელმძღვანელოს შინაარსში, სახელმძღვანელოს სტრუქტურაში შევეცადეთ ამოგვეკითხა თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო სახელმძღვანელოს ავტორის დამოკიდებულება ახალი ისტორიის შიდაპერიოდიზაციისადმი. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური და მასზე ყურადღების შეჩერება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს.

ახალი ისტორიის ორ ქვეპერიოდად დაყოფაზე მინიშნება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს. როგორც ეტყობა, ავტორს ასეთად ესახებოდა ვენის კონგრესი 1815 წელს, ცხადია, ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ და სავსებით სწორია. სხვათა შორის, ეს ვერსია გვხვდება პროფ. ვაჟა თვალავაძის სახელმძღვანელოში.

შეიძლება იყოს სხვა ვერსია. ცხადია, ვგულისხმობთ არა ორ, არამედ სამ მონაკვეთად დაყოფას. საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ნაპოლეონის ეპოქა უაღრესად საინტერესოა და ხშირად ისტორიკოსები მას გამოყოფენ როგორ ახალი ისტორიის ცალკე მონაკვეთს. ამას აქვს თავისი რეზონი, აზრი და ძალიან ბევრი მომხრე ყავს. ეს გახლავთ ერთი დიდი მონაკვეთი. დასავლეთ ევროპა საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქაში. (1789-1815). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ორ, არამედ, სამ ქვეპერიოდად დაყოფასთან. **1.** XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციიდან 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე. **2.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქა. (1789-1815). **3.** 1815 წელს ვენის კონგრესიდან 1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დაწყებამდე. ჩვენ ეს შიდა პერიოდიზაცია უფრო გვესიმპატიურება. ამ შემთხვევაში მეცნიერული პაექრობა არ ატარებს პრინციპულ ხასიათს და გამოვნიებას შეეხება. ასე გვეჩვენება ახალი ისტორიის შიდაპერიოდიზაციისადმი სახელმძღვანელოს ავტორის დამოკიდებულება.

ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტილებამ გარკვეული უკმა-რისობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვი-

ჩინა. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვეგონია რომ საერთოდ კონტექსტში ჩაიკარგა ასეთი საინტერესო პრობლემები, როგორცაა 1848 წლის რევოლუციები, გერმანიის გაერთიანება. იტალიის გაერთიანება, ამგვარი მიდგომა ძალზე ზოგადია და კონკრეტულ აკლია. ეს საშუალებას მოგვცემდა შინაარსობრივად კიდევ უფრო გაგვემდიდრებინა სახელმძღვანელოს ეს ნაწილი. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე სასურველი იქნებოდა ამ პრობლემატიკის ცალკე გამოყოფა. „გერმანია XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში“. ჩვენი აზრით, ეს ძალიან ზოგადია და კონკრეტულ აუღიათ. იგივე შეიძლება ითქვას იტალიის გაერთიანებაზე. ის რალაცნაირად ჩაიკარგა ქვეყნის საერთო ისტორიაში.

ყურადღებას იპყრობს ახალი ისტორიის პერიოდიზაციის საკითხი. თემა არის საინტერესო და აქტუალური. მის გადანყვეტას პრინციპული დატვირთვა გააჩნია. ის თავისებურად წყვეტს აღნიშნული საკითხს და ახალ ისტორიას იწყებს XVII საუკუნის დასაწყისში, კონკრეტულად კი 1600 წელს და ასრულებს 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დაწყებით. დასასრული სავსებით მისაღებია. დასაწყისი კი საკამათო შეიძლება იყოს. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ უნდა იყოს და დიდი ალბათობით ა. ჩუდინოვის, პ. უვაროვის და დ. ბოვიკინის რედაქციით გამოცემული ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს გამოცხადია. (14)

მეტად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს ბიბლიოგრაფია, რომელიც ერთვის სახელმძღვანელოს. ეს მისი პლუსია. გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში ვხვდებით ნიგნებს ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. მისმა გულდასმით გაცნობამ გარკვეული სურვილები გაგვიჩინა, რომელიც მის შემდგომ დახვეწას, სრულყოფას, ითვალისწინებს. ყურადღებას მივაპყრობთ რამდენიმე გარემოებას. 1973 და 1975 წელს გამოვიდა ახალი ისტორიის (1870-1918) სახელმძღვანელო. მისი ავტორი კი არაა გივი კილურაძე, არამედ ერთ-ერთი თანაავტორია. სახელმძღვანელო დაწერა ავტორთა

კოლექტივმა (13. 582). სასურველი იქნებოდა თუ ეს შეცდომა გასწორდებოდა. ბიბლიოგრაფიაში მითითებული უნდა ყოფილიყო პროფ. გივი კილურაძის ნიგნი ინგლისის რევოლუციაზე, რომელიც ცნობილი მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ, ორ ნიგნად გამოვიდა. „საფრანგეთის ისტორიის კულტურა გეოგრაფია“ სახელმძღვანელოს ავტორი ჩვენთან ერთად ბრძანდებოდა პროფ. კოტე ანთაძე. (13. 582). ეს უნდა გასწორდეს. ქართული ბიბლიოგრაფიის განტვირთვა გამოორიცხულად არ მიგვაჩნია. ზოგიერთი სახელმძღვანელოს შეტანა საჭირო არ იყო და ის უახლეს ისტორიას შეეხება. ასეთია ისტორიკოს თეიმურაზ პაპასქირის და ისტორიკოს ელენე მეძმარიაშვილის სახელმძღვანელოები. იგივე შეიძლება ითქვას რუსულ ლიტერატურაზე. ის განტვირთვას საჭიროებს. შეიძლება ამოგვეგდო ზოგიერთი ნიგნი და პირიქით სასურველი იქნებოდა შეგვეტანა სხვა ნიგნები. პეტრე ჩერკასოვის ნიგნი რიშელიზე, იური ბორისოვის ნიგნი „ლუი XIV დიპლომატია“, ლუდმილა ივონინას ნიგნი მაზარინზე, ალბერტ მანფრედის ნიგნი ნაპოლეონზე, ასევე ძალიან კარგი იქნებოდა გათვალისწინებული ყოფილიყო პროფ. ბორის პორშნევის ნიგნები. მიუხედავად მისი პლიუს მინუსებისა, მისი სრული იგნორირება, უგულებელყოფა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს.

შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია ნიგნის ბოლოს განთავსებულ ქრონოლოგიასა და ევროპის და ამერიკის ქვეყნების წამყვანი სახელმწიფოების მმართველების მოღვაწეობის თარიღების მითითებას. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტებს დაისწავლონ ფაქტობრივი მასალა. სამივე სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელია კულტურის ისტორიისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება. ფაქტობრივად, ის კადრში ვერ ხვდება. ეს თემატიკა ნამდვილად არ იმსახურებს ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას. სასურველი იყო მას სათანადო ყურადღება დათმობოდა. ეს შინაარსობრივად გაამდიდრებდა სახელმძღვანელოს.

პერიფერიებში ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის კიდეც ერთი მცდელობას წარმოადგენს ქუთაისელი ისტო-

რიკოსების ტარიელ ჭიღვარიას და ჯ. კუბლაშვილის წიგნი, რომელიც ახალი ისტორიის ერთ საინტერესო მონაკვეთს შეეხება 1815 წლიდან 1870 წლამდე. ეს კიდეც ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ საშური საქმის განხორციელების გზაზე. (15).

და ბოლოს, ყურადღებას მივაპყრობთ ორ გარემოებას. ერთი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის კიდეც ერთ მცდელობასთან ასოცირდება და ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, ხოლო მეორე უფრო ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის არაპირდაპირ მცდელობად გვევლინება. აქ, პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოები მოიაზრება.

დავინწყით პირველით. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ის რაზეც გვექნება საუბარი, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ზნეობრივი სახის ლუსტრაციაა. იმ ზნეობრივი ატმოსფეროს ექოდ გაისმა, რომელსაც უნივერსიტეტში ფართოდ ნერგავდა საბჭოთა ხელისუფლება და რომელიც ძველი ინერციით ჯერ კიდეც გრძელდება. კათედრის გამგის. პროფ. კოტე ანთაძის დავალებით 90-იანი წლებში ინტენსიურად შეუდექით მუშაობას ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოზე. მას საფუძვლად ედო ჩვენ მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი. ყველაფერი კარგად მიდიოდა. შავად დაწერა დასრულებული გვექონდა. დავინწყით გადათეთრება. დავწერეთ მონაკვეთი ინგლისის რევოლუციისაზე, მაგრამ, უეცრად, ყველასთვის მოულოდნელად, 1999 წლის 30 ივნისს არჩევნებში, რომელიც უმთავრეს შემთხვევაში ფიქტიურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის არა. ამ შემთხვევაში, სწორედ გამონაკლისთან გვაქვს საქმე. ვერ გავედი, გამაშავეს. 15 ხმა მივიღე, 14 წინააღმდეგი იყო. ეს

ნიშნავდა უნივერსიტეტიდან გაგდებას. რა მოხდა? რაში იყო საქმე? არც არაფერი ისეთი. მე არ მაპატიეს წესიერება და ნიშნებს მონყალებასავით რომ არ ვარიგებდი. სხვა მიზეზი, უბრალოდ, ბუნებაში არ იყო და მხოლოდ მორიგ ინსინუაციას წარმოადგენდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ეს იყო მომთხოვნი პედაგოგის ფუნქციის სრული ათროპიის გამოძახილი, რაც დამაფიქრებელი უნდა იყოს. ელემენტარული ცოდნა ხომ უნდა მოსთხოვო სტუდენტს. როგორც ჩანს არა. ეს რეალობაა. არაფერს ვიგონებთ. აქ სირაქლემის პოზის დაკავება საქმეს არ წაადგება. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სხდომაზე ჩემ წინააღმდეგ არავინ გამოსულა, არავინ არ ცდილა დაესაბუთებინა თუ რით იყო გამოწვეული ესოდენ მკაცრი ვერდიქტი. ყველამ თქვა ვიცნობთო და შემდეგ ჩუმიად შავი ხმები ჩამიყარეს. ეს წელს ქვემოთ დარტყმის ტოლფასი იყო. ეს ადვილი გასაგებიცაა. იმას ხომ არ იტყოდნენ პროტექციით არ წერს ნიშნებსო. შეიძლება ითქვას, რომ ფაკულტეტის საბჭო ოროსანი სტუდენტების ადვოკატის როლში მოგვევლინა და ამ მისიას უროგოდ როდი გაართვა თავი. საინტერესოა არა? სამართლიანობა მალე გაირკვა და უნივერსიტეტის რექტორის აკად. როინ მეტრეველის ბრძანებით აღმადგინეს ჩემს უფლებებში. ჩემი ოპონენტები კი გაბითურებულები დარჩნენ. როგორც ესპანელი მწერალი სერვანტესი იტყოდა „სხვის გასაკრეჭად წასულები. თვითონ აღმოჩნდნენ გაკრეჭილები“. მათი ერთ-ერთი მთავარი ტონის მიმცემი იყო არქეოლოგიის კათედრის დოცენტი ავთანდილ (ამფისა) წერეთელი. ეს იყო ტიპიური ბოლშევიკური ბალასტი, რომელსაც აქტიურად წერგავდა ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმი მეცნიერებაში. მეცნიერი-საქმოსანის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი. როგორც მეცნიერი ნული, როგორც ლექტორი ნული, როგორც ადამიანი ნული. ასეთ ნულებს მფარველობდა რეჟიმი. სამაგიეროდ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს და მის მომხრეებს. ასეთი ნულების მოკვეთა მეცნიერებიდან 2006 წლის რეფორმის დადებით მხარედ მიგვაჩნია. მისი ადგილი არ იყო

მეცნიერებაში. ასე დაანაგვიანეს ბოლშევიკებმა მეცნიერება. ჩვენ ეს ადამიანები არ გვძულს. ჩვენ გვძულს ის პოლიტიკური სისტემა, რომელიც ასეთ ადამიანებს წარმოშობს, ალაზევებს. დარჩა დიდი მორალური ტრავმა. გულისტკივილი, რომელიც, ცხადია, არავის ანალვლებს. რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის თქმით, „შეურაცყოფა არის საუკეთესო ჯილდო კარგად შესრულებული სამუშაოსათვის“. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბჭოთა ჯილდოა. აი ასეთ დღეში ჩაადგო საბჭოთა ხელისუფლებამ უნივერსიტეტი. ამიტომ შექმნილ სიტუაციაში განტევების ვაცად უნივერსიტეტის გამოყვანა, ალბათ, მაინც დიდ საფრთხეს მოითხოვს და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. უნივერსიტეტი ტოტალიტარულ-ბოლშევიკური სახელმწიფოს მორიგი მსხვერპლია. ეს კარგად უნდა დავიმახსოვროთ.

ამ ინცინდენტის შემდეგ ისტორიის ფაკულტეტს აღარ გავკარებოვარ. ძირითადად ვასწავლიდი ჟურნალისტიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის და დასავლეთ ევროპის ფაკულტეტებზე. ისტორიის ფაკულტეტზე მხოლოდ მაგისტრატურაში ვასწავლიდი, რომელიც მაშინ ახალი გახსნილი იყო. ამ რეალობიდან გამომდინარე პროფ. კოტე ანთაძემ მთხოვა დროებით გადავრთულიყავით დასავლეთ ევროპის ცალკეულ ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოების დაწერაზე. მით უმეტეს, რომ ამ საგნებში სტუდენტებს ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები არ გააჩნდათ. ეს გახლდათ წმინდა პრაგმატული, პრაქტიკული, გადწყვეტილება. ასე შეიქმნა სახელმძღვანელოები გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის ისტორიაზე. ეს ამ მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი იყო და ავად თუ კარგად ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვაკუუმი შეივსო.

ამ თემაზე საუბარი აქ შეიძლებოდა დაგვესრულებინა, რომ არა ერთი გარემოება. ამიტომ აქ წერტილის დასმა ნაადრევი იქნებოდა. ამ იდეის ხელმეორედ მიუბრუნდით, როდესაც 2005 წელს რეფორმის წინ, კვლავ დავბრუნდი ისტორიის ფაკულტეტზე. პროფ. კოტე ანთაძის ჩანაფიქრმა გარკვეული ტრანსფორმაცია განიცადა და ასეთი სახე მიიღო. ამჯერად ამის გაკე-

თება განზრახული ჰქონდა ორ ვარიანტად. პირველი იქნებოდა მარტივი და ძირითადად გათვლილი იყო სუსტ სტუდენტებზე და მიზნად ისახავდა ევროპის ცალკეულ ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოებში არსებული მინიმალური ინფორმაციის ოდნავ გაფართოებას და ზოგიერთი ახალი ქვეყნის და საკითხის ჩართვას. მისი გაკეთება პროფ. კოტე ანთაძესთან ერთად მსურდა.

მეორე, ცხადია, გაცილებით უფრო სოლიდური იქნებოდა და კვლევის ელემენტებს შეიცავდა. ითვალისწინებდა საკითხის პირველწყაროების და ისტორიოგრაფიის ჩართვას. დიდი ყურადღება ექცეოდა ქართულ კონტექტს. ახალი ისტორიის პრობლემების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მას სურდა, რომ ეს სახელმძღვანელო უკვე მე დამეწერა, ხოლო ის, რა თქმა უნდა, რედაქტორი იქნებოდა, სწორედ, ამაზუა ნათქვამი „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო“.

2006 წელს 26 ივნისს დილით, თრომბის შედეგად, ის უეცრად გარდაიცვალა. ეს ჩანაფიქრიც განუხორციელებელი დარჩა. კიდევ ერთი ხელსაყრელი შანსი იქნა გაშვებული ხელიდან. ამ პრობლემას ამის შემდეგ მეტი აღარ მივბრუნებულვარ და ის დიდ ტკივილს უკავშირდებოდა.

არის კიდევ ერთი ნიუანსი, რომლის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. აქ, ცხადია, ვგულისხმობ იმას, რომ ჩვენს ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ხელს უწყობს დღეს განათლების სისტემაში არსებული პრობლემები. ისტორიული ცოდნის მეტად დაბალ დონე. სახელმძღვანელოს ჩონჩხი არსებობს ჩვენს მიერ უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების სახით. მისი ფრაგმენტები იბეჭდება აქვრნალ „ისტორიანში“ რომელიც ეხება ახალი ისტორიის ცალკეულ აქტუალურ თემებს და გამოჩენილ ადამიანებს. ვერ ვიტყვი, რომ ეს სტუდენტების დიდ ინტერესს იწვევს. ეს კიდევ ერთი გულისტკივილი და იმედგაცრუებაა. ამას დაუმატოთ ისიც, რომ მას შემდეგ რაც მიიღეს კანონი, რომ ლექციებზე დასწრება სა-

ვალდებულო არაა, აუდიტორიები სწრაფად დაცარიელდა. შედეგი კატასტროფულია. ასე დარჩა გამოუყენებელი ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის კიდევ ერთი ხელსაყრელი შანსი. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა ჩვენ არ გაურბივართ პასუხისმგებლობას და მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენი ბრალია. როგორც ჩანს, ვერ გადავაბიჯე იმ ტკივილს, რომელიც მომაცენეს. არა და საერთო საქმიდან გამომდინარე ჯობდა ეს გამეკეთებინა. ამგვარად, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის საქმეში ხელი შეგვიშალა სამმა გარემოებამ: **1.** 1999 წლის 30 ივნისს უნივერსიტეტიდან გაგდებით გამონწვეულმა გულისტკივილმა. **2.** 2006 წლის 26 ივნისს პროფ. კოტე ანთაძის გარდაცვალება. მის გარეშე ამ საქმის გაკეთება მორალური თვალსაზრისით ძალიან გამიჭირდა. **3.** ბოლო წლებში ისტორიული ცოდნის დონის მკვეთრმა დაქვეითებამ. ეს კიდევ რბილად ნათქვამია. თუ დამცალდება შევეცდებით ამის გაკეთებასაც, თუმცა ჯერჯერობით სხვა გეგმები გვაქვს. ამას რომ მოვრჩებით, მერე ვნახოთ.

მეორე საკითხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სფეროში არსებული ვაკუუმის შევსების ერთ-ერთ არაპირდაპირ მცდელობად შეიძლება იქნას მოაზრებული. აქ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ევროპის ცალკეული დიდი ქვეყნების ისტორიის სახელმძღვანელოები. ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთმა პირველმა დავწერეთ სახელმძღვანელო ინგლისის ისტორიაში (16. 17. 18) და პირველად დავწერეთ სახელმძღვანელოები გერმანიის და საფრანგეთის ისტორიაში. (19. 20). აქვე უნდა ვახსენოთ, ისტორიკოს ელენე მექმარიაშვილის და ისტორიკოს მიხეილ ბარნოვის სახელმძღვანელო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაზე. (21). ამის ლოგიკური გაგრძელება ვასილ კაჭარავას წიგნი „დემოკრატიის გაკვეთილები“. „ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია (1877-2000)“. ის ახალი ისტორიის ერთ მოზრდილ მონაკვეთს შეეხება (22). ეს სახელმძღვანელოები ნაწილობრივ ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ

სფეროში არსებობდა. ამიტომ, ამ სახელმძღვანელოებისათვის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდაო და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. ერთი პატარა წახნაგი კადრს მიღმა დავგრჩება.

დასასრულს დავძენთ, რომ მარტო საბჭოთა რეალობაზე ხელს ნუ შევიწმენდთ. ეს ჩვენი აზრით, სწორი არ იქნება. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა გავაკეთეთ ამ ხნის მანძილზე, რომ მდგომარეობა კარდინალურად გაგვეუმჯობესებინა? კარგი კითხვაა. საკითხის ამგვარი დასმა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ის სავსებით ლოგიკურია. ჩვენ შევეცდებით შეძლებისდაგვარად უპასუხოთ მას. ჩვენი სუბიექტური აზრია, რომ ბოლო წლებში ეს უკუსვლის პროცესი იმდენად კი არ შეჩერებულა, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იყო, არამედ კიდევ უფრო გაღრმავდა და თუ დროზე არ მივხედავთ, არსებობს, იმისი დიდი ალბათობა, რომ შეუქცევად ხასიათს შეიძენს. ეს, ცხადია, სასურველი არ იქნება. ცოდნის შეფასების კრიტიკრიუმმა წინა საბჭოთა წლებთან შედარებით, კიდევ უფრო დაბლა დაიწია. ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს. თამასა ძალიან დაბლა დაეშვა. სირაქლემას პოზას ნუ დავიკავებთ, ეს საქმეს არ წაადგება. „მეფე შიშველია“. თუ დროზე არ მივხედეთ საქმეს მერე გვიანი იქნება „დედა მოგვიკვდება“.

ჩვენი აზრით, ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ და სწორი გზით არ მივდიოდით. დღეს, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამის ნაყოფს ვიძიებთ. საკვირველი ის კი არ იყო, რომ ამ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, არამედ ის იქნებოდა, ამ მდგომარეობაში, რომ არ აღმოვჩენილიყავით. უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ საზღვრებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ დღეს ისეთი მეცნიერება და განათლების სისტემა გაგვაჩნია, რომელიც შეიძლება

ჰქონდეს არშემდგარი სახელმწიფოს. ეს არის რეალობა და მისი არც შელამაზება, ვარდისფერებში წარმოჩენა და არც გამუქება, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ორივე უკიდურესობა მიუღებელი უნდა ჩანდეს. უწინარესად, სასურველი იქნება შევექმნათ ნორმალური, სამართლებრივი, სახელმწიფო. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მერე თანდათან, ნელ-ნელა, დალაგებას დაიწყებს ცალკეული კომპონენტები. მათ შორის, ცხადია, მეცნიერება და განათლების სისტემა. საბჭოთა განათლების სისტემის აპოლოგეტად ჩვენ ნამდვილად არ გამოვდგებით მისადმი ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. ჩვენ მხარეს ვუჭერდით რეფორმას, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ იმედგაცრუებული დავრჩით. ჩვენი სურვილი საბჭოთა განათლების სისტემის გაჯანსაღების თაობაზე არ გამართლდა. ასე აღმოჩნდით „დაკარგული ილუზიების“ წინაშე. სინამდვილეში მივიღეთ უფრო ცუდი და არა უკეთესი. „ნგრევა შენების სახელით“ კი არ შეჩერებულა. არამედ გაგრძელდა და შეიძლება ითქვას, რომ, კიდევ უფრო გაღრმავდა და არ გამოვრიცხავთ, რომ, შეუქცევადი ხასიათი შეიძინოს. არასასურველი პერსპექტივაა, გაუმჯობესების მაგივრად მივიღეთ გაუარესება. წინსლის ნაცვლად უკუსვლა, განსაკუთრებით მტკიცუნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ძველი დავანგრიეთ, მაგრამ მასზე უკეთესი ვერც ვერაფერი შევექმენით. რეფორმას დადებითზე უფრო მეტი ნაკლი აღმოაჩნდა. ასე აღმოჩნდით მარაზმში. ეიფორიული განწყობილების მიზეზს, სიმართლე გითხრათ, ვერ ვხედავთ. ვითარება კრიტიკულია, არსებობს იმისი დიდი საშიშროება, რომ თუ მდგომარეობა სწრაფად არ გამოსწორდა, ქართველები აღმოვჩნდით ეროვნულ უმცირესობაში და განათლების დაბალი ხარისხით. (24 302). ღმერთმა დაგვიფაროს ამ არასახარბიელო პერსპექტივისაგან. კიდევ ერთხელ დავძენთ „მეფე შიშველია“. იმის თქმას ვაპირებთ, რომ, საბჭოთა წლებში სწავლა იყო, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნდა თავისი პლუსები და მინუსები, მთავარი „იდეოლოგიური კონტროლი“. დღეს სწავლა არაა. მთავარია განსხვავება, სწორედ, ამაში მდგომარეობს. საშუალო დონე

იმაზე დაბალია, ვიდრე წინა წლებში იყო, კიდევ უფრო დაბლა იწევს.

საქმე გაცილებით უფრო მარტივადაა და მისი გართულება საჭირო არ იყო. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სასურველი იქნებოდა ის რაც საბჭოთა განათლების სისტემას დადებითი ჰქონდა და ის ნამდვილად ჰქონდა და ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება იყოს, უნდა შეგვენარჩუნებინა, ხოლო ის რაც მისი მინუსები იყო. პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, კორუფცია, ნეპოტიზმი, პროტექცია, იდეოლოგიური კონტროლი, უარი უნდა გვეთქვა. ეს ნორმალური იქნებოდა. მთავარი შეცდომა, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ რეფორმა ევოლუციური გზით კი არ წარიმართა, არამედ რადიკალური ხასიათი შეიძინა. მივიღეთ ის რაც მივიღეთ. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ძველი უკეთესით ვერ ჩავანაცვლეთ. მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა შეფასების კრიტერიუმმა. წინა წლებთან შედარებით მან ძლიერი ვარდნა განიცადა. თამასამ კიდევ უფრო დაბლა დაიწია. კარგ დისერტაციებს იცავდნენ წინაც და ახლაც. სუსტ დისერტაციებს იცავდნენ წინათაც და ახლაც, ცუდ – დისერტაციებს იცავდნენ წინათაც და ახლაც, მაგრამ არის ერთი პრინციპული განსხვავება, რომლის გვერდის ავლა სამართლიანი არ უნდა იყოს. მას როგორც რადენობრივი ისე თვისებრივი, ხარისხობრივი, დატვირთვა გააჩნია. ერთ შემთხვევაში მას უფრო დადებითი მუხტი აქვს. მეორეში კი პირიქით. არა. დისერტაციის დაცვის გაუფასურების გამოძახილს წარმოადგენს. მეცნიერული გამოკვლევების ხარისხი ძალიან დაბლა დაეცა. განათლების საერთო დონე მეტად დაბალია. პროგრესის, წინსვლის მაგვირად, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, პირიქით, მივიღეთ უკანსვლა, რეგრესი. ეს გახლავთ რეალობა და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. მეცნიერება და განათლება თუ მკვდარი არ არის კვდება. სირაქლემას პოზიციის დაკავება საქმეს არ შველის და, ცხადია, არ ღირს.

გულწრფელად ვიტყვი, რომ პირველის რაოდენობა „მაგრენის ტყავივით“ კლებულობს, ხოლო მეორე და მესამე შეიძლება ითქვას, რომ პირიქით სწრაფად მატულობს. ხშირად იცავენ კომპილაციას, ასე განსაჯეთ პლაგიატს და ხდებიან პროფესორები, შეიძლება ვინმემ გვისაყვედუროს რომ ვამუქებთ ისედაც რთულ ვითარებას. ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი და ამის გვერდის ავლა, მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ეს ამ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ ჩამოგვიყალიბებდა. მერწმუნეთ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმას, რაც გვინახავს და არაფერს არ ვიგონებთ, არაფერს არ ვაჭარბებთ. ისედაც რთული ვითარების გამუქება მართებული არ უნდა იყოს, სიმართლეს თვალი უნდა გაუხსნოროთ. ყველაზე უფრო ცუდი ის არის, რომ საბჭოთა წლებში დანყებული პედაგოგის ფსიქიკის დეფორმაცია, კი არ შეჩერებულა, რაც სასურველი იყო, არამედ, ჩვენი აზრით, კიდევ უფრო გაღრმავდა და შეუქცევად ხასიათს იძენს. ეს დამაფიქრებელი უნდა იყო. მომთხოვნი პედაგოგი სადღაც გაუჩინარდა, გაქრა ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. კაცმა არ იცის.

განათლების სისტემის გაჯანსაღება სკოლიდან უნდა დავიწყოთ და მერე უნდა გაგრძელდეს უნივერსიტეტში. დღეს რაც ხდება, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყოდი, რომ ეს მარაზმია. საბჭოთა განათლების სისტემა კარგი იყო, რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ღირსებები და ნაკლი. საჭირო იყო მისი აღმოფხვრა, გამოსწორება და არა დანგრევა, როგორც ეს გააკეთეს. თანამედროვე განათლების სისტემა მარაზმია. მათ შორის მთავარი განსხვავება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ეს გულისტკივილი ლაიტმოტივად გაყვება ჩვენს შრომებს. (24. 296) საბჭოთა განათლების სისტემის დადებითი მხარეები სადღაც გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, ხოლო მისი უარყოფითი მხარეები კვლავ ძალაშია. არ შეჩერებულა, რაც, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა. პირიქით, კიდევ უფრო გაღრმავდა და არსებობს დიდი ალბათობა, რომ შეუქცევადი ხასიათი

შეიძლება შეიძინოს. განათლების სფეროში არსებული რთული ვითარების გამოძახილს ვხედავთ მეცნიერებაში. ის პირველის ლოგიკური გაგრძელებაა. ვერ ვიტყვით, თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. სინამდვილეში ეს ნამდვილად არაა ასე. რალაც არის გაკეთებული, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს. გასაკეთებელი გაცილებით უფრო ბევრია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას წინ დიდი და შრომატევადი სამუშაოს უძევს. ის ცდილობს თავი დააღწიოს ამ რთულ ვითარებას, მაგრამ ჩვენი აზრით, უმთავრესად, აქცენტი კეთდება რაოდენობრივ და არა თვისებრივ, ხარისხობრივ ცვლილებებზე. მთავარი, სწორედ, ეს უნდა იყოს და არა რაოდენობრივი ფაქტორი. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში, გადაზრდის პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. და ძნელი სათქმელია როდის დასრულდება. ჩვენი ღრმა რწმენით, დღეს ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება არა სიღრმეში, არამედ სიფართოვეში. მთავარი პრობლემა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. (9. 23. 24). ერთ-ერთ სერიოზულ ფაქტორს, რომელმაც ამ რთულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, იმაში ვხედავთ, რომ ბოლო წლებში ჩვენ სავსებით მივივიწყეთ, ერთ ყურში შეუშვით და მეორეში გამოუშვით. XIX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმენის სიტყვები: „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. დღეს მნიშვნელოვან წილად სწორედ, ამის ნაყოფს ვიმკით. „რასაც დასთეს იმას მოიმკი“. პროგრესი მხოლოდ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და ამის უარყოფა მართებული არ იქნებოდა. ეს ამუქებს, ისედაც რთულ ვითარებას და, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. მეცნიერებაში ადვილი გზა არ არსებობს.

უწინარესად, სასურველი იქნებოდა სწორ კანონმდებლობის შემუშავება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. პრიორიტეტული უნდა გახდეს ხარისხიანი განათლება, არა სიტყვით, რო-

გორც ეს დღესაა. არამედ საქმით. ის ორიენტირებული იქნება არ უსწავლელობაზე, არამედ სწავლაზე. ფულს გადავიხდით ცოდნაში და არა უცოდინარობაში, როგორც ეს დღეს ხდება. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე, რომელიც, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნება და, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანნილად განსაზღვრავს იმ რთულ მდგომარეობას, რომელშიც დღეს აღმოჩნდა საქართველოში განათლების სისტემა და მეცნიერება. პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ პროფესორის ხელფასი არ უნდა იყოს დამოკიდებული სტუდენტთა რაოდენობაზე. ეს ნორმალური არაა. მას ანალოგი ძნელია მოეძებნოს. ის ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი საბჭოთა რეალობის ექოდ გაისმის. ამ პირობებში ხარისხიან განათლებაზე ფიქრი უბრალოდ ღიმილის მომგვრელი იქნებოდა. ეს ერთი. მეორე, მთელი ცხოვრება დავა მქონდა ერთ უდავო საკითხზე. არ იცის, მაგრამ შენ რა გენაღვლება დაუნერეო. ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. თუ მთავარია დაუნერო ნიშანი, მაშინ სავსებით ბუნებრივია, წამოიჭრება ერთი ლოგიკური შეკითხვა. მაშინ რატომ უნდა ვასწავლო. დღეს პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სინამდვილეში მეცნიერების და განათლების სფეროში არსებული ქაოსის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ჩვენ გვგონია, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. ყურადღებას მივაპყრობთ ერთ, ჩვენთვის მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც გასათვალისწინებელია. ალბათ, პედაგოგის რეიტინგი არასოდეს არ ყოფილა ასეთი დაბალი როგორც ეს დღეს არის საქართველოში. ეს დამაფიქრებელი უნდა იყოს და დღეს განათლების სისტემაში არსებული მარაზმის კიდევ ერთი გამოძახილია. უკუსვლის ამ პროცესის დასკვნით აკორდად გვევლინება კანონი, რომლის მიხედვით სტუდენტს უფლება აქვს ლექციას უნდა დაესწროს უნდა არა. არგუმენტი ასეთია. გეტყვიან ასეა ევროპაში. ჯერ ერთი ასე არაა ევროპაში. ეს ტყუილია, მაგრამ ახლა მოდით ამას დავანებოთ თავი. მაგრამ არა, კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ კოპიო უარესია ორიგინალზე. ჩვენ ამისათვის მზად არ აღმოვჩნდით და ეს უნდა გავგეთვა-

ლისწინებინა. ეს ასე არ მოხდა. აღმოვჩნდით მარაზმში. ალბათ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ საქართველოს დაუძინებელი მტერი უნდა ყოფილიყო ეს კანონი, რომ მიგველო. რა შედეგი მოყვებოდა ამას ძნელი მისახვედრი სულაც რა იყო. აუდიტორიები სასწრაფოდ დაცარიელდა. ხარისხიანი განათლება მხოლოდ ლამაზ ილუზიად იქცა. ტვინების გადინება ამის ლოგიკური გაგრძელება იქნება. ასე ამას ვერ შეაჩერებ. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ თუ სასწრაფოდ არ გამოსწორდა მდგომარეობა, განათლების ამ სისტემის პირობებში საქართველოს მომავალი არ უნერია, SOS! (24. 180-185. 282-286).

ყურადღებას მივაპყრობთ კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც დღეს განათლების სისტემაში არსებული მარაზმის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. საგანს ირჩევს ორასი სტუდენტი ლექციაზე არც ერთი არ დადის, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ კი არ ისწავლონ, არამედ არ ისწავლონ. ეს სამწუხარო სიმართლეა და აქ სადისკუსიო არც არაფერია. ამაზე კამათი ღია კარის მოვლენად მიგვაჩნია. ეს იქნებოდა დავა უდავო საკითხზე.

აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ, ჩვენი აზრით, მტიკინეულ საკითხს. საქმე ეხება დღეს ესოდენ მომრავლებულ უნივერსიტეტებს, ეს საკითხი საბჭოთა წლებში დალაგებული იყო და მისი ხელის ხლების აუცილებლობას ვერ ვხედავდით. იყო უნივერსიტეტი და იყვნენ ინსტიტუტები, რომლებიც მის შვილებს წარმოადგენდნენ. დღეს ყველგან უნივერსიტეტია. ბუნებრივია, გიჩნდება კითხვა ხომ არ ხდება უნივერსიტეტის იდეის გაუფასურება? ეს კიდევ ერთი მარაზმია. ამდენი უნივერსიტეტი გვაქვს და კვალიფიცირებული სპეციალისტების პრობლემა არსებობს, ეს უკვე ქართული სინდრომია, ის მენტალური ხასიათისაა.

დღეს საქართველოში ამ სფეროში არსებული რთული ვითარება, ცხადია, შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. მისი მიზეზები აშკარად ცილდე-

ბა წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მასში, უწინარესად, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ სინამდვილეში არსებული ქაოსის გამოძახილი უნდა დავინახოთ. ჩვენ ეს საკითხი ასე გვესმის.

ეიფორიული განწყობის საფუძველს სიმართლე გითხრათ ვერ ვხედავ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც პანიკის საფუძველი არ არსებობს. გამოუვალი მდგომარეობა არაა. გამოსავალი არის. ამ პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია. როგორც კი გაჩნდება პოლიტიკური ნება გამოსავალი მაშინვე გამოჩნდება და თანდათან ყველაფერი დალაგებას დაიწყებს, მათ შორის, ცხადია, განათლების სისტემაში და მეცნიერებაში. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. აი, იქნება თუ არა პოლიტიკური ნება და როდის იქნება ის. ეს უკვე ძნელი სათქმელია. ამას წინაპირობები ჭირდება. ის ისე არ მოვა. მის წინაპირობა კი, ჩვენი სუბიექტური აზრით, ჯერჯერობით არ ჩანს და მოლოდონის რეჟიმში გვიხდება ყოფნა. როგორც სახელმწიფოს გაუჩნდება მოთხოვნილება კარგ სპეციალისტზე უმაღლ მდგომარეობა დალაგებას დაიწყებს. გაჩნდება პერსპექტივა საქმით და არა სიტყვით. როგორც ეს დღესაა.

გამოუვალი მდგომარეობა არც მეცნიერებაში არ გვაქვს. გამოსავალი არის. პანიკის საფუძველს ვერ ვხედავთ. ის მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი ხარისხობრივი, თვისობრივი გაუმჯობესებაა. ამას ალტერნატივა არა გააჩნია. უნდა შევიშუშაოთ სამეცნიერო გამოკვლევების შეფასების მკაცრი, ობიექტური კრიტერიუმი, (25). ყველაფერი ეს კი, რა თქმა უნდა ძალიან ადვილად დალაგდება, როდესაც ნორმალური, სამართლებრივი სახელმწიფო ჩამოყალიბდება. ეს უალტერნატივოა. უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო ფენა.

სამხრეთ აფრიკის სტენბოსის უნივერსიტეტის შესასვლელში გამოკრულ აბრაზე არის შემდეგი წარწერა, „ნებისმიერი ერის გასანადგურებლად არ არის საჭირო ატომუ-

რი ბომბი ან შორეული რადიუსის რაკეტების გამოყენება. ამისათვის საჭიროა განათლების ხარისხის შემცირება და თვალის დახუჭვა, როდესაც სტუდენტი გამოცდაზე იტყუება; ასეთი ექიმის ხელში პაციენტი იღუპება; ასეთი ინჟინერის ხელში შენობები ინგრევა; ასეთი ეკონომისტის და ბუღალტერის ხელში იკარგება ფული; ასეთი მოსამართლის, იურისტის ხელში იკარგება სამართალი; „განათლების კრახი, ერის კრახია“. ვფიქრობთ, ყველაფერია ნათქვამი. ვერაფერს დაუმატებთ, კარგ მთქმელს უნდა ყავდეს კარგი გამგონი. თუ დროზე არ ვუშველეთ საქმეს, მერე გვიანი იქნება და „დავრჩებით შვილთა ჩვენთა გინებით მოსაგონარი“.

ლიტერატურა:

1. კ. ანთაძე, ნ. მამუკელაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, მესამე გამოცემა, თბ., 2005.
2. М. Каландадзе, Грузинские школьные учебники по новой истории, Преподавание истории в школе, №7. 1994.
3. გ. ჟორდანიას, რუსტამი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8. თბ., 1984.
4. ნაპოლეონის მამლუქის რუსტამ რაზას მემუარები, ფრანგულიდან თარგმნეს, წინასიტყვეობა და კომენტარები დაურთეს ალექსანდრე მიქაბერიძემ და ნიკა ხოფერიამ, თბ., 2012.
5. გ. ჯაფარიძე, როგორ იმსხვრევა მითები, საისტორიო კრებული, 2. 2012.
6. მ. კალანდაძე, რუსტამი, ნაპოლეონის მამლუქი, ისტორიანი, IX. 2011.
7. გ. ყორანაშვილი, როგორ ისწავლება ისტორია სკოლაში, ლიტერატურული საქართველო, 14 ნომბერი, 2014.
8. გ. ყორანაშვილი, რა მიზნით დაინერა ეს ისტორიის სახელმძღვანელო, ისტორიული ვერტიკალები, 33, თბ., 2016.
9. მ. კალანდაძე, ისტორიოგრაფიული ეტიუდები, ნაწილი მეორე, თბ., 2019.
10. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი მეორე, თბ., 1999.
11. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი მესამე, თბ., 1998.
12. დ. ლომსაძე, ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია. (ნაწილი პირველი), თბ., 1998.
13. ხ. დიასამიძე, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორია, ბათუმი, 2021.

14. История нового времени 1600-1799. Под. редакции А. Чудинова, П. Уварова, Д. Бовыкина, М., 2007.
15. ჯ. კუბლაშვილი, ტ. ჭიღვარია. ლექციების კურსი ევროპის და ამერიკის შეერთებული შტატების ახალი დროის ისტორიაში, (1815-1870) ქუთაისი, 1998.
16. რ. გაჩეჩილაძე, ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1994.
17. ივ. მენტეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თბ., 2004.
18. მ. კალანდაძე, ინგლისის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
19. მ. კალანდაძე, გერმანიის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2002.
20. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბ., 2005.
21. ე. მეძმარიაშვილი, მ. ბარნოვი, დემოკრატიის გაკვეთილები. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია. 1600-1877. თბ., 2019.
22. ვ. კაჭარავა, დემოკრეტიის გაკვეთილები. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ისტორია (1877-2008). თბ., 2018.
23. მ. კალანდაძე, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის არასახარბიელო მემკვიდრეობა, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 20. თბ., 2024.
24. მ. კალანდაძე, XX-XXI საუკუნის დასაწყისის ქართული ისტორიოგრაფიის ევროპულ ორიენტირების ევოლუცია, თბ., 2023.
25. კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, კრიზისიდან გამოსავალი მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის ამაღლება, მნიგნობარი. 2006.

დასკვნა

ამრიგად, აღნიშნული საკითხის შესწავლის შედეგად ასეთი საინტერესო სურათი მივიღეთ, რომელსაც საფუძვლად უძევს ამ თემისადმი განსხვავებული მიდგომა. ის საბჭოთა წარმოდგენის საპირწონეა. ამან განსაზღვრა ჩვენი ნაშრომის პოლემისტური ტონი, რომელიც მიზნად ისახავს საბჭოთა მიდგომის რევიზიას. მის მეცნიერულად, არგუმენტირებულად, გაბათილებას.

ჩვენ ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელსაც წმინდა მეცნიერულ მნიშვნელობასთან ერთად, შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას საშუალებას მისცემს გათავისუფლდეს საბჭოთა სტერეოტიპებისა და შტამპებისაგან და დაეხმარება აღნიშნულ საკითხზე უფრო რეალისტურ წარმოდგენის ჩამოყალიბების საქმეში. განსხვავებული მიდგომის მთავარ ამოსავალ წერტილს, ძირითად თეზას, პოსტულატებს, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა მიდგომის რევიზიას, წარმოადგენს: **1.** საქართველოში მსოფლიო ისტორიის, მათ შორის ცხადია ახალი ისტორიის შესწავლის სფეროში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიერ შეტანილი მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია. ამას აქვს მნიშვნელობა. მთავარი საბჭოთა მითი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების ისტორიულ მნიშვნელობაზე, ჩამოიშლება. მითებს რეალობა ამსხვრევს. **2.** განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი კომპონენტი საბჭოთა ისტორიოგრაფიის რევიზიაა. გადავხედეთ საბჭოთა ისტორიოგრაფიის მეცნიერულ შეფასებას. საბჭოთა ისტორიო-

გრაფიისადმი ჩვენი დამოკიდებულება კრიტიკულია. ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესს არც არავინ უარყოფს. ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. წარსულისადმი მიდგომა იყო ძალზე იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩრდილი მეტია შუქზე. ამან გამოიწვია საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის თეორიული მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები, სწორედ, აქ უნდა ვეძიოთ. **3.** ისტორიოგრაფიაში პირველად ვცადეთ პოსტ-საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასება. შევეცადეთ გვეჩვენებინა მისი შუქ-ჩრდილები და შეძლებისდაგვარად აგვეხსნა მისი გამომწვევი მიზეზები. მისი არც აპოლოგეტური შეფასება და არც შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ვეცადეთ ორივე უკიდურესობა თავიდან აგვეცილებინა. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს.

წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა საქართველოში, დასავლეთ ევროპის და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნის განვლილი გზისთვის, წარსულისათვის. ფაქტობრივად, ეს არის ამ სახელმძღვანელოების დაწერის ისტორია. ამ თემის განხილვა ამკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. ამ კუთხით, საკითხის შესწავლა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. მას მჭიდრო გენეტიკური კავშირი გააჩნია ამ დარგის ისტორიასთან და მისი ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია. მათ ვერ მოვწყვეტთ ერთმანეთს. ამას გამართლება არ გააჩნია.

XX საუკუნის მიწურულს საქართველოში მომხდარმა პოლიტიკური კლიმატის მკვეთრმა ცვლილებამ, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლასთან იყო მჭიდროდ დაკავშირებული, დღის წესრიგში დააყენა ამ საკითხზე საბჭოთა წარმოდგენის გადასინჯვის აუცილებლობა. ის დღეს უკვე მოძველებულია. ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების გუშინდელი დღეა. ნაშრომს

ლაიტმოტივად გასდევს ამ საქმეში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრძალებული წვლილის რეანიმაცია, რეაბილიტაცია, რომელიც საბჭოთა წლებში, ელიმინირებული, ამოღებული იქნა ამ დარგის წარსულიდან, გაქრა, გაუჩინარდა, თითქოსდა არც კი არსებობდა, მივიწყების სქელმა ნისლმა დაფარა. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო. ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. ის 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებისადმი საბჭოთა ხელისუფლების ნეგატიური დამოკიდებულების გამოძახილია. ეს, ბუნებრივია, აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს და სერიოზული კორექტივების შეტანას, დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ ვცადეთ ეს საკითხი პოლიტიკური განსჯის სფეროდან, აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია. ეს სულ სხვა მიდგომა იყო. სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა პრიორიტეტები დავსახეთ უფრო ღირებულად. ამ დარგის განვითარების სულ სხვა სურათი დავდეთ, რომელიც ქართულ საზოგადოებას აღნიშნულ პრობლემაზე გაცილებით უფრო რეალისტურ წარმოდგენას ჩამოუყალიბებს, ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს მონაკვეთი და ეს სახელმძღვანელოები, ფაქტიურად, პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

ეს დიდი პრობლემა სამი ნაწილისაგან შედგება: **1.** ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების შექმნა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. **2.** ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები დაწერილი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991). **3.** პოსტ-საბჭოთა პერიოდში გამოსული ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. ფაქტობრივად, ეს არის საკითხის პერიოდიზაცია, რომელიც საბჭოთა წლებში გამრუდებული იქნა. ჩვენ გავასწორეთ ეს შეუსაბამობა. სწორედ, ეს სქემა დაედო საფუძვლად წიგნში ამ თემის განხილვას.

ა. აღსანიშნავია, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ დარგში არავითარ ჩავარდნას, რეგრესს, სტაგნაციას, ადგილი არ ჰქონია. პირიქით. ის ვითარდება, წინ მიდის, პროგრესირებს. ამ პერიოდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურთა ერთ-ერთ ნარმატებად ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერა მიგვაჩნია. 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეძლებისდაგვარად შეეცადნენ წინ წაენით ახალი ისტორიის სწავლება, შესწავლა, პოპულარიზაცია. ახალი ისტორიის შესწავლა სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს იძენს და, უმთავრესად, ახალი ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში მოასწრო ასახვა. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. საქართველოში ახალი ისტორიის შესწავლამ პუბლიცისტიკის, ჟურნალისტიკის, სფეროდან მეცნიერების სფეროში გადაინაცვლა, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათი შეიძინა და თავისი კვალის დაფიქსირება მხოლოდ სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში მოასწრო. ჩვენი აზრით, ეს არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ დარგში მათ მიერ შეტანილ წვლილს. ეს სწორი არ უნდა იყოს. კარგად იკითხება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა და ამის დაუნახაობა, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ჩვენი აზრით, ეს წლები პირობით, სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყების პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. სინამდვილეში ეს იყო ამ გზის დასაწყისი და არა დასასრული. როგორც ეს გამოვიდა პოლიტიკური კატაკლიზმების გამო.

ყურადღებას იპყრობს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული პირველი ღონიძიებები. დიდი ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოწვეული იყვნენ ამ დარგის სპეციალისტები გრიგოლ ნათაძე და სიმონ ავალიანი. პირველი ასწავლიდა ძველ ისტორიას და შუა საუკუნეებს, ხოლო სიმონ ავალიანი კითხულობდა ლექციებს ახალ ისტორიაში. ეს სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იყო. საძირკველი ჩაეყარა ახალი

ისტორიის მშობლიურ ენაზე სწავლებას სკოლაში და უნივერსიტეტში. ეს არ იყო პატარა საქმე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის პროფესურა აქტიურად აღმოჩნდა ჩაბმული ახალი ისტორიის პირველ ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესში. მას თავად დიდი ივანე ჯავახიშვილი კურირებდა. პირველ სერიოზულ ნაბიჯებს დგას მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ბუნებრივია, ახალი ისტორიის მეცნიერული სწავლება. (გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილისაგან, გრ. ნათაძეს და ს. ავალიანს დავალებული შეიძლება ჰქონოდათ, მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანერა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არ გაგვაჩნია. ამიტომ კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. მაგრამ ამაში ალოგიკური არც არაფერი იქნებოდა. ამის დიდი ალბათობა, ნამდვილად არსებობდა. ამას დრო ჭირდებოდა. დრო კი საკმაოდ ცოტა იყო. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა).

ბ. დანერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს სახელმძღვანელოები ქართულ რეალობაში ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემების გაშუქების პირველ მცდელობად გვევლინება. ამ სახელმძღვანელოებზე მუშაობა დასრულებული არ ყოფილა. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ დახვეწაზე, სრულყოფაზე, მაგრამ იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, ამის ბოლომდე მიყვანა მათ, ეტყობა, ვერ მოასწრეს.

ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე საუბარი აქ შეიძლებოდა გაგვესრულებინა, რომ არა ერთი გარემოება. ყურადღებას მივაპყრობთ ორ ფაქტორს. ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დანერის უვერტურად მიგვაჩნია. ეს ერთი. მეორე, სასკოლო

სახელმძღვანელოები საყურადღებოა და მასში მომავალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს ანარეკლი მოჩანს. ის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს მინიატურაა. ეს, ვფიქრობთ. საინტერესო უნდა იყოს.

გ. სახელმძღვანელოებზე მუშაობის პროცესი მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და პირობით ორ საფეხურად შეიძლება დავყოთ. ის განხორციელებულ და განუხორციელებელ ჩანაფიქრებთან ასოცირდება. აქ, ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოების დაწერა მოასწრეს. როგორც უკვე ითქვა, მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდეგ სრულყოფაზე, დახვეწაზე, რომლის დასრულება, უპირატესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ვეღარ მოასწრეს, ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. ეს ერთი საფეხურია. მეორე საფეხური იქნებოდა საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება. ასეთი განზრახვა, რომ ბოლომდე მიეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი და დაესრულებინათ სახელმძღვანელოების სერიალი, დაენერათ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, უეჭველად, ექნებოდათ. ამაში ალოგიკურს ვერც ვერაფერს ვერ ვხედავთ. ახლა მოდით ამ კუთხით შევხვით ამ საკითხს. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ჩვენ გავგაჩნია საკითხის საკუთარი ვერსია, რომელიც გამოვიტანეთ მკითხველის სამსჯავროზე.

როგორც ჩანს, ახალი ისტორიის პირველი ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის იდეა დაიბადა, არა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ, არამედ ცოტა უფრო ადრე. ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. გამოდის რომ სინამდვილეში საქართველოს გასაბჭოებით კი არ იწყება ამ დარგის ისტორია, მისი წარმატებები და პრობლემები, არამედ გრძელდება, ვითარდება. ვფიქრობთ ეს საინტერესო უნდა იყოს.

ვფიქრობთ, კიდევ უფრო საინტერესო უნდა იყოს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის თავგადასავალი.

მათ განზრახული უნდა ჰქონოდათ დაენერათ მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების სერიალი, რომელიც ითვალისწინებდა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დაწერას; როგორც დავინახეთ, სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება მოასწრეს. და დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო. ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ამით საქმე არ მთავრდებოდა. ამას უნდა მოყოლოდა გაგრძელება. ეს მათი ჩანაფიქრის მეორე საფეხური იქნებოდა და, ცხადია, ითვალისწინებდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერას. ეს ყველაფერი სავსებით ლოგიკურია და აქ საკამათოს ვერაფერს ვხედავთ. ვფიქრობთ, საინტერესო სურათთან უნდა გვქონდეს საქმე. პირველი ნაბიჯები კარგად გათვალეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ყველაფერი კარგად, მიდიოდა, მაგრამ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მკვეთრად შეიცვალა საქმის ვითარება. დაწყებული საქმე დასრულებული არ ყოფილა. ის შუა გზაზე შეწყდა. იმ წლებში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. შეიძლებოდა აქ ნერტილი დაგვესვა, მაგრამ ამის გაკეთება ნაადრევად მიგვაჩნია. სინამდვილეში საქმე სულაც არაა ისე მარტივად, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ზედაპირზე ძვეს და აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენს. ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რამ შეუშალა ხელი ამ განზრახვის განხორციელებას? ჩვენ ვცადეთ ამ საკითხისათვის ცოტა სხვაგვარად შეგვეხედა. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა, განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ უმთავრესად, პოლიტიკური მოვლენების გამო, რომელიც საქართველოს გასაბჭოებასთან იყო დაკავშირებული, ეტყობა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა ვეღარ მოასწრეს და მათი ჩანაფიქრი შეექმნათ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალი დაუსრულებელი დარჩათ. მისი ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს. საქმე გვაქვს სახელმძღვანელოს შექნის იდეასთან. ეს სადავო არ უნდა იყოს. ჩვენი

აზრით, ყველაზე უფრო, უპრიანი იქნებოდა ვთქვათ, საკითხის დასამასთან. ამ წლებში საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მთავარი თავისებურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ, როგორც უკვე ითქვა, ეს მონაკვეთი საქართველოს მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების სერიალის შექმნის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. მრავალი საშური საქმე განხორციელებული არ იქნა. ერთ-ერთი მათგანად ახალი ისტორიის ეროვნული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა მიგვაჩნია. ახალი ისტორიის პირველი ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება მოასწრეს და დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო. მაგრამ, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, მას გაგრძელება არ მოყოლია. აქ მოუხდათ შეჩერება. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობა არ დაუწყიათ. უბრალოდ მისი დაწერა ვეღარ მოასწრეს.

არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. დაასრულებდნენ და დაწერდნენ ახალი ისტორიის ნორმალურ, კვალიფიცირებულ, სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს. ამის შესაძლებლობა და პოტენციალი ნამდვილად არსებობდა. ეს არ გახლავთ მხოლოდ ლიტონი სიტყვები. ეს რეალობაა, რომლის შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა ან გამუქება, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. სინამდვილეში მოვლენები სულ სხვა სცენარის მიხედვით წარიმართა, რომელიც, როგორც არაერთგზის აღგვინიშნავს, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად, ძნელი იქნება მივიჩნიოთ. 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართული ისტორიოგრაფია იძულებული გახდა არჩეული გზიდან გადაეხვია და სულ სხვა მიმართულებით წასულიყო. ეს იმით გამოიხატა, რომ ახალი ისტორიის ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნის იდეა სულ უფრო ნაკლებად აქტუალური ხდება და უკანა პლანზე გადაინაცლებს.

საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი დამოკიდებულების რევიზია, გადახედვა, განსხვავებული მიდგომის კიდევ ერთი სერიოზული კომპონენტი. საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლეგეტური შეფასება დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილი ეტაპია. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას და აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. „წყალს ბავში არ უნდა გადავაცოლოთ“. ცხადია, ორივე უკიდურესობა მიუღებელია. სად არის გამოსავალი? გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. ჭემარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში უნდა ვეძიოთ. ამ საშუალებდო ხაზის გამოძებნა სულაც არ იქნება ისეთი ადვილი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ვინმეს შეიძლება ეჩვენოს. მსაჯულები ამ თემის შეფასებისას სუბიექტურები არიან და ზოგს საბჭოთა ისტორიოგრაფიისადმი ნოსტალგია მოეძალება, ზოგს კი პირიქით, ანტიპათია დაძლევის. საბჭოთა ისტორიოგრაფიის შელამაზებულად, ვარდისფერებში და არც გამუქებულად, წარმოჩენა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. თემა არის რთული და მრავალნაზნაგოვანი. საბჭოთა წლებში ადგილი აქვს ისტორიული მეცნიერების უნიფიკაციას, სტალინიზაციას, ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს ის რომ ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა აღარ იყო უწინდებურად აქტუალური. მთავარ საბჭოთა მითად ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საქმეში 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების ისტორიული მნიშვნელობის უსამველოდ გაბუქვა გვევლინება. დღეს ეს მითი ჩამოიშალა.

წინამდებარე ნაშრომში ისტორიოგრაფიაში პირველად შეძლებისდაგვარად შევეცადეთ გაგვეშუქებინა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაში შექმნილი რთული მდგომარეობა. გვეჩვენებინა მისი შუქ-ჩრდილები და გამოგვერკვია მისი გამომწვევი მიზეზები. საკითხი არის რთული და მრავალნაზნაგოვა-

ნი და მისი ერთმნიშვნელოვნად შეფასება ადვილი არ იქნება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ახალი ისტორიის სახელმძღვანელოების მთავარი ამოცანა გახლდათ ერთი ვინროდოგმატურად გაგებულ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან გათავისუფლება. ეს სულაც არ იყო ისეთი ადვილი საქმე, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ ამ რთულ ამოცანას, მეტნაკლებად კარგად გაართვა თავი. ეს მისი დადებითი მხარეა. სულ უფრო ნაკლებად გვხვდება მონისტური პრინციპი, ფორმაციული მიდგომა, წარსული კლასობრივი ხედვა. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის ჰიპერბოლიზაცია. ბრძოლის პლემეურ მეთოდების გაიდალება. პრიორიტეტული ხდება უფრო დაბალანსებული მიდგომა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა რეალობის შემდეგ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უპირატესობა ენიჭება თავისუფალ აზროვნებას, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომას, პლურალიზმს, პროგრესულ-ლიბერალური ღირებულებებს. ფაქტობრივად, ადგილი აქვს საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის რეანიმაციის, რეაბილიტაციის, მცდელობას. რომელსაც, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ის მეტი აღარ არის იდეოლოგიზირებული და პოლიტიზირებული. ეს პირველი შრომები ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაბრუნების გზაზე გადადგმულ ერთ-ერთ პირველ მოკრძალებულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ.

უნდა ითქვას, რომ ძველი ინერციით აქა-იქ კვლავ გვხვდება მარქსისტული შტამპები და სტერეოტიპები. უწინარესად, ასეთად მიგვაჩნია ტერმინები „ბურჟუაზიული რევოლუცია“, „ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია“, „ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული კულტურა“. ეს ჯერ კიდევ ძველი ინერციით შემორჩენილი კლასობრივი მიდგომის გამოძახილია. იმედი გვაქვს, რომ ეს გამოსწორებადია. უბრალოდ, შეიძლება ის დროში გაიწვას.

მისასალმებლად მიგვაჩნია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქარ-

თული ისტორიოგრაფიის მისწრაფება საკითხისადმი ფორმაციული მიდგომა ჩაანაცვლოს, უფრო პროგრესული ცივილიზაციური პრინციპით. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ, არც ის წარმოადგენს ქეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას. საბჭოთა რეალობის შემდეგ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ კარგ წამოწყებას გაგრძელება არ მოყოლია. ჩვენი აზრით, ეს შეცდომა იყო. 2006 წლის რეფორმის შემდეგ, ის სავსებით მიივიწყეს. ეს სწორი არ იყო და რეფორმის ჩრდილოვან მხარესთან ასოცირდება.

ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს სწორ გზას დაუბრუნდეს. სწორი ვექტორი დასახოს, სწორი აქცენტები დასვას, სწორი არჩევანი გააკეთოს ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ვერ ვიტყვით. რომ ამ მხრივ არაფერი არ კეთდება. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ უნდა იყოს. გაკეთებული ცოტაა, გასაკეთებელი ძალიან ბევრია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას წინ დიდი და შრომატევადი სამუშაო ელის. ეს გზა იავარდებით მოფენილი არ იქნება. წარმატებებთან ერთად გვექნება პრობლემები. ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, მაგრამ არც პანიკის მიზეზი არსებობს. გამოუვალი მდგომარეობა არაა. გამოსავალი არის. ის მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის გაუმჯობესებაშია. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. სხვა შემთხვევაში პროგრესს ამაოდ დაუნყებთ ლოდინს. ერთ-ერთი სერიოზული ფაქტორი, რომლის გამო ამ რთულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ვფიქრობთ, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ საბჭოთა და კიდევ უფრო მეტად პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულმა ისტორიოგრაფიამ, რატომღაც სავსებით მიივიწყა ინგლისელი ისტორიკოსის, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის, ედუარდ ფრიმერის სიტყვები **„ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან, ვისაც მძიმე შრომის არ ეშინიაო“** და ადვილი გზით სიარული ამჯობინა, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი არ შეჩერდა, როგორც ეს სასურველი იყო, არამედ გაგრძელდა. მე ვიტყვი, რომ კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა. ადვილი გზით სიარულის

მოტრფიალეებმა კიდევ უფრო მეტად გაილაღეს. სხვათა შორის, ამას სტიმული მისცა ერთ დისერტაციაზე გადასვლამაც, რასაც მოუმიზანდებელი შეეხვდით. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე გვგონია. რა თქმა უნდა, ნათქვამი ყველას არ ეხება, არის ბედნიერი გამონაკლისები, სწორედ, მათ მიყავთ ისტორიული მეცნიერება ნინ. ის ერთ ადგილს არ ტკეპნის. ქართული ისტორიოგრაფიის პროგრესს, წინსვლას, მკვეთრად გამოკვეთილი, ინდივიდუალური ხასიათი გააჩნია. ამას არც არავინ უარყოფს.

როგორც ვხედავთ, დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების დაწერა სულაც არ გამოდგა ისეთი ადვილი საქმე როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდა. მასზე მუშაობას თან ახლდა რომანტიკული ფათერაკებით აღსავსე თავდაგასავალი, რომელიც აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია. ის კარგი ცხოვრებით არ გახლდათ განპირობებული. ასეთი იყო მკაცრი რეალობა. ამ საქმეში არსებული პრობლემების მთავარი გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ, აქ ძევს. სახელმძღვანელოზე მუშაობის პროცესი ძალიან გაინელა. მიუხედავად იმისა, რომ წინსვლა ნამდვილად გვაქვს, რაღაცა, უეჭველად, არის გაკეთებული. პოზიტიური ძვრები აშკარაა, გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც არსებობს და ამაზე თვალის დახუჭვა მიზანშეწონილი არ იქნება. უკეთესი მოლოდინში ვართ. ასეთი სურვილი, უეჭველად, გაგვაჩნია და მასში მიუღებელს ვერაფერს ვხედავთ.

* * *

ახლ ვცადოთ საერთოდან გადავიდეთ კონკრეტულზე. როგორც ამბობენ გამეორება ცოდნის დედაა. მკითხველს კიდევ ერთხელ და ამჯერად უკვე საბოლოოდ, მოკრძალებით შევასვენებთ, ნაშრომის მთავარ დებულებებს, კვინტენსენციას, დედააზრს, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა წარმოდგენის

რევიზიას და მნიშვნელოვანილად განაპირობებს ამ პრობლემებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას. მას განაპირობებს აქცენტების სულ სხვაგვარი და ჩვენი აზრით, შეიძლება გაცილებით უფრო რეალისტური დასმა, ვიდრე ეს აქამდე იყო. მას სამი ძირითადი კომპონენტი გააჩნია.

პირველი: მკითხველს აუცილებლად ემახსოვრება, რომ განსხვავებულ მიდგომის მთავარ დებულებას ამ საკითხში 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ შეტანილი წვლილის რენიშაცია, რეაბილიტაცია, დავსახეთ.

ამ დარგის და მათ შორის, ცხადია, ამ სახელმძღვანელოების, ისტორიის დაწყება 1921 წელს, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, დაგვიანებულად მიგვაჩნია. სინამდვილეში სულ სხვა რეალობასთან გვქონდა საქმე, რომელიც უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში კადრში ვერ ხვდებოდა და ფართო საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა. ჩვენ ვცადათ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა. და ამ პრობლემის განხილვა პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გვექცია, სულ სხვა აქცენტები დავსვით. სულ სხვა ღირებულებები დავსახეთ უფრო პრიორიტეტულად. ეს მონაკვეთი და ეს სახელმძღვანელოები პირველად შემოვიტანეთ სამეცნიერო მიმოქცევაში.

დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ 1918 წლის 8 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, ის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის უვერტურად გაისმა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება. ამ საკითხში ეტაპობრივ მოვლენად გვევლინება. სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ ამ დარგის და, სახელდობრ ამ სახელმძღვანელოების აკვანი დაირწა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1918-1921 წლები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს იყო რეალობა, რომელიც არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ბოლშევიკებს პირდაპირ გულს უკლავდა, ეკალივით ესობოდა თვალში და ძალღონეს არ იშურებდნენ, რომ როგორმე ამოეძირკვათ ქარ-

თული საზოგადოების ცნობიერებიდან, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამოდ დაშვრნენ. „დრო ყველაზე ნამუსიანი კრიტიკოსია“.

ჩვენი აზრით, ეს პირველი წლები, საერთოდ ამ დარგის და, კონკრეტულად ამ სახელმძღვანელოების შექმნის ისტორიაში ერთ-ერთი რთული და საინტერესოა. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისთვის გაცილებით უფრო მეტი ყურადღება დაგვეთმო. ამ დარგის ისტორიიდან ამ მონაკვეთის ელიმინირება, ამოღება, როგორც ეს ხდებოდა, ამ ცოტა ხნის წინ, მართებულ არ იქნებოდა და, ბუნებრივია, აღნიშნული საკითხის ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. ჩვენ შევეცადეთ გავვესწორებინა ეს შეუსაბამობა. ამ საკითხის სულ სხვა სურათი დაგვედო. ამან საშუალება მოგვცა მივახლოვებოდით ისტორიულ რეალობას და ამ დარგის განვითარების სულ სხვა ხედვა შემოგვეთავაზებინა, ვიდრე ეს აქამდე იყო. ეს იმით გამოიხატა, რომ მოხდა სიმძიმის ცენტრის გადატანა ამ სფეროში საბჭოთა რეალობიდან, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირე წვლილზე.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის კონკრეტულად, ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის მცდელობას ადგილი ჰქონდა და თავის პირველ ნაბიჯებს დგამს 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაში. ეს გახლავთ ის რეალობა, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, დიდი ხნის განმავლობაში, ქართული საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა, და, ბუნებრივია, აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიყალიბებდა. ეს ადვილი გასაგებია. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ამ წლებში განხორციელებული პირველი ღონისძიებები. დაიწყო მუშაობა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოებზე. ეს ამ საქმის დასაწყისი იყო და არა დასასრული, როგორც ეს გამოვიდა სინამდვილეში, უმ-

თავრესად, პოლიტიკური ქარტეხილების გამო მას გაგრძელება რა მოყოლია, როგორც ეს მათ ჩაფიქრებული უნდა ჰქონოდათ.

ირკვევა, რომ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ქართულ ისტორიოგრაფიას ამ დარგში თავისი საქმიანობა ნულიდან, ცარიელ ნიადაგზე კი არ დაუწყია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ კარგად მომზადებული წინაპირობა ჰქონდათ, რომლის უგულვებელყოფას საგულდაგულოდ ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმის თაობაზე, რომ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განზრახული უნდა ჰქონოდათ მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალის შექმნა, რომელიც, ბუნებრივია, ითვალისწინებდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერას. იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე ეს სერიოზული წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და სიახლეს წარმოადგენდა. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვი, რომ ისინი ამ რთულ საკითხში სწორ გზას ადგნენ, სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდათ დასახული, სწორი არჩევანს აკეთებდნენ, სწორ აქცენტებს სვამდნენ. ეს ცხადია, ძალიან კარგია და მათ წარმატებად მიგვაჩნია. ამ დარგში თავისი საქმიანობა საძირკველიდან დაიწყეს. მათი ჩანაფიქრი სამ საფეხურად შეიძლება წარმოვიდგინოთ. თავდაპირველად, განზრახული უნდა ჰქონოდათ ახალი ისტორიის პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოებზე მუშაობის დაწყება. ამის გაკეთება მათ მოასწრეს და დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსი იყო. ამას ექნებოდა გაგრძელება და ის, ბუნებრივია, ითვალისწინებდა უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყებას. ეს მეორე საფეხური იქნებოდა და ბოლოს მათი ჩანაფიქრის დასკვნითი აკორდი, მესამე საფეხური იქნებოდა, ახალი ისტორიის საკითხების მეცნიერული კვლევის და პოპულარიზაციის ფართოდ გაშლა. მათ მხოლოდ ნაწილო-

ბრივ მოახერხეს ამ ჩანაფიქრის რეალიზება. პირველი ნაბიჯები კარგად გათვალეს. სწორად გადადგეს. დასაწყისი ნამდვილად არ იყო ურიგო. ეს მათ წარმატებად მიგვაჩნია. მათ დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. რა თქმა უნდა, ეს არ იყო პატარა საქმე. ეს იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯს წარმოადგენდა და ქართულ რეალობაში ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების პირველი მცდელობად გვევლინება. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. ამიტომ აქ ვერავითარი სკეპტიკური დამოკიდებულების საფუძველს, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა რეალობაში, ვერ ვხედავთ. დარწმუნებული ვართ, რომ თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, ისინი დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ და დაწერდნენ ახალი ისტორიის ნორმალურ სასკოლო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს. სულაც არ ვცდილობთ სასურველი შესაძლებლად წარმოვაჩინოთ. ეს რეალობაა და ამაზე თვალის დახუჭვა, ჩვენი აზრით, სწორი არ უნდა იყოს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ამ წამოწყებამ სულ სხვა მიმართულება შეიძინა, რომელიც თავდაპირველი გზის გაგრძელებად ძნელი იქნება მოვიაზროთ. ეს უკვე სულ სხვა გზა იყო. ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა ძველებურად აქტუალური აღარ იყო.

დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს, ცხადია, ძალიან კარგია. ეს ამ საქმის დასასრული კი არ იყო, როგორც ეს რეალობაში გამოჩნდა, პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, არამედ მათ მიერ ჩაფიქრებული სერიოზული საქმის, დასაწყისი უფრო ჩანდა. ყოველ შემთხვევაში ესე გვგონია.

როგორც პირველი მცდელობა, ბუნებრივია, ის უნაკლო ვერ იქნება. მიმდინარეობდა მუშაობა მის შემდგომ სრულყოფაზე, დახვეწაზე, რომლის ბოლომდე მიყვანა, იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად ცაიტნოტში, რომელიც პოლიტიკურ ქარტიცილებთან იყო მჭი-

დროდ დაკავშირებული, უბრალოდ ვერ მოასწრეს. ჩვენი აზრით საქმე უნდა გვეკონდეს სახელმძღვანელოს შექმნის ოპტიმალური ვარიანტის მოძიების პროცესთან. ჩვენი აზრით, ის, რომ ეს სკოლის სახელმძღვანელო არანაირ ჩრდილს არ აყენებს ამ დარგში მათ მიერ შეტანილ წვლილს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომის წინაპირობა მკაფიოდ იკვეთება. ეს, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალე უნდა იყოს და კარგად იკითხება. ეს მათი ჩანაფიქრის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო. არსებობს დიდი ალბათობა, რომ მას მოყვებოდა გაგრძელება, რომელიც მათი ჩანაფიქრის მეორე ნაწილი იქნებოდა და ითვალისწინებდა ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერას. უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, ეტყობა, მათ ამ ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანა ვერ მოასწრეს და ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. ხოლო საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, მან დაკარგა თავისი უწინდელი აქტიურობა. ახლა ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა კავშირში მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია.

რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, იმას თითქოს მათ არ სურდათ ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერა. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ასეთი იდეა ნამდვილად არსებობდა. ეს ჩანაფიქრი საინტერესოა და, ჩვენი აზრით, უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერის საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ეს მონაკვეთი, პირობით უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შექმნის პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული. პირველ ეროვნულ სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დაწყება მრავლისმეტყველი უნდა იყოს და ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის უვერტურად მიგვაჩნია. მასში მომავალი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს კონტურები იკითხება.

ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ქართული ისტორიოგრაფია ახალი ისტორიის საკვანძო საკითხების გაშუქების დროს, სწორი მეცნიერული გზით მიდიოდა. ეს სახელმძღვანელოები სავსებით შეესატყვისებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიული მეცნიერების მკაცრ მოთხოვნებს და კარგად თავსდება პოზიტივისტური ისტორიის ჩარჩოებში. სწორი ვექტორი უნდა ჰქონოდა დასახული. სწორ აქცენტებს სვამდა. სწორ არჩევანს აკეთებდა. უპირატესად ორიენტირებული იყო თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალვარიანტულ მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელსაც ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომ ამ მონაკვეთის და კონკრეტულად ამ სახელმძღვანელოების, აპოლოგეტური შეფასება, ანდაც შეუფასებლობა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. წინამდებარე ნაშრომი, ამ ოქროს შუაგულის მოძიების მოკრძალებული მცდელობაა. ამგვარი მაღალი მეცნიერული დონე, ცხადია, შემთხვევითი არ იყო, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და, ჩვენი აზრით, ორ გარემოებასთან შეიძლება ასოცირდებოდეს. ის 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკაში არსებული დემოკრატიული გარემოს გამოძახილია. და ევროპული, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, რუსული ისტორიოგრაფიის ექოდ გაისმა. ქართული ისტორიოგრაფია ცდილობს არ ჩამორჩეს და ფეხი აუწყოს იმ სიახლეებს და ნოვაციებს, რომელიც ხდებოდა XX საუკუნის დასაწყისის ისტორიულ მეცნიერებაში და დანერგოს ის ქართულ რელობაში.

განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად გვევლინება საბჭოთა ისტორიოგრაფიის მარქსისტული შეფასების გადასინჯვა, კორექტირება. საკმაოდ სენსიტიური საკითხია. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის ესტაფეტა საბჭოთა რეალობამ მიიღო. ამ წლებში,

რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა ამის გაკეთების მცდელობას, რომელიც გარკვეული ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, ბოლომდე არ ყოფილა რეალიზებული. სტალინურ ხანაში ის, უმთავრესად პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ყველაზე უფრო ახლოს ამ მიზანთან პროფ. გივი კილურაძე იყო, მაგრამ 1978 წლის 5 აგვისტოს, უეცრად, გულის შეტევის შედეგად, ის გარდაიცვალა და დაწყებული საქმე დასრულებული არ ყოფილა. ეს საკითხი კვლავ ღიად დარჩა.

როგორც მრავალგზის აღგვინიშნავს, მათი მკაცრად განსჯა მარქსისტული სტერეოტიპების და შტამპების გამო, მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია, „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო სწორი იქნებოდა.

კიდევ ერთი საბჭოთა მითი ჩამოიშალა, რომელიც ამ დარგის განვითარების საქმეში საქართველოს გასაბჭოებასთან ასოცირდებოდა. მისი მნიშვნელობის გადაჭარბება სამართლიანი არ იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ მასში გარკვეული კორექტივები შეგვეტანა და კიდევ უფრო დაგვეზუსტებინა. როგორც ხედავთ, საქართველოს გასაბჭოებით კი არ იწყება მსოფლიოს ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის, სახელმძღვანელოების შექმნის ისტორია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა წლებში, არამედ გრძელდება. ჩვენი აზრით ეს გაცილებით სწორი იქნებოდა. ყურადღებას გავამახვილებთ ორ გარემოებაზე. ამას აქვს მნიშვნელობა. მათ შორის განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებს და შინაარსობრივი დატვირთვა გააჩნია. ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და ამ მკვეთრი მეთამორფოზის შესახებ ადეკვატურ წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის. საბჭოთა წლებში ეს მცდელობა, უპირატესად, ცალმხრივ ხასიათს იძენს და იმით გამოიხატებოდა, რომ ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში იქნა მოქცემული, რომელიც აღიქმებოდა უკანასკნელ ჭეშმარიტებად. ასე-

თი იყო პოლიტიკური ნება. განსხვავებული აზრი მიუღებელი იყო. უმაღლეს ცრუმეცნიერულად ცხადდებოდა და იდეენებოდა, ფაქტობრივად, საქმე გვაქვს მარქსიზმის ვულგარიზაციასთან. მარქსიზმის აღქმა დოგმატურ ხასიათს ატარებდა, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა ავთენტურ მარქსიზმთან. ეს იყო სინამდვილე, რომელიც, უმთავრესად, ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართო საზოგადოების თვალთახვედის არეალში ვერ ხვდებოდა და კეთილგანწყობილი ვითარების ილუზიას გვიქმნიდა. ეს ერთი, ახლა მეორე. 30-იან წლების შუა ხანებში მოხდა ისტორიული მეცნიერების უნიფიკაცია, სტალინიზაცია. ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელობის დანერა უწინარესად აქტუალური არ იყო. დანერა უწინდებურად აქტუალური არ იყო. საკმარისი იყო რუსული სახელმძღვანელოების თარგმნა, რბილად რომ ვთქვათ შემოქმედებითი გარემოს ადგილი არ რჩებოდა.

განსხვავებული მიდგომის მესამე საინტერესო კომპონენტი იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიოგრაფიაში პირველად ვცადეთ გამოგვეჩვენა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ძლიერი და სუსტი მხარეები. ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დანერის მცდელობას პოსტსაბჭოთა წლებში ჰქონდა ადგილი. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და ამ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს და მის კიდევ ერთ დადებით მხარედ გვევლინება, მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა ითქვას, რომ გარკვეული უკმარისობის გრძნობა მაინც რჩება და უკეთესის მოლოდინში ვართ.

შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიას მეტად არასახარბიელო მემკვიდრეობა ხვდა წილად. ერთი მხრივ ერთი ვინროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის და მეორე მხრივ პოზიტივისტური ისტორიოგრაფიისთვის დამახასიათებელი ვინრო ემპირიზმის, შიშველი ფაქტოლოგიის, ისტორია

თხრობის, აღწერის სახით. მის მთავარ ამოცანად ამ ბარიერის დაძლევა გვესახება. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ადვილი საქმე, მაგრამ ამის გარეშე პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წინსვლას ამაოდ დაუნყებთ ლოდინს. ეიფორიულ განწყობილებას ნუ შევიქმნით. ეს ლამაზი ილუზია იქნება, ამის გაკეთება ადვილი სულაც არ გახლავთ და დიდი დრო და ძალისხმევა დაჭირდება. ეს იქნება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. გვექნება წარმატებები. თავს იჩენს პრობლემები, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს. ამიტომ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის სწორხაზოვნად, ერთმნიშვნელოვნად, დადებითად ან უარყოფითად შეფასება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მიზანშეწონილად არ მიგვაჩია.

ვერ ვიტყვით თითქოს ამ მიმართულებით არაფერი არ კეთდება. ეს ნამდვილად არაა ასე. რალაც აშკარად არის გაკეთებული, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა. საკმარისი არ უნდა იყოს. გასაკეთებელი გაცილებით უფრო მეტია. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია, რომელსაც სურს შექმნას ეიფორიული განწყობილება, კეთილდღეობის ილუზია, ჩვენი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ, ძირითადად აქცენტი კეთდება არა თვისებრივ, ხარისხობრივ, ცვლილებებზე. არამედ რაოდენობრივზე. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში, ხარისხობრივში გადაზრდის პროცესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. დროში საკმაოდ გაიწელა და ძნელი სათქმელია როდის დასრულდება. ჩვენი ღრმა რწმენით, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ვითარდებოდა არა სიღრმეში, არამედ სიფართოვეში. მისი მთავარი პრობლემა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ეიფორიული განწყობილების საფუძველს ვერ ვხედავთ, მაგრამ არც პანიკის საფუძველი არსებობს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე მდგარი რთული პრობლემების დრამატიზირება, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. გამოსავალი არის. ეს გახლავთ მეცნიერული გამოკვლევების ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება. ამას ალტერნატივა არ გააჩნია. საჭიროა ამის განხორციელება არა სიტყვით, როგორც ეს დღეს ხდება, არამედ საქმით. სხვაგვარად არაფერი გამოვა. ადვილი გზით სიარულმა რა მარაზმამდე მიგვიყვანა ამას ძალიან კარგად ვხედავთ. მნიშვნელოვანწილად დღეს, სწორედ, ამის ნაყოფს ვიმკით. ასე გაგრძელება არ შეიძლება. „ისტორიკოსის სამუშაო შეუძლია შეასრულოს მხოლოდ იმან ვისაც მძიმე შრომის არ ეშინია“. ვფიქრობთ, აქ ყველაფერია ნათქვამი, რამის დამატება ძნელი იქნება. საჭირო არაა.

* * *

როგორც დავინახეთ, საქმე არაა ისე მარტივად, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, ამიტომ ამ კუთხით საკითხის შესწავლა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებულია. რეალობა ასე გამოიყურება. მსოფლიო ისტორიის, მათ შორის, ცხადია, ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერას თავისი ხანგრძლივი და საინტერესო ისტორია გააჩნია. იგი აშკარად სცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს და მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული უძევს საფუძვლად. რაც კარგი ცხოვრებით არ ყოფილა გამოწვეული. ეს ისტორია სულ 106 წელს მოიცავს. ცხადია, ეს არაა ცოტა.

1918 წელს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნიდან და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღებიდან მოყოლებული ქართულ ისტორიოგრაფიას ლაიტმოტივად გასდევს ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერის მცდელობა. მას ადგილი ჰქონდა ერთმანეთისაგან სრულად განსხვავებული ეპოქებში. თავდაპირველად ამის გაკეთება უცდიათ 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში. შემდეგ ამის მცდელობას უკვე ადგილი ჰქონდა, დიამეტრალურად სულ სხვა გარემოში, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში 1921-1991 წლებში და ბოლოს, ამ ეტაპზე, ამის მცდელობის, დასკვნით აკორდად გვევლინება, პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია. ამავდროულად ის არის უახლესი ან თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია. ის იწყება 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც გრძელდება. მთელ ამ ხანგრძლივ პერიოდს საინტერესო ფაქტორები ახლდა თან და, უმთავრესად, პოლიტიკურ კატაკლიზმებთან ასოცირდებოდა. ამ დარგში და მათ შორის, ცხადია, ამ საკითხშიც, ეტაპობრივ მოვლენად საქართველოს გასაბჭოება კი არ გვევლინება, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა პერიოდში, არამედ 1918 წლის 8 თებერვალს დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა და იმავე 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ დარგის და კონკრეტულად ამ საქმის, აკვანი დაირწა, სწორედ, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს შექმნის იდეა, სწორედ, მაშინ შეიქმნა აქტუალური. მისი ისტორიის ათვლა, სწორედ, აქედან უნდა დავიწყოთ. ეს გახლდათ რეალობა, რომელიც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ქართული საზოგადოების თვალსაწიერს მიღმა რჩებოდა და ქიშხ იქით აღმოჩნდა. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა.

როგორც ირკვევა, საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა, სწორედ, 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკებში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ განზრახული უნდა ჰქონოდათ ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს სერიალის შექმნა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი ისტორიის პირველი ეროვნული

სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს დაწერას. უნდა ითქვას, რომ ძირითადად პოლიტიკური ქართველების გამო, ეს კარგი განზრახვა, მხოლოდ, ნაწილობრივ იქნა განხორციელებული. მათ დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელო. ეს არ იყო პატარა საქმე. ერთი კარგი საქმე გაკეთდა. საფიქრელი იყო, რომ მას მოყვებოდა გაგრძელება და დაინერებოდა უმაღლესი სკოლის ეროვნული სახელმძღვანელო და ამით კიდევ ერთი კარგი საქმე გაკეთდებოდა. ეს ასეც მოხდებოდა, თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები. იმ ექსტრემალურ ვითარებაში, დროის მცირე მონაკვეთში, ფაქტობრივად, ცაიტნოტში, რომელიც, კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული ამ კარგი წამოწყების ბოლომდე მიყვანა, როგორც ჩანს, უკვე ველარ მოასწრეს. ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელო არ დაუწერიათ. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, იმას, თითქოს მისი დაწერა განზრახული არ ჰქონდათ. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ეს საკითხი ნამდვილად იდგა დღის წესრიგში. როგორც ჩვენ გვგონია, ამ შემთხვევაში ამ საკითხის დასმასთან შეიძლება უფრო უნდა გვექონდეს საქმე. რომლის რეალიზება, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში უბრალოდ ვერ მოასწრეს. მას ასე, იკვეთება საინტერესო ვითარება, რომელიც, უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმებით გახლდათ განპირობებული. დიდი ხნის განმავლობაში ზედაპირზე იდო, აისბერგის ზედა ხილულ ნაწილს წარმოადგენდა, კადრში ვერ ხვდებოდა. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. საბჭოთა ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა რეალობა. ის მითით ჩაანაცვლეს. მითებს რეალობა ამსხვრევს. ყველა სიკეთე საბჭოთა სინამდვილეს როდი უკავშირდება. გვიმტკიცებენ ვითომ ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი ხდებოდა და მისი აღმავლობა, წინსვლა, სწორედ, საქართველოს გასაბჭოებასთან ასოცირდებოდა.

დაწერეს ახალი ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები. ეს იყო ერთი კარგი საქმე, რომლის გაკეთებაც მოასწრეს, რაც მათ წარმატებად მიგვაჩნია. ეს მათი

ჩანაფიქრის ერთი ნაწილი უნდა ყოფილიყო. ალოგიკურს ვერაფერს ვხედავთ იმაში, რომ აქ წერტილის დასმას, შეჩერებას, საქმის დასრულებას, ისინი არ აპირებდნენ. მათ განზრახული უნდა ჰქონდათ საქმის გაგრძელება და მის ბოლომდე მიყვანა, დასრულება, რომელიც ითვალისწინებდა უმაღლესი სასკოლო სახელმძღვანელოზე მუშაობის დანყებას და მის დაწერას. ასეთი განზრახვა ნამდვილად გააჩნდათ და დღის წესრიგში იდგა. აქ საკამათო არაფერია. მაგრამ საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ამ მეორე კარგი ნამოწყების, ახალი ისტორიის, უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა, ეტყობა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. პოლიტიკური ქარტეხილების გამო, მათი ჩანაფიქრი მხოლოდ ნაწილობრივ იქნა რეალიზებული. მისი შუა გზაზე მიტოვება მოუხდათ. რეალობა ისაა, რომ 1921 წელს საქართველოს გასაბჭოების გამო უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობის დანყება და მისი დაწერა, უბრალოდ, ვეღარ მოასწრეს. აქ მთავრდება ამ დარგის და საერთოდ ამ სახელმძღვანელოების შექმნის ისტორიაში ჩვენი აზრით, ერთი ყველაზე უფრო რთული და საინტერესო მონაკვეთი, რომელიც ამ პრობლემის ისტორიაში, პირველ პერიოდად შეიძლება იქნას მოაზრებული და იწყება მეორე პერიოდი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ამ პრობლემით დაინტერესება ახალ ფაზაში შედის. ეს გახლავთ ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოს დაწერა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში 1921-1991 წლებში. საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ეს მონაკვეთი ამ პრობლემის გაშუქების პირველი მცდელობაა. ამ პრობლემის განხილვა აშკარად ცილდება წმინდა აკადემიურ ჩარჩოებს, მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული გააჩნია და, რა თქმა უნდა კარგი ცხოვრებით არ იყო განპირობებული. ის თავდაპირველი გზის გაგრძელებად, წინგადადგმულ ნაბიჯად ძნელი იქნება, რომ მოვიზნოთ. 30-იანი წლების შუა ხანებიდან, უმთავრესად, სტალინის ძალისხმევით, საბჭო-

თა კავშირში, ადგილი აქვს ისტორიის უნიფიკაციას, სტალინიზაციას. ეს იმით გამოიხატებოდა, რომ ამიერიდან ყველაფერი ცენტრიდან იმართებოდა. ეროვნული სახელმძღვანელოების დაწერა, უნიდებურად, აქტუალური აღარაა. საკმარისი იყო სახელმძღვანელოს რუსულიდან თარგმნა. შეიძლება ითქვას, რომ სტალინიმა ეს იდეა დიდი ხნით დაასამარა. ცოტა უკეთესობისაკენ შეიცვალა ვითარება სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მიზანთან ყველაზე უფრო ახლო როგორც უკვე ითქვა იყო პროფ. გივი კილურაძე, მაგრამ ის, უეცრად გარდაიცვალა და ეს საკითხი კვლავ არ ყოფილა ბოლომდე მიყვანილი, ისევ ღიად დარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ პრობლემატიკით დაინტერესება ახალ ფაზაში შედის, ის, ამ ეტაპზე, საკითხის გადამწყვეტის დასკვნით აკორდად, მოგვევლინა ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოზე მუშაობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიაში. ამ კუთხით ეს საკითხი დამუშავებული არ ყოფილა და წინამდებარე ნაშრომი, ამის პირველ მცდელობას წარმოადგენს. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი აქვს ახალი ისტორიის უმაღლესი სკოლის ქართული სახელმძღვანელოს დაწერის რამდენიმე მცდელობას. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის პლუსია, მაგრამ უფრო უკეთესის მოლოდინია.

სარჩევი

შესავალი.....	3
თავი პირველი	11
ახალი ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში	11
თავი მეორე	58
ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის ისტორია, საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში (1921-1991).....	58
თავი მესამე	85
ახალი ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შექმნის მცდელობა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში.....	85
დასკვნა	115

